...ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 065 (12 440) 19 მარტი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი





## ნაკრებს სამი კაცი გამოაკლდა

გოგუა და სირაძე ყაბარდოდან ვერ გადიან »» 2

## არტისტი და ანარქისტი

ფრანკ რიბერის პორტრეტი »» 8-9

# საეჭვო მატჩების ნუსხა




# პროკურატურაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა »» 3

## სათასო წილი ნაყარია





»» 4

## დღეს ელენე სრიალებს

შვედური გეტებორგი ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს და ამით ზამთრის სეზონი სრულდება. საქართველოს ღირსებას სკანდინავიაში ერთადერთი სპორტსმენი, 18 წლის **ელენე გედევანიშვილი** დაიცავს. დღეიდან ქალთა ასპარეზობა იწყება, სადაც 53 სპორტსმენი მონაწილეობს. მონაწილენი ორ ნაწილად გაყვეს, დილის სესიაში 5 ჯგუფი ისრიალებს (ჯამში 26 სპორტსმენი), საღამოსაც - ხუთი. კენჭისყრამ ელენე გედევანიშვილი მეშვიდე ჯგუფში მოახვედრა, რომელსაც ესპანელი **სონია ლაფუენტე** გახსნის და ელენე დახურავს. მსოფლიო ჩემპიონატის თითქმის ყველა ფავორიტი ბოლო ორ ჯგუფშია თავმოყრილი. ბოლოსწინა ჯგუფში გამოდიან: **იუკარი ნაკანო**, მსოფლიო ჩემპიონი **მიკი ანდო** და **მაო ასადა** (ყველა იაპონია), **ჟანი რომეტი** (კანადა), ევროპის ჩემპიონი **კაროლინა კოსტნერი** (იტალია) და **ეშლი ვაგნერი** (აშშ). ბოლო ჯგუფს კორეელი **იუ-ნა კიმი** გახსნის, შვეიცარიელი **სარა მაიერი** გააგრძელებს, შემდეგ ზედიზედ ორი ფინელი გამოვა ყინულზე, **კიირა კორპი** და **ლაურა ლეპისტო**, ბოლოს უნგრელ **იულია შებესტენს** და ამერიკელ **კიმი მაისნერს** ვიხილავთ.

ელენე გედევანიშვილი მოკლე პროგრამას **ჯონ კანდერის "კაბარეს"** მუსიკაზე შეასრულებს. ელენე აქამდე ორჯერ გამოსულა მსოფლიო ჩემპიონატებზე, 2006 წელს ის მე-14 ადგილზე გავიდა, შარშან კი ქართველმა შედეგი გააუარესა - მე-17 იყო.



# სირაძე-გოგუა ყაბარდოდან ვერ გადიან

## არალეგალი ქართველები რუსეთის ფედერაციაში

ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველობა ეროვნულ გუნდს სავიზო პრობლემების გამო ვერ დაეხმარება.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნალჩიკში საერთაშორისო აეროპორტი რომ იყოს, იქნებ, **გოგიტა გოგუასა** და **დავით სირაძეს** ჩრდილოეთ ირლანდიაში ჩაეღწიათ კიდეც, მაგრამ ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქს ასეთი ინფრასტრუქტურა არ გააჩნია.

მოკლედ, გოგუა და სირაძე ნალჩიკიდან ვერსად გადიან და ამიტომ ვერ ჩავლენ ბრიტანეთში 26 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური მატჩისთვის.

მეტიც, გოგუა და სირაძე ახლა ფაქტობრივად არალეგალურად იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

გუშინ ნალჩიკში შევეხმიანეთ სირაძეს და მან გვითხრა, რომ:

- რუსეთის ვიზას ვადა გაუვიდა და ახლა ველოდები, თუ როდის მომცემენ ახალ ვიზას. ნალჩიკიდან ვერსად გავდივარ, რადგან რუსეთის ვიზა აღარ მაქვს. ნალჩიკში კი ეს პრობლემა არ არის - აქ არავინ მომკითხავს ვიზას.

**- შეუძლებელი იყო ამ ყველაფრის თავიდან აცილება?**

- ახალი ვიზა კლუბს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ახლა მეუბნებიან, ამას დრო უნდაო. ნალჩიკში ტურისტული ვიზით ჩამოვედი, რომელსაც ვადა გაუვიდა. ახლა კი სამუშაო ვიზა უნდა ავილო.

**- კლუბში რას გეუბნებიან, რატომ მოხდა შეფერხებაო?**

- საქმე ისაა, რომ მომდევნო ორი თამაში "ნალჩიკს" შინ აქვს და კლუბის ხელმძღვანელობამაც არ იჩქარა ჩემთვის ვიზის გაკეთება. ჯერ "ამკარს" და "ტერეკს" ვეთამაშებით შინ, სტუმრად თამაში კი ორი კვირის მერე გვიწევს.

**- გოგიტა გოგუასაც მსგავსი პრობლემები აქვს?**

- კი, მასაც ზუსტად ჩემნაირი პრობლემა შეექმნა.

**დავით თავართქილაძე**



საქართველოს ნაკრები კიდევ ერთი ბრიტანული გუნდის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება



ეროვნული ნაკრები. ამხანაგურ მატჩამდე

# მინუს-პლუსები ბელფასტამდე

## ასათიანს, სირაძესა და გოგუას კობახიძე, გოცირიძე და ლობჟანიძე ჩაენაცვლნენ

ტრადიცია, რომ ამა თუ იმ რანგის თამაშის წინ ნაკრებს რამდენიმე ფეხბურთელი უნდა დააკლდეს, გრძელდება. ჩრდილოეთ ირლანდიასთან 26 მარტის ამხანაგური მატჩისთვის **კლაუს ტოპმიოლერის** კრებულს წამყვან ფეხბურთელთა ტრიო გამოაკლდა **მალხაზ ასათიანის, გოგიტა გოგუასა** და **დავით სირაძის** შემადგენლობით. სამი ასეთი ფიგურის გამოკლება ეროვნულისთვის მცირედი დანაკლისი ნამდვილად არაა.

ასათიანს ტრავმა აქვს. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, გოგუას და სირაძეს ჯერ კიდევ არ აქვთ სამუშაო ვიზა, რის გამოც მათ საშუალება არ აქვთ, ამ პრობლემის მოგვარებამდე დროებით დატოვონ რუსეთის ფედერაციის ტერიტორია.

მათ ნაცვლად კლაუს ტოპმიოლერმა გუნდში ამდენივე ახალწვეულს უხმო. ასათიანის ნაცვლად ეროვნულში გამოძახებულია "ზესტაფონის" მცველი **უჩა ლობჟანიძე**. გოგუასა და სირაძის ნაცვლად, ეროვნულს "დნეპრის" ნახევარმცველი **სანდრო კობახიძე** და "ზესტაფონის" თავდამსხმელი **ბექა გოცირიძე** დაემატნენ.

სხვათა შორის, "ლოკომოტივთან" თბილისურ მატჩში ზესტაფონელთა ფორვარდი დაშავდა. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე იმერელთა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** აღნიშნა გოცირიძეს თავი აქვს გატეხილიო.

"ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემ** "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა, რომ ბექა მკურნალობას განაგრძობს და და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშააო.

ამის მერე "ზესტაფონის" ექიმ **დიმიტრი ზაალიშვილს** დავუკავშირდით, რომელიც ეროვნული ნაკრების ექიმიცაა.

*"დიახ, "ლოკომოტივთან" თამაშში ბექა გოცირიძეს თავი გაუტყდა. მას ორი ნაკერი დავადეთ და დღესაც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა. ჭრილობის შეხორცებას 5-7 დღე დასჭირდება. თუმცა გოცირიძე გუნდთან ერთად ჩვეულებრივ ვარჯიშობს. ერთი ეგაა, თავით თამაშს ერიდება... მისი ამჟამინდელი მდგომარეობა ნორმალურია და ბექა ბელფასტში თამაშს შეძლებს"*, - დაგვამშვიდა დიმიტრი ზაალიშვილმა.

**დავით ცაბაძე**

# ასათიანი ორ კვირაში



მოსამზადებელ შეკრებაზე მიღებული ტრავმა მოსალოდნელზე პრობლემური გამოდგა. **მალხაზ ასათიანმა** ვერც რუსეთის სუპერთასზე, "ზენიტთან" შეძლო თამაში და ვერც პრემიერლიგის პირველ ტურში, "რუბინთან". ამ ორივე მატჩში "ლოკომოტივმა" მარცხი იწვნია.

ასათიანი ვერც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დაეხმარება, რაც **ტოპმიოლერის** გუნდს ჩრდილოეთ ირლანდიაში სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. *"სრული დატვირთვით ისევ ვერ ვვარჯიშობ. რუსეთის ჩემპიონატის მომდევნო ტურში, 22 მარტს, იაროსლავლის "შინიკთან" ვერ ვითამაშებ, სამაგიეროდ, ექიმები მეუბნებიან, რომ ორი კვირის შემდეგ, სამარის "კრილია სოვეტოვის" წინააღმდეგ მოედანზე გასვლას შევძლებ. იმედია, ყველაფერი ასე იქნება, წლის პირველი ოფიციალური მატჩის ჩატარებას მოუთმენლად ველი"*, - უთხრა ასათიანმა რუსულ პრესას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
პაატა გელაშვილი

მიმართულების რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი)
გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი)

განყოფილების რედაქტორები
პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი)
შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი)

კონცეფცია და დიზაინი
ნოდარ დუგლაძე

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი
მიხეილ ჯაში

გავრცელების სამსახური
ბაქარ გაჩეჩილაძე
დავით მაისურაძე
გივი ვეშაპიძე

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

მისამართი:
0159
თბილისი
ახმეტელის 10ა
(დილომი, ახალი კინოსტუდია, პირველი სართული)

ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
ფაქსი: +995. 32 46 32 62.

ელფოსტა: SPORTI@SPORTI.GE
ინდექსი 66435 INDEX

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართული ფეხბურთი

# ციხე გარედან უნდა გატყდეს

## ფეხბურთს პროკურატურა ჩაუჯდა



ნოდარ ახალკაცი და გოგი ქავთარაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა გუშინ იდარბაზა და გადაწყვიტა, გარიგებული თამაშების გამოაშკარავებაში პროკურატურა დაიხმაროს.

ეს უპრეცედენტო, შეიძლება ითქვას, ხმაურიანი ამბავია, რასაც კიდევ უფრო ხმაურიანი გაგრძელება თუ მოჰყვება, იქნებ მნიშვნელოვნად შეეშველოს საქართველოს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას.

აღმასკომის სხდომა დახურული იყო, თუმცა შევიტყვეთ, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობის ინიციატივას არავინ შეეწინააღმდეგა. ლოგიკურია, რომ არავის სურს უარი თქვას საეჭვო მატჩების გამოძიებაზე ანუ წინასწარ არავის უნდა ყელის გამოჭრა.

ფედერაციის თხუთმეტკაციანი აღმასკომიდან სამი კლუბის მესვეურია - "დინამოს" მმართველი დირექტორი **გიორგი ტყავაძე**, "ამერის" პრეზიდენტი **ზურაბ ფოცხვერია** და "ლოკომოტივის" პრეზიდენტი **ლექსო თოფურია**.

აღმასკომის წევრთაგან ვინძლო მათ უფრო მეტი სმენიათ საეჭვო თუ ჩაწყობილ თამაშებზე, თუმც არა გვგონია, რაიმე ფაქტობრივი, დოკუმენტური მასალები გააჩნდეთ.

როგორც უნდა იყოს, გუშინდელ აღმასკომზე ფაქტების მტკიცებაზე თუ მათ უარყოფაზე საქმე არ მიმდგარა. აღმასკომმა მხოლოდ ნება გამოიჩინა - დაიხმაროს სამართალდამცავი ორგანოები ბინძური თამაშების მხილებაში.

ცხადია, თუ პროკურატურამ რამეს ჩაავლო, ქართული ფეხბურთის გამრყვნელებს კარგი დღე არ დაადგებათ - თაღლითობა თუ სხვაგვარი ყალთაბანდობა ვირის აბანოში მოხვედრით დამთავრდება.

ფედერაციის პრეზიდენტმა და აღმასკომის თავმჯდომარემ **ნოდარ ახალკაცმა** სხდომის შემდეგ განაცხადა, მასალებს პროკურატურას გადავცემ, ხოლო თუ კონკრეტულად რომელ მატჩებზეა ლაპარაკი, ამას ახლა ვერ გეტყვით, უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევო.

ჯერჯერობით ის მასალები, რაც ფედერაციამ პროკურატურას უნდა გადასცეს, არის მხოლოდ ეჭვები, რომელთაც მტკიცებულებები აკლია, რაც ამ ეჭვებს სამართალდამცველებმა უნდა მოუპოვონ.

ვფიქრობთ, ესეც უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. სანამ უმცროსი ნოდარ ახალკაცი ფედერაციის პრეზიდენტი გახდებოდა, იყო რამდენიმე ისეთი თამაში, რომელიც დისციპლინარებმა გარიგებულ მატჩად სცნეს და ორივე გუნდს სამ-სამი ქულა ჩამოაჭრეს, მაგრამ ეს იყო შემთხვევა, როცა ორივე გუნდს შეეძლო თავის მართლება, რადგან მათ ბრალი მტკიცებულებებით ვერ დაუდასტურეს.

ახლა კი სხვა, უფრო დახვეწილი და მკაცრი ტექნოლოგიებით უნდა მოევლოს საქმეს - პროკურატურა კარგ ასოციაციებს ნამდვილად არ აღძრავს გარყვნილი მესვეურისთვის, მსაჯისა თუ მწვრთნელ-ფეხბურთელისთვის.

არაერთხელ გვითქვამს, რომ ქართულ საფეხბურთო მილეთის ციხე შიგნიდან არ ტყდება და იქნებ, ის ახლა გარედან გატეხონ.

გუშინდელ აღმასკომზე დამტკიცდა, რომ ფედერაცია კონტრაქტს გაუგრძელებს ეროვნული გუნდის თავკაც **კლაუს ტოპმიოლერს**. 16, 17 და 19-წლამდელთა მწვრთნელებად შესაბამისად **გიორგი დევდარიანი, გელა შეყილაძე** და **ზაურ სვანაძე** დაამტკიცეს.

საქართველოში შეიქმნა პლაჟის ფეხბურთის ასოციაცია და ის ფეხბურთის ფედერაციამ საკუთარ სუბიექტად სცნო. ჩვენი პლაჟბურთელები მაისში მარსელში იბურთავებენ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში.

...და, რაც მთავარია, მჭექი ამბავია - ჩვენს ფეხბურთს პროკურატურა ჩაუჯდა.

**დავით თავართქილაძე**

ზურაბ ხიზანიშვილი:

# კარიერას ინგლისში დავასრულებ

**ზურაბ ხიზანიშვილის** გადაწყვეტილების შესახებ რამდენიმე დღის წინათ გაუწყეთ. შეგახსენებთ, იგი ბელფასტში ეროვნული ნაკრების თავკაც **კლაუს ტოპმიოლერთან** აპირებს გასაუბრებას, რის შემდეგაც გაირკვევა, ითამაშებს თუ არა ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში. ის ნაკრების მთავარი მწვრთნელისა და ფედერაციის მესვეურებისგან იმის ახსნას ითხოვს, რატომ რჩება ბოლო პერიოდში ეროვნულ გუნდს მიღმა.

ამ თემის გარდა, ხიზანიშვილი "ლელოს" თავის საკლუბო ამბებზეც ესაუბრა. როგორც იცით, სეზონის პირველი ნახევარი მან "ბლექბერნის" სათადარიგოთა სკამზე გაატარა. თუმცა ბოლო პერიოდში იგი გუნდის ძირითადში ხშირად თამაშობს.

*"საბედნიეროდ, ბოლო მატჩებში "ბლექბერნის" მთავარმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა ნდობა გამომიცხადა და ვფიქრობ, მისი იმედები არ გამიცრუებია. ჰიუზმა მითხრა, რომ ჩემი თამაშით კმაყოფილია. თუმცა ვგრძნობ, რომ კიდევ უფრო მაღალ დონეზე შემიძლია თამაში და მუდმივი სათამაშო პრაქტიკა კონდიციების გაუმჯობესების საშუალებას მომცემს"*, - ამბობს ქართველი უკანახაზელი.

იგი იქვე დასძენს, რომ მიკროტრავმა აწუხებს, მაგრამ ამ მიზეზით ალბათ, არც "ბლექბერნის" უახლოესი შეხვედრები გაუცდება და თუ ტოპმიოლერთან საერთო ენა გამონახა, ჩრდილოირლანდიელებსაც აუცილებლად დაუპირისპირდება.

"ბლექბერნის" მიზანი კი წლეულსაც უეფას თასის საგზურის მოპოვებაა. ზურასა და მისი თანაგუნდელების



ზურაბ ხიზანიშვილი

კონკურენტები "ასტონ ვილა", "პორტსმუთი" და "მანჩესტერ სიტი" არიან.

ხიზანიშვილს "ბლექბერნთან" მოქმედი კონტრაქტი 2011 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. ამ დროისთვის იგი 29 წლისა იქნება და თუ იმ დროისთვის ძირითადი შემადგენლობის წევრი იქნება, ალბათ, ხელშეკრულების გაგრძელებასაც შესთავაზებენ.

*"საფეხბურთო კარიერას ინგლისში დავასრულებ, შესაძლოა, ეს "ბლექბერნში" მოხდეს, შესაძლოა, სხვა კლუბში. ერთი ის ვიცი, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება ძალიან მომწონს და სხვაგან წასვლას არ ვაპირებ"*, - ამბობს ხიზანიშვილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# პეტარ სეგრტმა ახალგაზრდებს უხმო

25 მარტს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ამხანაგურად ლატვიელ 21-წლამდელებს უმასპინძლებს. გუშინ ჩვენი ახალგაზრდულის ხორვატმა მთავარმა მწვრთნელმა **პეტარ სეგრტმა** გუნდის შემადგენლობა დაასახელა.

მეკარეები: **გიორგი ლორია** (დინამო), **მიხეილ ალავიძე** (ლოკომოტივი).

მცველები: **დავით მჭედლიშვილი** (ამერი), **ამირან სანაია** (ლე მანი), **გიორგი ფოფხაძე** (ვიბორგი), **გიორგი ნავალოვსკი** (ანჟი), **გიორგი ელბაქიძე** (ამერი), **ბაქარ მირცხულავა** (ტორპედო), **ზაზა ქაჯაია** (გაგრა).

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი), **შოთა გრიგალაშვილი** (ბორჯომი), **დავით დევდარიანი** (ოლიმპი), **მირზა ბჟალავა** (ლუშტენაუ), **გიორგი მერებაშვილი** (დინამო), **ზურაბ გვაძაბია** (ამერი), **ალექსი ბენაშვილი** (ზესტაფონი), **გიორგი ივანიშვილი** (ციურიხი), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია).

თავდამსხმელები: **რევაზ ბარაბაძე** (ანჟი), **დავით თარგამაძე** (ფრაიბურგი), **ირაკლი შეყილაძე** (ემპოლი), **ვახტანგ ფანცხავა** (ლე მანი), **ზვიად კუტალია** (მგლები), **ბესიკ ჩიმაკაძე** (ამერი), **ზურაბ ხაჭიპერიძე** (მალაროელი).

მნიშვნელოვანი სიახლე ახალგაზრდულში **გიორგი მერებაშვილის** დაბრუნებაა. "დინამოს" ლიდერი სეგრტის სიაში რამდენიმემატჩიანი პაუზის შემდეგ გამოჩნდა. სეგრტს არც **ბესიკ ჩიმაკაძე** დავიწყებია. "ამერის" ფორვარდმა სულ ახლახან მოიშუშა ის ტრავმა (ფეხის მოტეხილობა), რომელიც გასული წლის მაისში, ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშზე მიიღო. ახალგაზრდულში უხმეს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენას, "ოლიმპის" ნახევარმცველ **დავით დევდარიანსაც**. არის კიდევ რამდენიმე ახალი სახელიც.

შესაძლოა, საქართველო-ლატვია გლანში, "ამერის" სტადიონზე გაიმართოს. მომავალ ოფიციალურ შეხვედრას კი სეგრტის გუნდი შემოდგომამდე არ გამართავს. 5 სექტემბერს, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ სტუმრად ჩაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# კარლ ცაისი გავარდა

"კარლ ცაისის" წარმატებული სვლა გერმანიის თასზე გუშინ შეწყდა. ნახევარფინალურ მატჩში იენელები სტუმრად "დორტმუნდთან" 0:3 განადგურდნენ. **ილია კანდელაკს, გიორგი ონიანსა** და **გიორგი სეთურიძეს** შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. სეზონი კი "კარლ ცაისმა" უკვე ჩააგდო. გუნდს რეგიონალლიგაში დაქვეითებისგან ველარაფერი იხსნის, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველებს ახალი კლუბების ძიება მოუწევთ.

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

# საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო...


კახა ცხადაძე

საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო და 1994 წლიდან მოყოლებული დღემდე ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებზე ეთამაშა, ქართველთაგან ვის შეეძლო ეთამაშა საბჭოეთის მთავარ გუნდში? ამის გარკვევას შეეცადნენ უკრაინელები.

12-წლიან მონაკვეთში (1994-2004) ქართული ფეხბურთის მხოლოდ 9 წარმომადგენელი მოიაზრება საბჭოთა კავშირის ნაკრებში - **კახა ცხადაძე, ომარ თეთრაძე, თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი გახოკიძე, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე.** ამ შემთხვევაშიც ქართველთა სიმრავლე მხოლოდ სათადარიგოთა შორის შეიმჩნევა. ძირითადში ყველა დიდ ტურნირზე მხოლოდ ერთი ჩვენიანია ნავარაუდები. გამონაკლისი მხოლოდ 1994 წელს აშშ-ში გამართული მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც ორი მოთამაშე, კახა ცხადაძე და ომარ თეთრაძეა დასახელებული. აი, 1998 წლის საფრანგეთის მუნდიალზე კი ძირითადში ჩვენებურთაგან საერთოდ არავინაა შეყვანილი. საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო, საქართველოს ნაკრების კაპიტანს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზეც ექნებოდა ადგილი სსრკ-ის ნაკრების სასტარტოში.

*1994 წელი. აშშ. მსოფლიო ჩემპიონატი*
სასტარტო შემადგენლობა: **კახა ცხადაძე, ომარ თეთრაძე.**
განაცხადი: **კახა ცხადაძე, ომარ თეთრაძე, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე.**

*1996 წელი, ინგლისი, ევროპის ჩემპიონატი.*
სასტარტო შემადგენლობა: **ომარ თეთრაძე**
განაცხადი: **ომარ თეთრაძე, კახა ცხადაძე, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე.**

*1998 წელი, საფრანგეთი. მსოფლიო ჩემპიონატი.*
სასტარტო შემადგენლობა: **არცერთი ქართველი.**
განაცხადი: **ომარ თეთრაძე, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე.**

*2000 წელი. ბელგია-ჰოლანდია. ევროპის ჩემპიონატი.*
სასტარტო შემადგენლობა: **კახა კალაძე.**
განაცხადი: **კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი გახოკიძე, შოთა არველაძე, ალესანდრე იაშვილი, გორგი დემეტრაძე.**

*2002 წელი. კორეა-იაპონია. მსოფლიო ჩემპიონატი.*
სასტარტო შემადგენლობა: **კახა კალაძე.**
განაცხადი: **კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, შოთა არველაძე, ალექსანდრე იაშვილი.**

*2004 წელი. პორტუგალია. ევროპის ჩემპიონატი.*
სასტარტო შემადგენლობა: **კახა კალაძე.**
განაცხადი: **კახა კალაძე.**

*2006 წელი. გერმანია. მსოფლიო ჩემპიონატი.*
სასტარტო შემადგენლობა: **კახა კალაძე.**
განაცხადი: **კახა კალაძე.**

*2008 წელი. ავსტრია-შვეიცარია. ევროპის ჩემპიონატი.*
სასტარტო შემადგენლობა: **კახა კალაძე.**
განაცხადი: **კახა კალაძე**

მოამზადა
**დავით ცაბაძე**


კახა კალაძე

საქართველოს თასი. ნახევარფინალის წილისყრა

# განმეორდება ფინალი კიდევ ერთხელ?

**8 აპრილი. თბილისი. ეროვნული. 16 საათი. საპასუხო მატჩი 7 მაისს**

**დინამო VS ზესტაფონი**

**9 აპრილი. თბილისი. ამერი. 16 საათი. საპასუხო მატჩი 7 მაისს**

**ამერი VS ბორჯომი**

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში, საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის ნახევარფინალის წილისყრა გაიმართა. პროცედურა, რომელმაც "ამერი", "ბორჯომი", "დინამო" და "ზესტაფონი" დააწყვილა, 13 საათზე დაიწყო. წილისყრის პირდაპირი რეპორტაჟი გუშინ პირველად უზრუნველყო, მედიაკომპანია "კოლხიდამ" და მისი ხილვა ტელემაყურებელს "მზის" ეთერით შეეძლო.

მასმედიის წინაშე პროფლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი**, საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცი **ნოდარ კაკულია** და **შოთა ბაქრაძე** წარდგნენ.

*"ნახევარფინალის პირველი მატჩები 8 და 9 აპრილს გაიმართება, საპასუხო კი 7 მაისს. თუ "ბორჯომს" შინ მოუწია პირველი თამაშის ჩატარება, მაშინ ეს შეხვედრა 8 აპრილს ჩატარდება. აპრილში თამაშები 16, ხოლო მაისში 17 საათზე დაიწყება. ფინალი კი 26 მაისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.*

*რაც შეეხება წილისყრის პროცედურას. რომელ გუნდსაც კენტი ნომერი შეხვდება ის პირველ თამაშს შინ გამართავს. №1 ეთამაშება №2-ს, ხოლო №3 დაუპირისპირდება №4-ს. წილისყრაში კლუბები გათამაშების ცხრილში ამჟამად დაკავებული ადგილების მიხედვით მიიღებენ მონაწილეობას"*, - პროცედურის დაწყებამდე აღნიშნა ნოდარ კაკულიამ.

წილისყრაში "დინამოს" ტექნიკური დირექტორი **ამირან ლიბრაძე**, "ზესტაფონის" გენერალური დირექტორი **დავით აბაშიძე**, "ბორჯომის" დირექტორი **ვახტანგ მაისურაძე** და "ამერის" გენერალური მენეჯერი **ვახტანგ ბზიკაძე** მონაწილეობდნენ.

როგორც ხედავთ, წილისყრის მიხედვით, სულაც არაა გამორიცხული 2005, 2006 და 2007 წლის დარად ფინალში "ამერი"-"ზესტაფონის" წყვილი ვიხილოთ. შესაძლოა, თასისთვის სხვა გუნდებმა იბრძოლონ. თუკი "დინამოსა" და "ზესტაფონს" ფაქტობრივად გაქრილი აქვთ ევროთასებზე თამაშის საკითხი, "ბორჯომსა" და "ამერს" საამისოდ დიდი ბრძოლა ექნებათ ერთმანეთთან. გამარჯვების შემთხვევაში "ბორჯომს" უკვე "დინამოს" გასვლა უნდა აწყობდეს, რადგან თბილისელები წლეულს თუ ჩემპიონობას მოიპოვებენ, "ბორჯომი" ნებისმიერ შემთხვევაში ითამაშებს უეფას თასზე.

წილისყრის შემდეგ გუნდების წარმომადგენლებს გავესაუბრეთ:


ამირან ლიბრაძე


დავით აბაშიძე

**დავით აბაშიძე** ("ზესტაფონის" გენერალური დირექტორი):

- ბუნებრივია, სასურველი იყო, ნახევარფინალში მეტოქედ "დინამო" არ გვყოლოდა. თუმცა როცა თასის მოპოვებაზე გაქვს პრეტენზია, მაშინ ნებისმიერ გუნდთან თამაშისთვის მზად უნდა იყო. ასე რომ, "დინამოსთან" ბრძოლისთვის მზად ვართ. მით უმეტეს, პირველი მატჩი სტუმრად გვაქვს, საპასუხო კი შინ.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- ჩემპიონატში, "დინამო" 6 ქულით გვისწრებს, მაგრამ თასის გათამაშება სპეციფიკურია და შესაბამისად, ვფიქრობ, ფინალში გასვლის შანსები თანაბარია.

**- შეძლებთ ზედიზედ მეოთხედ გახვიდეთ ფინალში?**

- ზედიზედ სამჯერ უკვე ვითამაშეთ ფინალში, მაგრამ თასს ვერ დავეუფლეთ. მჯერა ამჯერად თასი ჩვენ დაგვრჩება.

**ვახტანგ მაისურაძე**
("ბორჯომის" დირექტორი):

- თასის ბოლო ფინალები "ამერმა" მოიგო. მეტოქეს ახლაც ჩინებული შემადგენლობა ჰყავს და მეტს შანსსაც მეტოქეს მივაკუთვნებდი. ვფიქრობ, 60-პროცენტიანი შანსი "ამერისაა", თუმცა უბრძოლველად არაფერს დავთმობთ და ფინალში გასვლისთვის თავს არ დავზოგავთ.

**ვახტანგ ბზიკაძე**
("ამერის" გენერალური მენეჯერი):

- მეტოქედ "ბორჯომი" გვხვდა წილად. შეიძლებოდა უფრო ძლიერ გუნდთან გვქონოდა ფინალისთვის ბრძოლა. ერთი შეხედვით ვინმემ შეიძლება ჩათვალოს, რომ წილისყრაში გაგვიმართლა. იმან არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში, რომ "ბორჯომი" მეორე ნახევარში ისე ვერ ასპარეზობს, როგორც პირველში. მიუხედავად ამისა, ბორჯომელებს ახლაც კარგი შემადგენლობა ჰყავთ და დარწმუნებული ვარ, სერიოზული ბრძოლა გვექნება. ნახევარფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობს. ფინალამდე ერთი ნაბიჯია და ასეთ ვითარებაში ყველა გუნდი აკეთებს მობილიზებას.

**- "ბორჯომი" აცხადებს, რომ ამ წყვილში "ამერს" მეტი, 60 პროცენტიანი შანსი აქვს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- ასე არ ვიტყოდი. ჩემი აზრით, შანსები თანაბარია. "ბორჯომი" სუსტი მეტოქე არაა. ამ გუნდთან შინ კარგად ვთამაშობთ ხოლმე და ამჯერადაც პირველ მატჩში მასპინძლები ვართ. რა თქმა უნდა, პირველი თამაში ყველაფერს ვერ გადაწყვეტს, მაგრამ პირადად მე, ამაში გარკვეულ უპირატესობას ვხედავ

**- შეძლებთ კიდევ ერთხელ ალმართოთ თასი?**

- კარგი იქნება. თუ ასე მოხდება ბედნიერები ვიქნებით.

**დავით ცაბაძე**

# გოგუამ სატურნზე ჯავრი იყარა

## ევროპის ჩემპიონატამდე მამობის მოლოდინში

**გოგიტა გოგუა** ჟინიანი ბიჭი რომ არის, ეს სიახლე არაა. ნალჩიკის "სპარტაკისა"' და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ეს კიდევ ერთხელ რამენსკოეს "სატურნთან" პირველი ტურის შეხვედრაში დაამტკიცა.

გოგიტა რამენსკოედან არასაფეხბურთო მიზეზებით გამოუშვეს, **გაჯი გაჯიევს** გული კი დასწყდა, მაგრამ "სატურნის" ხელმძღვანელობამ თავი არ გამოიდო.

ეტყობა, მას შემდეგ ყოფილ გუნდთან შეხვედრისთვის ემზადებოდა და პრემიერლიგის პირველივე ტურში მისი ამჟამინდელი კლუბი (ნალჩიკის "სპარტაკი") ყოფილს შეხვდა.

გოგიტა გოგუა სუპერაქტიური და სუპერსასარგებლო იყო: საგოლე გადაცემა, საუკეთესო გოლის ავტორებში მოხვედრა და სიმბოლური ნაკრები - ასეთია პირველი ტურში ქართველი ნახევარმცველის მონაგარი.

გაგიკვირდათ, როდესაც გოლი არ ვახსენეთ, არა? სინამდვილეში ბურთი არა მან, არამედ, მისმა თანაგუნდელმა **ფილატოვმა** გაიტანა.

გოგიტას მატჩის შემდეგ "სპორტ-ექსპრესისთვის" სიმართლე არ დაუმალავს: *"მე და ფილატოვს მსგავსი ნომრები გვაქვს, მე 7, მას კი 17 და ეტყობა, დიქტორმა ჩათვალა, რომ საჯარიმო დარტყმა მე შევასრულე. "სატურნს" კი მე კიდევ გავუტან. მეორე ბურთი ხომ ჩემი უშუალო მონაწილეობით გავიდა."*

გოგუამ რამენსკოელებთან ზემონდომების რეალური მიზეზი არ დამალა: *"რა თქმა უნდა, "სატურნისთვის" მსურდა დამემტკიცებინა, რომ ტყუილად გამიშვეს. თუმცა "სპარტაკში" სიხარულით დავბრუნდი - ეს ჩემი გუნდია."*

გოგიტა აქამდე ნალჩიკური კლუბის ბაზაზე ცხოვრობდა, მაგრამ ცოტა ხნის წინათ ქალაქში ბინა მოძებნა და გადავიდა.

*"ახლახან დავოჯახდი. მალე ნალჩიკში მეუღლის ჩამოსვლას ველოდები. ფეხბურთელისთვის ოჯახური მყუდროება ბევრს ნიშნავს. თუკი ყველაფერი კარგად იქნება, დაახლოებით ორთვენახევრის შემდეგ მამა გავხდები."* - განაცხადა გოგიტამ

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვარაცხელია ახალკაცს ტელედებატში იწვევს



მამუკა კვარაცხელია



გია თორთლაძე

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, უეფას მედია-ოფიცერი **მამუკა კვარაცხელია** პარლამენტის წინ დაწყებულ შიმშილობის აქციას შეუერთდა. გუშინ კი პრეს-კონფერენცია გამართა.

- ფული რომ დავითვალოთ, აღმოჩნდება, ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელ ხელმძღვანელობას 30 მილიონი დოლარი აქვს დახარჯული.

გავა დრო და შევგრცხვება, რომ ასეთ უმსგავსობაზე თვალებს ვხუჭავდით. ადრე თუ გვიან უნდა დამთავრდეს ახალკაცის ფედერაცია. მერე მიხვდება სახელმწიფო, რომ ფული სულ ტყუილად დაიხარჯა...

- მე ამ ფედერაციის გამკვირვებია. ნოდარ ახალკაცი სულ ამტკიცებდა, რომ სწორ გზაზე იდგა, რომ მისი გადაწყვეტილებები გამართლებული იყო. ასე იყო გაიოზ დარსაძის მწვრთნელობის პერიოდში, ასე გაგრძელდა ტოპმიოლერის პერიოდში და მას შემდეგაც, როდესაც საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში მეექვსე ადგილი დაიკავა. თვალში ნაცრის შეყრის უფლებას კი არავის მივცემთ...

- ნოდარ ახალკაცი ქართული ფეხბურთის მტერი რომ არის, ამას იოლად დავამტკიცებ. მას ვიწვევ დებატებში, ოღონდ პირდაპირ ეთერში და ხალხი იოლად დაინახავს, რეალურად რას აკეთებს...

- ფედერაციის აღმასკომზე დღეს ჩაწყობილი თამაშების წინააღმდეგ ბრძოლაზე ალაპარაკდნენ. მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი ბლეფია და რეალური ბრძოლა არავის აინტერესებს. ასე იყო წლების წინათ ჟორდანიას პრეზიდენტობის დროს და მერე რაც მოხდა, კარგად გვახსოვს. ჩაწყობილი თამაშები ამით არ შემცირებულა...

- ცალკე ტოპმიოლერზე საუბარი მსურს. ერთ კვირაში ჩრილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური შეხვედრა გველის და ნაკრების მთავარი მწვრთნელი საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამოსულა. ასეთ უპასუხისმგებლო მწვრთნელს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი მაინც ამტკიცებს. მე არ ვიცი, ასეთ საქციელს რა დავარქვა...

- არ შემიძლია, არ შევეხო თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილის თემას. 7 ნოემბრის დარბევა რომ მოხდა, ეს ადამიანი ჯარისკაცებს კოცნიდა. აი, ასეთი კაცია თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ორჯერ არაა ფედერაციაში მისული.

ახლა ის ჩინეთში საქართველოს ელჩია და ალბათ, არც გადაირჩევენ. თბილისის ფედერაციაში განცხადება მისი გადაყენების თაობაზე ჯერ კიდევ თვენახევრის წინათ შევიტანე, მაგრამ პასუხიც არ მაღირსეს.

კაცმა ფეხბურთი არ იცის და ამიტომ ზაზა ბეგაშვილს თბილისის ორგანიზაციის პრეზიდენტად დარჩენის არანაირი მორალური უფლება არ გააჩნია...

### გია თორთლაძე:

- ფეხბურთში რა სამარცხვინო ამბებიც ხდება, მთელმა საქართველომ იცის. ყველაზე სამარცხვინო ისაა, რომ ყველაზე სახელიანი ვეტერანები ჩარეცხეს, ჩივაძე, გუცაევი, ხურცილავა. მე არ მესმის, რატომ უნდა წყვეტდეს ფეხბურთის საკითხებს უსახელო ადამიანი და არა ჩვენი ფეხბურთის ლეგენდები. ამიხსნის ვინმე?

საერთოდ კი, დროა, დამთავრდეს ფეხბურთში პოლიტიკოსების ჩარევა და მისი პოლიტიზაციის მცდელობა. რატომ წყვეტენ ბოკერია, უგულავა, ლომაია და კირკიტაძე, ვინ გახდება ფედერაციის პრეზიდენტი? ვინ ეკითხებათ?

ამ გავლენებისგან თუ არ გათავისუფლდება, დაღუპვის პირას მყოფი ფეხბურთი მართლა დაიღუპება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# განუგრავას პირველივე მატჩში მწვრთნელი მოუხსნეს

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ჩვენთვის ორი ყველაზე საინტერესო ფაქტი მოხდა, **კახი ცხადაძემ** "სტანდარდის" მწვრთნელის რანგში პირველი სამი ქულა მოიპოვა, ხოლო **დავით ბოლქვაძემ** მისთვის მეოთხე ტურში მესამე გოლი გაიტანა. თუმცა საუბარს **გიორგი ადამიას** "ნეფთჩის" მორიგი წარმატებით დავიწყებთ - ტურში ორი ბაქოური დერბი გაიმართა, თუმცა "ნეფთჩი" - "ინტერის" დაპირისპირება გაცილებით უფრო წონიანი იყო, ვიდრე "ბაქისა" და "სტანდარდის" შეხვედრა. ამ შეხვედრაში ჩვენმა თანამემამულემ უკვე თავდასხმის ხაზში ითამაშა, "ნეფთჩიმ" 2:0 მოიგო. "სტანდარდმა" პირველივე ტაიმში გაუტანა "ბაქის", თუმცა ცხადაძის გუნდი დაცვაში სულაც არ ჩამჯდარა, გოლის გატანის მეტი შანსიც ჰქონდა, ვიდრე მეტოქეს. დავით ბოლქვაძემ კი კახში "გენჩლერბირლიის" წინააღმდეგ გახსნა ანგარიში, მატჩი კი ზაქათალის "სიმურგმა" 3:0 მოიგო. კახი ცხადაძე უკვე "ნეფთჩის" დამარცხებაზე ფიქრობს, აზერბაიჯანის თასზე "სტანდარდი" გიორგი ადამიას გუნდს ხვდება, თუმცა პირველ მატჩში გიორგის ჰეთ-თრიკის წყალობით შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა თითქმის გაირკვა. *"ნეფთჩი" ძლიერი კლუბია, მისი ნებისმიერი ანგარიშით დამარცხება გამახარებს"*, - განაცხადა ცხადაძემ.

მოლდოვის ჩემპიონატის მორიგ ტურში თავი კვალვ გამოიჩინა "დაჩიას" ფორვარდმა **ჯაბა დვალმა**, მან მე-9 წუთზე "სტიაუასთან" გასვლით მატჩში გახსნა ანგარიში. ჯაბამ წლეულს მეორე გოლი გაიტანა, სეზონში კი - მეექვსე. **მამუკა ლომიძის** "ზიმბრუმ" ბელცის "ოლიმპიას" შვიდი უპასუხო გოლი გაუტანა, რომელშიც **ლადო ახალაია** ჩაირიცხა ცოტა ხნის წინათ. ლომიძემ 90 წუთი ითამაშა, მას თავი არ გამოუჩენია. **ვაჟა თარხნიშვილის** "შერიფმა" სტუმრად 2:0 მოუგო "ტირასპოლს".

ჩეხურ ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა "მლადა ბოლესლავის" ქართველ ახალწვეულ **გიორგი განუგრავას**. ის პრალის "სპარტასთან" მატჩში შესვენების შემდეგ შეიყვანეს. სამწუხაროდ, ჩვენებურმაც ვერაფერი უშველა მასპინძლებს - 1:4. მატჩის შედეგს "მლადას" მწვრთნელი **ზდენეკ შჩასნის** თანამდებობა შეეწირა, ის მოხსნეს და მის მაგივრად **კარელ სტანერი** დანიშნეს. "მლადა ბოლესლავი" გამბრინუს ლიგაში მერვე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გიორგი ადამია (10)

# სტაჟირება არგენტინაში!

## ვასილ აფციაური სტაჟირებიდან არგენტინის ს/კ "ნუევა ჩიკაგოში"

1990 წელს დაბადებული, რუსთავის "მამულის" ფეხბურთელი ვასილ აფციაური (მწვრთნელები მამუკა მურჯიკნელი და კახა ბექაური) გასული წლის თებერვალში სტაჟირებაზე გაემგზავრა არგენტინის ნაკრების საფეხბურთო კლუბების "როსარიო სენტრალის", "სან ლორენსოსა" და "ველეს სარსფილდის" ყოფილ ფეხბურთელთან და ამჟამად მწვრთნელთან, ედუარდო ემილიო დელგადოსთან არგენტინაში.

დელგადომ, შესაბამისი მომზადების შემდეგ, ვასილ აფციაურს ურჩია საკონტროლო თამაშებით წარმდგარიყო არგენტინის პრიმერა B დივიზიონში მოასპარეზე "ნუევა ჩიკაგოს" საფეხბურთო გუნდთან, სადაც ვასილმა თავი გამოიჩინა კარგი მომზადებით და წელს ის უკვე დაიცავს ამ კლუბის ღირსებას. ვასილმა თუ ასე გააგრძელა, ერთი წლის შემდეგ შეიძლება ვიხილოთ უფრო ძლიერ გუნდში.



შუაში ვასილ აფციაური

არგენტინულ კლუბში გადასვლის მომავალ კანდიდატად, თამაზ სამხარაძის მიერ განვრთნილი, 1990 წელში დაბადებული, ამჟამად დელგადოსთან სტაჟირებაზე მყოფი გიგი ტარყაშვილი მოიაზრება. აგრეთვე, 1990 წელში დაბადებული ვალერი აგაჯანოვიც. ეს ორი ფეხბურთელი შარშან ნოემბერში გაემგზავრა არგენტინაში.

მარტის ბოლოს არგენტინაში სტაჟირებაზე კიდევ მიემგზავრებიან ფეხბურთელები, რომლებიც თავად, ან მათი სპონსორები აფინანსებენ სტაჟირების, ავიაბილეთებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯებს.

17-18 წლის ასაკის ფეხბურთელებს, რომელთაც სურთ ჯერ გაიარონ სტაჟირება დელგადოსთან და შემდეგ მოხვდენ არგენტინულ კლუბში, შეუძლიათ მოგვმართონ ადგილზე, რათა მოხვდნენ მარტის ბოლოს არგენტინაში წამსვლელთა ჯგუფში. მსურველთა მიღება და მათთან კონსულტაციები გრძელდება ყოველდღე, კვირის გარდა, 13 საათიდან 14 საათამადე შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ლეონიძის ქ. №4 ( თავისუფლების მოედანთან). ტელეფონი 899-23-55-20

ის პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებიც გაემგზავრებიან არგენტინაში, აგრეთვე, არგენტინაში ახლადშექმნილ ქართულ გუნდ "ხეარგთან" ერთად 2009 წლის მაისში, ამხანაგური თამაშებით წარდგებიან ქართველი ქომაგების წინაშე თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

*არგენტინის "ხეარგის" წარმომადგენლობა საქართველოში*

# გვაზავას გოლი საუკეთესო და მესამე!



ლევან გვაზავა

ინტერნეტგაზეთმა "სპორტსმა" ვებგვერდის დამთვალიერებლთა გამოკითხვით რუსეთის პრემიერლიგის პირველი ტურის საუკეთესო გოლი გამოავლინა.

ფანებმა პირველ ადგილზე ქართველი ფეხბურთელის, "ლუჩ-ენერგიის" ნახევარმცველ **ლევან გვაზავას** გოლი დაასახელეს. ლევანმა **ოლეგ ბლოხინის** მიერ განვრთნილ "მოსკვას" მართლაც ეფექტური ბურთი გაუტანა - მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოს ხაზიდან კარისკენ შეუჩერებლივ დაარტყა. რუსეთის მოქალაქეობამიღებულ გვაზავას გამოკითხულ გულშემატკივართა ცხრამეტმა პროცენტმა დაუჭირა მხარი.

საუკეთესო გოლებში ქართველების გატანილი სამი ბურთი დაასახელეს, მაგრამ აქედან ერთი ავტოგოლია - **ამისულაშვილის** მიერ რამენსკოეს "სატურნთან" საკუთარ კარში გატანილი გოლი გულშემატკივრებს ისე მოეწონათ, **გოგიტა გოგუას** გოლსაც კი ამჯობინეს.

"სოვეტსკი სპორტის" ვერსიით კი, ლევან გვაზავას გოლი მესამეზე დაასახელეს. აქ რუბინელი შარონოვის გარჯა დააფასეს, მეორეზე კი ნალჩიკელი ასლან მაშუოვის ბურთი დაასახელეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXIX ტურის წინ

# მოდი, ვნახოთ დერბი...

## დღეს ლაციო-რომაა. ბიანკოჩელესტემ, შეიძლება, სამი ფორვარდით ითამაშოს

**დღეს**

**ლაციო-რომა**
**ჯენოა-ინტერი**
**ემპოლი-იუვენტუსი**
**ნაპოლი-ფიორენტინა**
**მილანი-სამპდორია**
**ტორინო-უდინეზე**
**კალიარი-ატალანტა**
**პარმა-პალერმო**
**კატანია-სიენა**
**ლივორნო-რეჯინა**

ლიდერი გენუას სტუმრობს. ზედიზედ სამი ნაგების შემდეგ, "ჯენოა" თავს მოიკლავს, რათა "ინტერი" შინ ნაწყენი გაუშვას. ეს იქნება **მარკო ბორიელოსა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ერთგვარი პირადი დაპირისპირებაც. ორივე ბომბარდირობისთვის იბრძვის და აქტივის გაზრდას შეეცდება. ის, რომ იბრაჰიმოვიჩი სასტარტოში იქნება, ეჭვს არ უნდა იწვევდეს იმის ფონზეც კი, როცა შვედმა "პალერმოსთან" შეცვლით საჯარო უკმაყოფილება გამოთქვა, ხოლო პრესამ ეს მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის დაპირისპირებად მონათლა. "ნერაძურის" არ ეყოლება დისკვალიფიცირებული **მარკო მატერაცი**, ნახევარმცველი **დეიან სტანკოვიჩი** და მცველი **ივან კორდობა** კი ტრავმირებულები არიან. "ჯენოასთვის" მნიშვნელოვანი დანაკლისი იქნება ჰონდურასელი ფორვარდის **ხულიო ლეონის** ერთმატჩიანი სასჯელი.

კიდევ ერთი მილანურ-გენუური ჯახი "სან სიროზე" შედგება. "მილანს" მეოთხე ადგილთან ოთხი ქულა აშორებს და ეცდება, "ფიორენტინასთან" სხვაობა თუ არ შეამციროს, ამ ეტაპზე შეინარჩუნოს მაინც. უნდა გავიხსენოთ პირველი წრის მატჩიც, რომელიც "მარასიზე" **კარლო ანჩელოტის** გუნდმა 5:0 მოიგო. დღეს ანალოგიური შედეგის გამეორებას არ უნდა ველოდოთ, რადგან "მილანი" ამ სეზონში საკუთარ მოედანზე იშვიათად იგებს. "როსონერის" ახალი დანაკლისი არ აქვს. ამდენად, ანჩელოტი იმ შემადგენლობას დააყენებს, რომელმაც "ოლიმპიკოზე" წააგო. ამჟამად, სხვა ქმედითი რესურსი მას ნამდვილად არ გააჩნია. "სამპს" კვლავ ტრავმირებული ჰყავს ფორვარდი **ვინჩენცო მონტელა**, დისკვალიფიცირებული რჩება **ანტონიო კასანო**, რომელსაც კიდევ 3 მატჩის გაცდენა მოუწევს, ნახევარმცველი **დანიელ ფრანჩესკინი** კი მხოლოდ დღევანდელ შეხვედრას გამოტოვებს.

"იუვენტუსი" "ემპოლის" სტუმრობს. ბოლო პერიოდში "ბებერი ქალბატონი" არასტაბილურად თამაშობს, რაზეც მოწმობს "ნაპოლისთან" უკანასკნელ წუთებში მოპოვებული საკვირაო გამარჯვებაც. **ალბერტო მალეზანის** გუნდი მისთვის საშიშია იმდენად, რამდენადაც ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ ბოლოსწინა ადგილზე დაეშვა და კრიტიკულ სიტუაციაშია. ვითარებას ართულებს ისიც, რომ ტრავმებს ემატება მცველ **ფრანჩესკო პრატალისა** და ფორვარდ **ლუკა საუდატის** დისკვალიფიკაციაც. ტურინელთათვის სერიოზულ დანაკლისად რჩება საყრდენი ნახევარმცველის **კრისტიანო ძანეტის** ტრავმა.

"კალიარისთან" განადგურების (0:3) შემდეგ "ტორინოს" საკუთარი ქომაგების თვალში რეაბილიტაციაზე ზრუნვა მართებს. **ვალტერ ნოველინო** შეგუებული უნდა იყოს იმას, რომ "უდინეზესთან" ურთულესი თამაში ელის. მასპინძელს ტრავმირებული ჰყავს ნახევარმცველი **ვინჩენცო გრელა** და ფორვარდი **ალვარო რეკობა**. მოსალოდნელია, რომ უდინელთა მწვრთნელი **პასკუალე მარინო** სკამზე დასვამს თავდამსხმელ **ფაბიო კვალიარელას**, რომელიც გოლების გატანას კატასტროფულად უკლო. რაკი განელი **გიან ასამოა** ტრავმირებულია, **ანტონიო დი ნატალეს** წინა ხაზზე **ფლორო ფლორესი** შეუწყვილდება.

**ექტორ კუპერს** "პალერმოსთან" საშინაო დებიუტი აქვს. ქულები ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება. "პარმა" სერია A-ში დარჩენისთვის იბრძვის, სიცილიელები კი უეფას ზონას უმიზნებენ. მასპინძლები საბრძოლო შემადგენლობით არიან. ერთადერთი დანაკლისი სენეგალელი მარჯვენა მცველის **ფერდინანდ კოლის** ტრავმაა. "პალერმოს" კი დისკვალიფიცირებული ჰყავს ნახევარმცველი **რობერტო გუანა**, ხოლო მცველი **ჩირო კაპუანო** ტრავმირებულია.

"კალიარი", რომელსაც გადარჩენის შანსი გაუჩნდა, ზედიზედ მეორე საშინაო მატჩს მართავს და საკუთარ კედლებში მიჯრით მეოთხე თამაშის მოსაგებად თავს არ დაზოგავს. სარდინიელებს საბრძოლო შემადგენლობა ჰყავთ. "ატალანტას" კი ნახევარდაცვის წამყვანი ფიგურა **თომას მანფრედინი** დააკლდება.

"სიენას" მწვრთნელ **მარიო ბერეტას** მორიგი მარცხი, შეიძლება, ალარ აპატიონ. კვირას, ტოსკანელებმა "რეჯინასთან" სტუმრად 4:0 წააგეს. "კატანიასთან" დღევანდელ შეხვედრაში ვერ ითამაშებენ ცენტრალური მცველი **სიმონე ლორია**, მარცხენა მცველი და კაპიტანი **ვალერიო ბერტოტო**, აგრეთვე, ნახევარდაცვის მთავარი ფიგურა **სიმონე ვერგასოლა**. სიცილიელებს ოპტიმალური შემადგენლობა ეყოლებათ.

"ლივორნო" "რეჯინას" უმასპინძლებს. მასპინძელთათვის მძიმე დანაკლისი იქნება ძირითადი მეკარის **მარკო ამელიას** ტრავმა. კალაბრიელებს კი ბზარი აქვთ დაცვის ცენტრში, სადაც დისკვალიფიცირებული **ბრუნო ჩირილო** ვერ ითამაშებს.



კაპიტნები: ტომაზო როკი და...

რომ ვთქვათ, შუა კვირის ტურში ყველაზე საინტერესო მატჩი რომაული დერბია-თქო, ნიშნავს, არაფერი ვთქვათ. მიუხედავად იმისა, თუ რომელ პოზიციაზე არიან გუნდები, "ლაციოსა" და "რომას" დაპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა. ექსპერტები აცხადებენ, რომ "ბიანკოჩელესტემ" ბოლოხანს აშკარად მოუმატა. ეს ეხება როგორც თამაშის ხარისხს, ისე შედეგებს. უკანასკნელ ორ შეხვედრაში "ლაციალემ" ორჯერ მოიგო და ამდენჯერვე ფრედ ითამაშა. პირველი წრის მატჩი კი "ჯალოროსის" გამარჯვებით, 3:2 დასრულდა, ხოლო შარშან დელიო როსის გუნდმა 3:0 მოიგო. მაგრამ ეს გუნდი შარშან უფრო ძლიერი იყო...

**სავარაუდო შემადგენლობები**
**ლაციო:** ბალოტა, დე სილვესტრი, სივილია, კრიბარი, რადუ, დაბო, ლედესმა, ბეჰრამი, პანდევი, ბიანკი, როკი.
**რომა:** ა. დონი, პანუჩი, მექსე, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი.

ერთი სიტყვით, დერბი დერბია და აქ კომპრომისზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამდენად, ხვალ ყველანაირი შედეგია მოსალოდნელი. "ლაციომ" საბოლოოდ უნდა დააღწიოს თავი ცხრილის ქვედა ნაწილს. ეს არის ამოცანა, რომელიც როსიმ პოსტის ფასად უნდა გადაჭრას, "რომას" კი სკუდეტოსთვის ბრძოლაში ახალი იმედი გაუჩნდა და ლუჩანო სპალეტი ამ შანსის განიავებას არ დაუშვებს.

"ლაციოს" ლაზარეთში, მაინც და მაინც დიდი ხალვათობა არ იგრძნობა. ჯერაც ტრავმირებულები არიან ნახევარდაცვის საკვანძო ფიგურები - ლუჩანო ძაური და მასიმო მუტარელი. ამ დღეშია ფორვარდი სიმონე დელ ნეროც, თუმცა როსის მისი არყოფნა დიდად არ უშლის ხელს. ასევე მოინახება მოიერიშე შუახაზელ ფაბიო ფირმანის შემცვლელიც. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ "ლაციოს" თავკაცი შემტევ ტაქტიკას აირჩევს და თავდასხმაში, ტომაზო როკისა და გორან პანდევთან ერთად, როლანდო ბიანკისაც დააყენებს.

ამ მხრივ, უფრო მეტი საფიქრალი სპალეტის აქვს. "მილანთან" წინა ტურის შეხვედრაში თამაშის ბედი შეცვლაზე შესულმა ლუდოვიკ ჟიულიმ და მირკო ვუჩინიჩმა გადაწყვიტეს. მოსალოდნელია, რომ ერთი ან მეორე მწვრთნელმა დღეს სასტარტოშიც გაამწესოს. მაგრამ უფრო რეალური ისაა, სპალეტი სამი ფორვარდით თამაშს ვერ გარისკავს. უფრო დიდი შანსია, რომ ჟიულიცა და ვუჩინიჩიც მწვრთნელმა მეორე ტაიმისთვის შემოინახოს. "რომას" საკადრო პრობლემები არ აქვს, თუ არ ჩავთვლით მარჯვენა მცველ მარკო კასეტის ტრავმას. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დაცვაში კრისტიან პანუჩი დაბრუნდება. ასევე დაბრუნდება ფრანგი ცენტრალური მცველი ფილიპ მექსეც, რომელმაც "როსონერისთან" მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გააცდინა.



...ფრანჩესკო ტოტი მზად არიან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 28 | 20 | 7 | 1 | 54-17 | 67 |
| 2. რომა | 28 | 18 | 7 | 3 | 50-25 | 61 |
| 3. იუვენტუსი | 28 | 15 | 9 | 4 | 49-24 | 54 |
| 4. ფიორენტინა | 28 | 14 | 8 | 6 | 43-27 | 50 |
| 5. მილანი | 28 | 12 | 10 | 6 | 42-23 | 46 |
| 6. სამპდორია | 28 | 12 | 6 | 10 | 39-35 | 42 |
| 7. უდინეზე | 28 | 11 | 8 | 9 | 36-38 | 41 |
| 8. ატალანტა | 28 | 9 | 10 | 9 | 44-42 | 37 |
| 9. პალერმო | 28 | 9 | 9 | 10 | 36-43 | 36 |
| 10. ჯენოა | 28 | 9 | 8 | 11 | 32-40 | 35 |
| 11. ლაციო | 28 | 8 | 10 | 10 | 33-35 | 34 |
| 12. ნაპოლი | 28 | 9 | 6 | 13 | 37-43 | 33 |
| 13. ტორინო | 28 | 5 | 16 | 7 | 30-35 | 31 |
| 14. სიენა | 28 | 7 | 10 | 11 | 31-38 | 31 |
| 15. კატანია | 28 | 6 | 9 | 13 | 24-36 | 27 |
| 16. ლივორნო | 28 | 6 | 9 | 13 | 28-42 | 27 |
| 17. პარმა | 28 | 5 | 11 | 12 | 33-44 | 26 |
| 18. რეჯინა | 28 | 5 | 10 | 13 | 25-41 | 25 |
| 19. ემპოლი | 28 | 6 | 7 | 15 | 23-41 | 25 |
| 20. კალიარი | 28 | 6 | 6 | 16 | 25-45 | 21* |

* - კალიარის დაკლებული აქვს 3 ქულა

გერმანიის თასი. ნახევარფინალის წინ

# დესპოტი ფელიქსი: ნადირობის დროა!

## მაგათის მგლები ბაიერნს ემუქრებიან...

"ვოლფსბურგმა" ბუნდესლიგის მეორე წრეში იმედების გამართლება დაიწყო. **ფელიქს მაგათის** რკინის სისტემა, როგორც იქნა, ამუშავდა – "მგლებმა" გერმანიის ჩემპიონატის მეორე ნახევარი შესანიშნავად დაიწყეს, ცხრილის ზედა ნაწილში დამკვიდრდნენ და ნელ-ნელა ხუთეულისკენ მიილტვიან. ეს კვირა "ვოლფსბურგისთვის" სიმართლის გარკვევის კვირაა – სწორედ ახლა გამოჩნდება, რამდენად ძლიერია "ვოლფსბურგი".

დასაწყისი იდეალური იყო – კვირას, "დესპოტი ფელიქსის" "მგლებმა" "ვერდერს" ბრემენში მოუგეს, რაც უდიდესი მიღწევაა, დღეს გერმანიის თასის ნახევარფინალში "ბაიერნს" სტუმრობენ, მომდევნო ტურში კი "ჰამბურგს" დაუხვდებიან. მაგათი "ბაიერნის" წინააღმდეგ – ინტრიგა უდიდესია. ფელიქსს ძალიან კარგად ახსოვს, როგორ გაწირეს "ბაიერნის" შეფებმა და დღეს სურს დაამტკიცოს, რომ არ იყო იმის ღირსი, რაც გაუკეთეს.

"ვერდერს" ერთადერთი გოლი **გრაფიტემ** გაუტანა – ფორვარდმა, რომელსაც სამკვირიანი კრიზისი ჰქონდა და როგორც იქნა, მიზანი ისევ გაასწორა. ეს მისი მე-9 გოლი გახლდათ მიმდინარე სეზონში. *"ვიცი, რომ ეს კვირა ჩვენთვის ძალიან მძიმე იქნება, მაგრამ ჩვენ არაფრის გვეშინია, რადგან თავდაჯერებულები ვართ. გვინდა, რომ მიუნხენიდან გამარჯვებულები დავბრუნდეთ, მერე კი "ჰამბურგიც" საიქიოს გზას გავუყენოთ,"* – ამბობს გრაფიტე.



ფელიქს მაგათი ბაიერნს უმიზნებს, ბაიერნში კი პრობლემებია

ერთი სიტყვით, „დესპოტი ფელიქსი" და მისი „მგლები" გრანდებზე ნადირობას აგრძელებენ. *„ბოლოდროინდელმა წარმატებებმა თავდაჯერებულობის მხრივ უდიდესი სამსახური გაგვიწია. ეს სწორედ ის არის, რაც პირველ წრეში გვაკლდა,"* – აცხადებს მაგათი და დღეისთვის მას მიზანში რეკორდმაისტერი ჰყავს ამოღებული, - *„ყველამ ვიცით, რომ ჩვენთან წაგება და გერმანიის თასის ფინალში ვერგასვლა „ბაიერნისთვის" კატასტროფის ტოლფასი იქნება."* ალსანიშნავია, რომ „ვოლფსბურგს" ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს, არც დისკვალიფიცირებულია ვინმე.

„ბაიერნს" კი პრობლემები აქვს. კერძოდ, **მარტინ დემიკელისისა** და **ოტმარ ჰიტცფელდის** დაპირისპირება გრძელდება. მართალია, „ზებენერშტრასეზე" ამბობენ, რომ უთანხმოება (არგენტინელს ნახევარდაცვაში თამაში არ სურს) წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ეჭვები რჩება. გუშინ ვარჯიშზე მისულ დემიკელისს სახეზე ეტყობოდა, რომ პრობლემა ამოწურული არ არის – არგენტინელი ბაზაზე ისეთი სახით შევიდა, როგორითაც სასამართლოზე ბრალდებულები შედიან ხოლმე. თუმცა კი თქვა, მწვრთნელთან კარგი საუბარი მქონდა და ბოდიშიც მოვიხადეო. მაგრამ განა სხვა გზა ჰქონდა?

ფაქტი ის გახლავთ, რომ „ვოლფსბურგთან" დემიკელისი ისევ განაცხადში იქნება. მაგრამ თუ ითამაშებს, სავარაუდოდ ისევ საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, რადგან რთული წარმოსადგენია, რომ ჰიტცფელდმა პოზიციები დათმოს და არგენტინელი ამჯერად დაცვაში გაამწესოს. თუ ასე მოხდა, გამოდის, რომ დემიკელისმა ჰიტცფელდი დაამარცხა და თავისი გაიტანა. "გენერლისგან" კი ასეთ დათმობებზე წასვლას მიჩვეული არავინაა. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ „კოტბუსთან" წაგების შემდეგ, „ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** დემიკელისი გაამართლა და ჰიტცფელდის წინააღმდეგ გაილაშქრა. ულიმ თქვა, არა მგონია, სწორი გადაწყვეტილება ყოფილიყო ის, რომ მწვრთნელმა გუნდი შეასუსტაო. ცხადია, ამაში არგენტინელის განაცხადს მიღმა დატოვება იგულისხმა. ფაქტია, რომ ამ განცხადებით ჰიონესმა ჰიტცფელდს შეურაცხყოფა მიაყენა...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი:** კანი, ლელი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ჰამით ალთინთოფი, ვან ბომელი, ზე რობერტო, რიბერი, კლოზე, პოდოლსკი.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო, რიტერი, რიკარდო კოშტა, მადლუნგი, მ. შეფერი, გენტნერი, ჟოსუე, ჰასებე, მარსელინიო, დეჟაგა (ან ლიუბოჟა), გრაფიტე.

**გოტფრიდ ლენცი**

ვილიარეალი

# აი, პრეზიდენტი!

## უფასო ბილეთები ლევანტესთან მატჩისთვის. პრეზიდენტი ქომაგებს მადლობას უხდის



ფრანსისკო როიგი ხელგაშლილია

"ვილიარეალი" არსებობის განმავლობაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. **მანუელ პელეგრინის** ბიჭები ახლოს არიან მიზანთან, რომ "ბარსელონას" გადაასწრონ და მეორე ადგილი დაისაკუთრონ. ამ ამოცანის გადასაჭრელად, ერთ-ერთი აუცილებელი ნაბიჯია, "ყვითელმა სუბმარინმა" მომავალ უქმეებზე "ლევანტეს" გასვლითი შეხვედრა მოუგოს. კლუბის ხელმძღვანელობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. ისინი, კლუბის ხარჯებით, 500 გულშემატკივარს ვალენსიაში ჩაიყვანენ და მატჩის ბილეთებს საჩუქრად გადასცემენ. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით პრეზიდენტ **ფრანსისკო როიგის** პრესკონფერენციის ერთ ფრაგმენტს გაგაცნობთ:

*"გადავწყვიტეთ, ჩვენს გულშემატკივრებს საჩუქარი გავუკეთოთ. ვფიქრობ, მათ ეს დაიმსახურეს. ინჩასები ყოველთვის მხარში გვიდგანან. ჩვენი პატარა ქალაქი "ვილიარეალის" ცხოვრებით ცხოვრობს. ხალხის დახმარება არასოდეს მოგვკლებია. მათი წყალობით არაერთი ქულა მოვიპოვეთ. ამიტომ, თავს ვალდებულად ვთვლით, შემხვედრი ნაბიჯი გადავდგათ და ინჩასები ვალენსიაში ჩავიყვანოთ. ავტობუსების მთელი კოლონა დავიქირავეთ. მათ დროშებით მოვრთავთ და "ლევანტეს" სტადიონისკენ ავიღებთ გეზს. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ "ვილიარეალის" დასახმარებლად კეთდება. მომდევნო ტურის ორთაბრძოლა აუცილებლად უნდა მოვიგოთ. დარწმუნებული ვარ, ქომაგები, მე-12 ფეხბურთელის ფუნქციას წარმატებით შეასრულებენ".*

უნდა აღინიშნოს, რომ "ვილიარეალს" დიდი ფული არ დაეხარჯება, რადგან ვალენსია მათი ქალაქიდან სულ რაღაც 38 კილომეტრშია.

ინციდენტის შემდეგ

# მოგება ბილბაოს!

ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციამ "ბეტისისა" და "ბილბაოს" შაბათის მატჩში მომხდარი ინციდენტი განიხილა. მკითხველს შევახსენებთ, რომ "რუის დე ლოპერაზე" შეხვედრა 69-ე წუთზე შეწყდა, როცა ვილაც 40 წლის ხულიგანმა სტუმრების მეკარე **არმანდოს** კარსუკანა ტრიბუნიდან თავში ბოთლი სთხლიშა და კინაღამ საიქიოს გაისტუმრა. თამაში შეწყდა და აღარ განახლებულა. ამ მომენტისთვის, "ბილბაო" 2:1-ს იგებდა. დისციპლინარული ვერდიქტით, ბასკურ კრებულს მოგება ჩაეთვალა (2:1 ძალაში დატოვეს), "ბეტისის" სტადიონი 2-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, ხოლო თავად კლუბი, ჯარიმის სახით, 9 ათას ევროს (14.230 დოლარი) გადაიხდის. ამავე დროს, სევილიურ კლუბს უფლება დაუტოვეს, განაჩენი გაასაჩივროს.



ინტერვიუ ჩავი ერნანდესთან

# ბარსელონას სიბრძნე აკლია

## კატალონიური გრანდის ნახევარმცველი უაღრესად თვითკრიტიკულია

**გასულ უქმეებზე "ბარსელონამ" მორიგი წარუმატებლობა იგემა. მიუხედავად იმისა, რომ "ალმერია" საკმაოდ კარგად გამოიყურება და მასზე ძლიერ გუნდებს ტოლს არ უდებს, კატალონიური გრანდი, უბრალოდ, ვალდებული იყო, ეს თამაში მოეგო. მას შემდეგ, რაც "რეალმა" "რიასორზე" "დეპორტივოსთან" წააგო, ფრენკ რაიკაარდის ბიჭებს შესანიშნავი შანსი მიეცათ, რომ პრიმერა დივიზიონის ლიდერთან სხვაობა შეემცირებინათ. მართალია, "ბარსა" სამეფო კლუბს ერთი ქულით მიუახლოვდა, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი წარმატებაა. პირიქით, ესპანურმა პრესამ კატალონიელები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. აღსანიშნავია, რომ თავად ფეხბურთელებიც თვითკრიტიკულები არიან. "დიარიო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჩავი ერნანდესმა ღიად და დაუფარავად განაცხადა, რომ ამ "ბარსელონას" ანგარიშის შენარჩუნება არ შეუძლია. ძნელია ჩავის შეეწინააღმდეგო, მიმდინარე სეზონში არაერთხელ გვინახავს, რომ დაწინაურების შემდეგ "ბარსა" უპირატესობას ვერ ინარჩუნებდა და ქულებს კარგავდა.**



ჩავი ერნანდესი

**- როგორ გრძნობთ თავს?**

- წარმოდგენა არ მაქვს, სხვები ამ კითხვას როგორ უპასუხებენ, მაგრამ პირადად მე ქუჩის ნაცემი ძაღლივით ვგრძნობ თავს. ჰაერივით საჭირო გამარჯვება გავუშვით ხელიდან. საკვირაო შეხვედრა ძალიან ბევრი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს. ყველა დეტალზე რომ ვისაუბროთ, ძალიან შორს წავალთ.

**- ასე იოლად ვერ დაიძვრენთ თავს. რა თქმა უნდა, თავადაც მშვენივრად ხვდებით, რომ საზოგადოებას სწორედ ეს დასკვნები აინტერესებს. გისმენთ...**

- ამ "ბარსელონას" უპირატესობის შენარჩუნება არ ეხერხება. აღარც კი მახსოვს, რამდენ შეხვედრაში გავხსენით ანგარიში, მაგრამ საქმე გამარჯვებამდე ვერ მივიყვანეთ. "ბარსელონას" სიბრძნე აკლია. ძალიან საკვირველია, რადგან რამდენიმე წლის წინათ ფაქტობრივად, იგივე შემადგენლობამ ფანტასტიკურ შედეგებს მიაღწია. ყველაფერი მოვიგეთ, რისი მოგებაც შეიძლებოდა. სამწუხაროდ, ბოლო ორი სეზონია ძალიან ცუდად ვთამაშობთ.

**- სხვათა შორის, ჩიკი ბეგირისტაინი თქვენზე უფრო იმედგაცრუებულია....**

- არც მიკვირს. ის გენერალური დირექტორია და "ბარსელონას" წარმატებებისთვის ფანატიკურად მუშაობს. თქვენ როგორი გრძნობა დაგეუფლებოდათ, დღე და ღამ რომ მუშაობდეთ, მაგრამ ამ შრომას შედეგი არ ჰქონდეს? საშინელებაა. მრცხვენია მათთვის თვალებში ჩახედვის. თუმცა ჩიკის ერთ საკითხში არ ვეთანხმები. მან განაცხადა, რომ მოწინააღმდეგეს ზედიზედ მეორე საჩემპიონო ტიტულს ვჩუქნით. ჩუქება ამ შემთხვევაში არასწორი ფორმულირებაა. მერწმუნეთ, ჩვენც თავდაუზოგავად ვმუშაობთ, მაგრამ საქმე არ გამოგვდის.

**- ყველაზე მეტად რაზე გტკივათ გული?**

- იმაზე რომ ლიდერთან მიახლოვების შესანიშანავი შანსი დავკარგეთ. საქმე მხოლოდ "ალმერიასთან" დაკარგულ ორ ქულას არ ეხება. მანამდე ზედიზედ ორი თამაში წავაგეთ და სამეფო კლუბს ამით განუმეორებელი საჩუქარი მივართვით. წარმოიდგინეთ, ბოლო სამ ტურში მხოლოდ ერთი ქულა მოვიპოვეთ. ასეთი მაჩვენებლით რას უნდა მივაღწიოთ? რა თქმა უნდა, შორს ვერ წავალთ. "რეალმა" არაერთი შანსი მოგვცა იმისთვის, რომ პირველი ადგილი დაგვეკავებინა. საუბედუროდ, ქულები უმოწყალოდ გავფლანგეთ და მადრიდელები კვლავ სოლიდური სხვაობით ლიდერობენ. მაგრამ იმედი მაინც არ უნდა დავკარგოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ.

**- ხმები დადის, "ბარსელონამ" პრიმერა დივიზიონი ფეხებზე დაიკიდა და ჩემპიონთა ლიგაზე გადაერთოო...**

- სრული აბსურდია. როგორ ფიქრობთ, გულშემატკივრების ვნებები ფეხებზე გვკიდია? ხალხი ბილეთს ყიდულობს, ფულს ხარჯავს და ჩვენ თავს უფლებას ვერ მივცემთ, რომ ბოლომდე არ დავიხარჯოთ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრიმერა დივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგის ფორმატი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. ეროვნული ჩემპიონატი სტაბილურობას მოითხოვს. თუ ზედიზედ რამდენიმე მატჩს მაინც არ მოიგებ, შორს ვერასოდეს წახვალ. ჩემპიონთა ლიგაში კი ყოველთვის შეიძლება ერთი კონკრეტული მატჩი პრობლემების მიუხედავად უმაღლეს დონეზე ჩაატარო და გაიმარჯვო. მეოთხედფინალში უპრობლემოდ გავედით, მაგრამ ამის გამო არ უნდა ვიფიქროთ, რომ პრიმერა დივიზიონი ფეხებზე გვკიდია. სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგა ესპანეთის პირველობისგან კიდევ ერთი გარემოებით განსხვავდება. პლეი ოფში ყოველთვის იცი, რომ საკუთარი შესაძლებლობები გამომჟღავნებისა და წარმატებისთვის ერთი შანსი გაქვს. ეს ფიქრი განსაკუთრებულ მოტივაციას გძენს. თუმცა წარმატების გარანტია არსად გვაქვს. ყველგან და ყოველთვის შეიძლება წააგო.

**- წელან თქვით, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე უნდა იბრძოლო. მართლა გჯერათ, რომ ჰანდიკაპის ამოქაჩვას შეძლებთ?**

- სეზონის დასრულებამდე ათი ტური დარჩენილი. ჩემი აზრით, შანსი ჯერაც არ დაგვიკარგავს, მაგრამ გულწრფელად ვიტყვი, რომ ძალიან რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ. პატარა სასწაული უნდა მოხდეს, რომ "რეალს" გადავასწროთ. მართლაც დიდი სირთულის მიუხედავად, ბრძოლის ნაადრევად შეწყვეტას არავინ აპირებს. გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ "ბარსელონა" იქამდე იბრძოლებს სანამ ჩემპიონობის თეორიული შანსი ექნება.

**- რეალობის შეგრძნება ხომ არ დაკარგეთ? ჩემპიონობაზე საუბრობთ, მაგრამ ის დაგავიწყდათ, რომ "ვილიარეალი" ნამოგეპარათ. დიდია შანსი იმისა, რომ "ყვითელმა სუბმარინმა" მეორე ადგილი წაგართვათ.**

- ეგლა გვაკლია მეორე ადგილიც დავკარგოთ. "ვილიარეალი" ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ გადაგვასწროს. ვფიქრობ, ეს გამორიცხულია. მართალია, სხვაობა მხოლოდ და მხოლოდ ორ ქულას შეადგენს, მაგრამ ეს არ გვაშინებს. სიმართლე გითხრათ, "ბარსელონას" მთავარი საზრუნავი მაინც პირველობისთვის ბრძოლაა. პირადად ჩემთვის მეორე ადგილის შენარჩუნებაზე საუბარი შეურაცხმყოფელია.

**- "ალმერია" სტანდარტული მდგომარეობების გათამაშებისას ძალიან სახიფათოა. შეუძლებელია, არ გცოდნოდათ, რომ ანდალუსიელებმა მიმდინარე სეზონში 17 გოლი სწორედ სტანდარტულებით გაიტანეს.**

- რა თქმა უნდა, ამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია გვქონდა, მაგრამ რად გინდა, მაინც დავისაჯეთ. საგანგებოდ ვემზადებოდით, თუმცა ორივე გოლი კუთხურიდან მივიღეთ. ჩვენ მრავალფეროვან სამუშაოს ვასრულებთ. მხოლოდ ვარჯიშებით არ ვკმაყოფილდებით. თეორიულ მეცადინეობებსაც დიდ ყურადღებას ვუთმობთ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ "ალმერიასთან" მატჩის წინ უამრავ ვიდეო ფირს ვუყურეთ. ვცდილობდით, ანდალუსიელთა საიდუმლო გაგვეშიფრა. თითქოს მივხვდით, მათი სტანდარტულებისთვის რა უნდა დაგვეპირისპირებინა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ორივე გოლი კუთხურიდან შეგვიგდეს. დამღუპველი შეცდომები დავუშვით.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ რაიკაარდი დაცვას საჭირო დროს არ უთმობს. იქნებ კვალიფიკაცია აკლია?**

- არა, ასე არ ვფიქრობ. რაიკაარდი დაცვის ორგანიზებას დიდ დროს უთმობს. კვალიფიკაციას რაც შეეხება, ჩვენი მწვრთნელის შესაძლებლობებზე ახალი რა უნდა ვთქვა? მას დასამტკიცებელი არაფერი აქვს.

**- რონალდინიოს რა სჭირს?**

- ტრავმა აწუხებს. თავს ცუდად გრძნობს. ყველას ვთხოვ, რონალდინიოს თავს ნუ დაესხმებიან. მას თანადგომა სჭირდება. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად აუტანელია, როცა პრესა მუდმივად გლანძღავს. კიდევ კარგი, გულშემატკივართა უმრავლესობა ბრაზილიელს თანაუგრძნობს.

**- "შალკეს" შესახებაც მინდა გკითხოთ. კმაყოფილი ხართ ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრით?**

- სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეტ-ნაკლებად გაგვიმართლა. "შალკეს" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება აკლია. თუ არ ვცდები, მეოთხედფინალში ეს გუნდი პირველად ითამაშებს. მიუხედავად ამისა, წამითაც არ უნდა მოვდუნდეთ. შესაძლოა, სტერეოტიპულ მოსაზრებად მოგეჩვენოთ, მაგრამ გერმანელების დამარცხება საფინალო სასტვენის შემდეგაც არ უნდა დაიჯერო. აი, შხაპის გადავლების შემდეგ კი შეგიძლია მშვიდად ამოისუნთქო. ვფიქრობ, კარგი შანსი გვაქვს იმისთვის, რომ ნახევარფინალში გავიდეთ.

**- მომდევნო ეტაპზე "რომას" ისურვებდით, თუ "მანჩესტერს"?**

- ამაზე საუბარი ნაადრევია. ჯერ "შალკე" უნდა დავამარცხოთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ნიუკასლი

# ელერდაისი: არ გააგდოთ კიგანი!

## ვიდუკას პრობლემები აქვს, გივენმა შეიძლება სეზონი დაასრულოს



კევინ კიგანი

**სემ ელერდაისი** "ნიუკასლის" ხელმძღვანელობას ურჩევს, **კევინ კიგანს** მუშაობის გაგრძელების საშუალება მისცენ. "ბოლტონის" ყოფილმა თავკაცმა ჯორდების სათავეში რვა თვე გაატარა (ყველა ტურნირში 24 მატჩი: 8 მოგება, 10 ფრე და 6 მარცხი). ის მთავარ მწვრთნელად გასული წლის მაისში, სეზონის დასრულებამდე დაინიშნა, თუმცა მუშაობას ზაფხულში შეუდგა. კლუბმა სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ შობისა და ახალი წლის დღეებში პრობლემები შეექმნა, ხოლო როდესაც აუტსაიდერ "ვიგანსა" და "დერბისთან" მატჩებში, ექვსი შესაძლებლიდან მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა, კარისკენ მიუთითეს. ეს 9 იანვარს მოხდა. მის შემცვლელად ყოფილი დამრიგებელი კიგანი დანიშნეს, მაგრამ მისტერ კევინმა ელერდაისზე უარესი შედეგები აჩვენა. ორშაბათს "ნიუკასლი" "ბირმინგემ სიტის" ესტუმრა და 1:1 ითამაშა. ეს კიგანის მეცხრე მატჩი იყო ჯორდების მთავარი მწვრთნელის რანგში. მას ერთხელაც არ მოუგია. მის ხელში გუნდი გასავარდნი ზონის უშუალო სიახლოვეს დაეშვა.

ამბიციური კლუბი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. მიმომხილველთა აზრით, "ნიუკასლის" გასაჭირი მისი თავმჯდომარისა და მფლობელის, **მაიკ ეშლის** მოუთმენლობის ბრალია. ელერდაისის დათხოვნა ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო. ახლა თვით ელერდაისი სთხოვს მისტერ ეშლის, კიგანის შემთხვევაში, ძველი შეცდომა აღარ გაიმეორონ: "ეშლიზე ნაწყენი აღარ ვარ, გადამიარა, თუმცა გული მწყდება, რომ მუშაობის გაგრძელების საშუალება არ მომეცა. მხოლოდ მოთმინება და ნებისყოფა იყო საჭირო. განა შეიძლება, ცათამბრჯენის ერთ თვეში აშენება?"

"ნიუკასლზე" საუბარს ორი ინფორმაციით გავაგრძელებთ. "დეილი მეილის" ცნობით, **მარკ ვიდუკასა** და კლუბის ხელმძღვანელობას შორის კონფლიქტი მწვავდება. "ნიუკასლის" ზოგიერთი მაღალჩინოსანი მოხელე ავსტრალიელ თავდამსხმელს მონდომებას უწუნებს. მას ძირითად შემადგენლობაში ახალი წლის შემდეგ არ ეთამაშა და მხოლოდ "ბირმინგემთან" მატჩისას მიეცა თავის გამოჩენის შანსი. ვიდუკას უთამაშებლობის მიზეზი ტრავმა გახლდათ. ამიტომ ფეხბურთელისათვის აბსოლუტურად მიუღებელია ის პრეტენზიები, რომელსაც მისი მისამართით გამოთქვამენ.

ჯორდებს კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი ჰყავთ დაშავებული - ირლანდიელი მეკარე **შეი გივენი**. მას საზარდული აწუხებს და შესაძლოა, ამ სეზონში ველარ ითამაშოს. მან ბირმინგემთან შეხვედრა გამოტოვა. მატჩის მეორე დღეს გივენი გერმანიაში წაიყვანეს. არ იყო გამორიცხული, ფეხბურთელისთვის ოპერაცია გაეკეთებინათ. ასეთ შემთხვევაში, მის ფეხზე დადგომას მინიმუმ ექვსი კვირა დასჭირდება. მის არყოფნაში ჯორდების კარს **სტივ ჰარპერი** დაიცავს.

### მილანი მესამე მეკარის იმედად

"მილანს" "ტოტენჰემთან" გარიგება სურს. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, "როსონერი" **დიმიტარ ბერბატოვით** დაინტერესდა. ის ლონდონელებს სოლიდურ თანხასა და დარიო შიმიჩს შესთავაზებს. ბერბატოვმა "მილანის" გააქტიურების ამბავი იცის. ამიტომ "ტოტენჰემთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ამასობაში, "მილანმა" **ჟელკო კალაჩს** თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზა. ავსტრალიელი გოლკიპერი ახალი წლის შემდეგ შეუცვლელად თამაშობს. "გაძეტა დელო სპორტი" წერს, რომ მილანელებმა მას ახალი, ორწლიანი ხელშეკრულება და გაუმჯობესებული პირობები შესთავაზეს. ამ ხნის განმავლობაში კალაჩს 2.5 მილიონ ევროს გადაუხდიან. იმასაც გეტყვით, რომ ჟელკომ გუშინდელი ვარჯიშისას მუხლი იტკინა და დღეს "სამპდორიასთან", შეიძლება, ვერ ითამაშოს. "როსონერის" ბრაზილიელი მეკარე **ნელსონ დიდაც** დაშავებული ჰყავს.

ორი გოლკიპერის არყოფნაში თავის გამოჩენის იშვიათი შანსი მიეცემა **ვალერიო ფიორის**. ის 38 წლისაა. ფეხბურთელი მილანში 1999 წელს, პიაჩენციდან გადავიდა და გასულ რვა წელიწადში ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ სამჯერ ითამაშა: ერთხელ სერია A-ში, ერთხელ - იტალიის თასზე და ერთხელაც ამხანაგურ მატჩში.

### კიუელს სელტიკი ეპატიჟება

"სელტიკს" ლივერპულელი **ჰარი კიუელის** გადაბირება სურს. 29 წლის ავსტრალიელს მერსისაიდული კონტრაქტი ივნისში ეწურება. ის თავისუფალი აგენტი ხდება. ლივერპულელები ახალი კონტრაქტის შეთავაზებას არ ჩქარობენ. მის ოსტატობაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ კიუელი ქრონიკულად ავადმყოფობს. ის "ენფილდზე" 2003 წელს გადავიდა. ხუთ წელიწადში მხოლოდ 93 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი შეაგდო. ჰარის ტრავმები ოდნავადაც არ აშინებს გლაზგოელთა თავკაც **გორდონ სტრაჩანს**. შოტლანდიური გაზეთების მტკიცებით, ის ფეხბურთელს უკვე ესაუბრა და შეთანხმებაც თითქმის მიღწეულია. "სელტიკში" კიდევ ერთი ავსტრალიელი ლეგიონერი, **სკოტ მაკდონალდი** თამაშობს. ის ალბიონზე სადებიუტო სეზონს ატარებს და უკვე საყოველთაო აღიარება დაიმსახურა.

პორტრეტი

# არტისტი და ანარქისტი

## მარჩელო ლიპი: ბაიერნში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი თამაშობს

**ზოგჯერ ფრანკ რიბერისაც უთენდება ხოლმე ცუდი დღე. მაგალითად ისეთი, როგორიც გასულ შაბათს, როცა მისმა "ბაიერნმა" "კოტბუსთან" წააგო, ფრანგი კი რეკორდმაისტერს ვერაფრით დაეხმარა (პირიქით, პენალტი ვერ გამოიყენა). მაგრამ უმეტეს შემთხვევებში რიბერი მიუნხენელ ქომაგებს აღაფრთოვანებს. რა როლი აქვს 24 წლის ნახევარმცველს მსოფლიო ფეხბურთში?**

...და უცებ მარჯვენა ფეხს მუხლიდან 30 გრადუსით ხრის, მკერდით ბურთს წინ იგდებს და ორ ფეხბურთელს შორის ძვრება. ცხადია, ორზე შეჩერება არ შეიძლება – მესამე, მეოთხე, მეხუთე... და მერე პასი ან შედეგიანი დარტყმა. ამ შემთხვევაში მის მორიგ დრიბლინგს გოლი მოჰყვა და ანგარიში 2:0 გახდა "ბაიერნის" სასარგებლოდ.

გეტყვით, რომ ეს მომენტი "ბაიერნისა" "კარლსრუეს" შეხვედრიდანაა, რომელშიც ფრანგმა ნახევარმცველმა **ფრანკ რიბერიმ** კიდევ ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა. არადა, მას "კარლსრუეს" 4 ფეხბურთელი (!) მეურვეობდა. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ოთხივე მათგანი ძალიან სუსტი იყო და რომ მათ რიბერის საქმე გაუადვილეს, მით უმეტეს, რომ ტელევიზორში ან ტრიბუნიდან ყველაფერი გაცილებით იოლი მოჩანს, მაგრამ დაგვერწმუნეთ, ოთხი ფეხბურთელის მოტყუება, თანაც ასეთი სისწრაფით, ადვილი არ არის. სისწრაფე და სრულყოფილი ტექნიკა რიბერის ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო დრიბლიორად წარმოადგენს. ერთ-ერთი კი იმიტომ ვიხმარეთ, რომ ბუნდესლიგაში თამაშობს ბრაზილიელი **დიეგოც**...

"შალკეს" საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი**, რომელსაც "ბაიერნთან" მატჩის დროს უშუალოდ რიბერისთან მოუწია ჭიდილი, ამბობს, რომ ფრანგ დრიბლიორთან ბრძოლას მთელ რიგ შემთხვევებში აზრიც კი არა აქვს. ჯონსის თქმით, რიბერის მთავარი კოზირი ის არის, რომ სიმაღლეში 1.70 მეტრია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელებს შორის ისე ძვრება, რომ უხეშობის გარეშე მისთვის ბურთის წართმევა შეუძლებელია. *"სანამ მოიფიქრებ, როგორ აართვა ბურთი, უკვე მოტყუებული ჰყავხარ,"* – ეს "კარლსრუეს" მარჯვენა მცველის, **ანდრეას გიორლიტცის** სიტყვებია, რომელიც ფრანგს მსოფლიო კლასის ფეხბურთელს უწოდებს. ზამთარში რიბერის ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმაც ეს სტატუსი მიანიჭეს. რამდენად იმსახურებს ფრანგი ამას?

*"იმსახურებს და მერე როგორ!"* – ამბობს **მარჩელო ლიპი**, - *"ფრანკ რიბერი მესისთან, კრისტიანო რონალდოსთან და კაკასთან ერთად მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია! მის პოეზიას ვერაფრით უმკლავდებიან."* და რა უფლება გვაქვს, მაესტროს შევეკამათოთ?

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ლიპი არ მალავს, რომ **ლეო მესის** რიბერიზე წინ აყენებს, რადგან არგენტინელის აჩქარება და თავდაჯერებულობა ძალიან მოსწონს, რიბერის შემთხვევაში კი მარჩელო არტისტიზმითაა მოხიბლული. თანაც, ისევე, როგორც ლიპი, სხვა სპეციალისტებიც მუდმივად ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ რიბერი არ ფიქრობს მხოლოდ საკუთარ თავზე – მიუხედავად იმისა, რომ იდეალური დრიბლიორია, **კრისტიანო რონალდოს** არ ჰგავს და ყოველთვის გუნდურ ფეხბურთს თამაშობს.



ფრანკ რიბერი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო?

ამასვე ამბობს საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რაიმონ დომენეკიც**: *"ფრანკი საკუთარ იმიჯზე არასდროს ფიქრობს, ის მუდამ გუნდის ნაწილია."*

დომენეკმა რიბერი 2006 წლის მუნდიალზე რომ წაიყვანა, ფრანკი მსოფლიომ და გენიალურმა **ზინედინ ზიდანმაც** მაშინ გაიცნო. დომენეკი ამბობს, ზიზუს სულ ფეხებში უყურებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ესწავლაო. ზიდანი: *"თავიდანვე ისე ათამაშდა, რომ ზეწოლა ოდნავადაც არ უგრძვნია, ადაპტაციისთვის პერიოდი არ დასჭირდა. იმიტომ, რომ მსუბუქი პიროვნებაა და ყველანაირ სიტუაციას იოლად ერგება. ხომ ხედავთ, "ბაიერნშიც" თავიდანვე შესანიშნავად ათამაშდა."*

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოველი მატჩი და მეტიც, ყოველი ვარჯიში რიბერის უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. ეს კი თანამედროვე ფეხბურთში იშვიათი შემთხვევაა. *"ყოველთვის ისეთი ენთუზიაზმით ვარჯიშობს, რომ იფიქრებთ, 17 წლისაა და პირველ გუნდში ახლახან გადმოიყვანესო,"* – აცხადებს ბავარიელთა თავკაცი **ოტმარ ჰიტცფელდი**. თვითონ ფრანკი კი ამბობს, რომ მისთვის ფეხბურთი არის "თამაში საზღვრების გარეშე" და "მაქსიმალური თავისუფლებით". ამიტომაცაა, რომ რიბერის ძალიან უყვარს ჰიტცფელდი, რომელმაც მას მოედანზე სრული თავისუფლება მიანიჭა. ამბობს, საფრანგეთში ასე არ ვიყავი, ყოველთვის მაიძულებდნენ, რომ ჩარჩოებში ვმჯდარიყავი და მეკეთებინა მხოლოდ ის, რასაც დამავალებდნენო. ასე ყოფილა "გალათასარაიშიც". "ბაიერნში" კი მან სრული თავისუფლება მიიღო და იმედი აქვს, რომ ამ მხრივ არც რეკორდმაისტერის მომავალი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** შეზღუდავს. პრინციპში, ეს არც არის მოსალოდნელი, რადგან კლინსი, პირველ რიგში სწორედ ვირტუოზული და თავისუფალი, შემტევი ფეხბურთის მოყვარული სპეციალისტია.

*"როცა მარცხენა ფლანგზე ვდგავარ, მწვრთნელი დაცვისთვის მიხმარებას არ მავალებს, რის გამოც დიდად ვემადლიერები. ამ ამოცანას ფილიპ ლამი და ხშირად მარსელ იანსენიც ჩინებულად ასრულებენ ხოლმე. შესაბამისად, მეც არჩევანში თავისუფალი ვარ და შემიძლია, პერიოდულად ცენტრში გადავინაცვლო ან ცენტრ-ფორვარდის პოზიციაზე ამოვჩნდე,"* – აცხადებს რიბერი, რომელსაც თანამემამულე **ლილიან ტიურამი** მსოფლიოში ყველაზე ამოუცნობ ფეხბურთელს უწოდებს. *"ის ფეხბურთის არტისტი და ანარქისტია,"* – ამბობს ტიურამი.

რიბერი არასდროს მალავდა, რომ ყველაზე უკეთ თავს მარცხენა ფლანგზე გრძნობს. მაგრამ ეს სურვილი მას მხოლოდ ჰიტცფელდმა შეუსრულა. აი, დომენეკი კი ჯიუტად მარჯვენა ფლანგზე ამწესებს. თავად განსაჯეთ: ბოლო 15 მატჩიდან, რიბერიმ საფრანგეთის ნაკრებში 12 შეხვედრაში მარჯვნივ ითამაშა, 2-ჯერ ცენტრში და მხოლოდ ერთხელ მარცხნივ.

არავის უკვირს ის, რომ რიბერი ბუნდესლიგაში პირველივე სეზონში გაბრწყინდა და გერმანიის პირველობის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად იქცა. მისი მიზანი მინიმუმ სამი საკლუბო ტიტულის მოგება და მერე ევროპის ჩემპიონობაა. და კიდევ: გენიალური დრიბლიორი ოქროს ბურთზეც ოცნებობს...

"ბაიერნის" "დიდების დარბაზიდან" დღემდე მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა შეძლო ამ ჯილდოს მოგება: 1970 წელს **გერდ მიულერმა**, 1972 და 1976 წლებში **ფრანც ბეკენბაუერმა**, 1980 და 1981 წლებში კი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** იყო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. რიბერის თანამემამულე **მიშელ პლატინის** ოქროს ბურთი ზედიზედ სამჯერ (1983, 1984, 1985) აქვს მოგებული. ბოლო ფრანგი კი, რომელსაც ეს პატივი წილად ხვდა, ზიდანი იყო (1998).

*"ბაიერნს" მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ჰყავს!"* – ამბობს მარჩელო ლიპი და იქვე დასძენს, - *„ფრანკ რიბერი ნებისმიერ ლიგასა თუ გრანდს მაშინვე თავის ხელს დაატყობდა."* ასე რომ, ის 25 მილიონი ევრო, რომელიც მიუნხენელებმა მის სანაცვლოდ გადაიხადეს, ყველა შემთხვევაში ათიანში მორტყმული ინვესტიციაა.

თუმცა გასულ შაბათს გამოჩნდა, რომ არც რიბერია სრულყოფილი ფეხბურთელი, რომელიც ყოველთვის სუპერ-ფეხბურთს თამაშობს. გასულ უქმეებზე მან "კოტბუსთან" პენალტი ვერ გაიტანა. ისიც ადამიანია...

**გოტფრიდ ლენცი**



### რომა შეიძლება ამერიკელმა შეიძინოს

ერთი კვირის წინათ "რომამ" კატეგორიულად უარჰყო ინფორმაცია კლუბის მოსალოდნელი გაყიდვის თაობაზე. იტალიური გაზეთების მტკიცებით, "ჯალოროსის" შეძენას ამერიკელი ბიზნესმენი **კეისი ვასერმანი** აპირებდა. "გაძეტა დელო სპორტმა" დაადგინა, რომ ვასერმანი კლუბს ნამდვილად არ შეიძენს. ის არც არასოდეს ყოფილა პოტენციური ინვესტორი. ვასერმანი სხვა ამერიკელი ბიზნესმენის სახელით აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ამ ბიზნესმენს **ჯონ ჯოზეფ ფიშერი** ჰქვია და ტანსაცმლის მწარმოებელი სახელგანთქმული კომპანია გეპის დამფუძნებელია. ფიშერი მილიარდერია. ის მზადაა, რომაში სოლიდური თანხა დააბანდოს და კლუბის ვალებიც საკუთარ თავზე აიღოს. ფიშერმა კარგად იცის რომაელთა ისტორია და დღევანდელი პრეზიდენტის, **ფრანკო სენსის** დამსახურება ამ კლუბის წინაშე. ამიტომ გარიგების შემთხვევაში მზადაა, სენსი საპატიო პრეზიდენტად დანიშნოს.



მოლაპარაკებებში რომას გენერალური მენეჯერი როზელა სენსი მონაწილეობს

### ბილიჩმა ჰამბურგი დაადასტურა

ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სლავენ ბილიჩმა** დაადასტურა, რომ „ჰამბურგს" მისი გადაბირება სურს. *„დიახ, „ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა ოფიციალურად მითხრეს, რომ ჩემით არიან დაინტერესებულები. მკითხეს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ რა გეგმები გაქვთო,"* - ბილიჩმა ისიც აღნიშნა, რომ კონკრეტულ დეტალებზე ჯერ არ უსაუბრია, მოსაფიქრებელი დრო ვითხოვეო.

დაპირისპირება

# შვაინშტაიგერი: ეფენბერგს ვერ ვიტან!

## შეიძლება იმიტომ, რომ ის ვერ გახდა ახალი ეფე...

გუშინდელ ნომერში წაიკითხავდით, რომ **შტეფან ეფენბერგმა** „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი **ბასტიან შვაინშტაიგერი** გააკრიტიკა, თქვა, რეგრესი განიცადა და დიდი შანსია, რომ მისი ტალანტი დაიკარგოს, მე მას „ბაიერნის" დატოვებას ვურჩევო. შვაინიმ შტეფანის შეტევა უპასუხოდ არ დატოვა და ლეგენდარულ ეფეს პასუხი ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე გასცა.

*„თუ ადამიანს გული თავის ადგილზე აქვს, ასეთ რამეს არ იტყვის. ფეხბურთელ ეფენბერგს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ როგორც პიროვნებას, ყოველთვის ვერ ვიტანდი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეფენბერგი აღარ არის „ბაიერნი" და აღარც „ბაიერნია" ეფენბერგი,"* – განაცხადა შვაინიმ საკმაოდ ხმამაღალი ტონით და იქვე დასძინა, - *„თუ რამის თქმა უნდა, დამიკავშირდეს და სიამოვნებით გავესაუბრები. საჯაროდ კრიტიკა ლამაზი არ არის."*

შვაინშტაიგერს მხარში დაუდგა ბავარიული გრანდის კაპიტანი **ოლივერ კანიც**. ოლიმ განაცხადა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შვაინი 23 წლისაა და შესაბამისად, ჯერ ძალიან ახალგაზრდააო. კანი არ მიიჩნევს, რომ შვაინშტაიგერმა 2006 წლის მუნდიალის შემდეგ რეგრესი განიცადა. არადა, ბასტიანი მართლაც საშინელ სეზონს ატარებს. გასულ შაბათს, „კოტბუსთან" შეხვედრაში **ოტმარ ჰიტცფელდმა** ის შესვენების შემდეგ შეცვალა. მიმდინარე სეზონში ბასტიმ ბუნდესლიგაში 21 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, რაც მისთვის ძალიან ცუდი შედეგია. უეფასა და გერმანიის თასზე კი ერთი გოლიც არ გაუტანია.



ბასტიან შვაინშტაიგერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

# საფეხბურთო ისტორიები

ხორხე ვალდანო



(დასაწყისი №41)

## მადლობა, მაესტრო!

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატს დავუბრუნდები, სადაც მეხიკოში, "აცტეკას" სტადიონზე არგენტინა და გერმანია ხვდებოდნენ და სადაც **ლოთარს** სულ ცოტა დააკლდა იმისთვის, რომ ოთხი წლით ადრე გამხდარიყო მსოფლიო ჩემპიონი. 3:2 - მოიგო არგენტინამ, მონაწილეობას ვიღებდი იმ ეპოპეაში და შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ჩვენი მწვრთნელი **კარლოს ბილარდოც** არ ამბობდა უარს ნახევარფაბრიკატულ, გეომეტრიულ ფეხბურთზე, თუმცა მის განკარგულებაში სხვა ყაიდის ფეხბურთელები იყვნენ.

მარადონაზე აღარ ვილაპარაკებ და ყურადღებას გადავიტან ჩემპიონთა კომპანიაში ბევრისთვის შეუმჩნეველ **რიკარდო ბოჩინიზე**, მეტსახელად Bocha ("მოუხელთებელი"). ეს არის ფეხბურთის **ვუდი ალენი**. სხეული, რომელიც არაფრისთვის გამოდგება, გამომეტყველება, რომელიც წაგებისთვის არის განწირული, სამაგიეროდ ნიჭი უდიდესი და მარჯვე. ნათელი მაგალითი იმისა, რომ ფეხბურთში კერპი გარეგნობით არ განისაზღვრება. ის ქურდს ჰგავდა, რომელიც ურთულეს სეიფს უსმენს, რათა გასაღების შიფრი გაიგოს. ბოჩამ ფეხბურთი 90-იანების დასაწყისში დატოვა, 37 წლის ასაკში. სიმაღლე -168, წონა - 67.

მისი სამუშაო ფეხია - მარჯვენა, მაგრამ ის არ ურტყამდა, არამედ ფეხს კრავდა ბურთს. თავით დარტყმა? არც იფიქროთ: ეტყობა, თავის ოთხ ლერთმას უფრთხილდებოდა. ვარჯიშებზე თავს არ იკლავდა და როცა მუშაობას დააპირებდა, აღმოჩნდებოდა, რომ უკვე დაგვიანებული იყო. მაგრამ დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ: ის გენიოსი იყო, რომელსაც თავი იმისთვის სჭირდებოდა, რომ სასწაულები მოეფიქრებინა, მარჯვენა ფეხი - რომ ეს სასწაულები განეხორციელებინა, ტანი - მეტოქეები რომ მოეტყუებინა. და მაინც, როგორ უნდა აიხსნას მისი სიდიადე?

ეს არის იმ ნაკლოვანებებისა და ღირსებების სინთეზი, რომელიც ყველაზე მეტად ახასიათებს არგენტინელ ფეხბურთელს, რომელსაც გაცნობიერებული აქვს მარტივი ფილოსოფია: დროულად გამოყენებული ტექნიკა და შემოქმედება არ საჭიროებს ზედმეტ მსხვერპლს.

ერთხელ ბოჩინის **იოჰან კრუიფზე** ჰკითხეს და მისი პასუხი განსაზღვრებას ჰგავდა: *"ბევრს დარბის, მაგრამ კარგად თამაშობს"*. მას ყოველთვის ეგონა, რომ კარგი თამაში და ოფლი შეუსაბამო ცნებებია. ის გოლის გამო ერთი პირობით თამაშობდა: ვილაცა მოიწადინებს გატანას. ერთ ამხანაგურ მატჩში, რომელსაც არგენტინის ნაკრები ბუენოს აირესში **ლუის სესარ მენოტის** ხელმძღვანელობით თამაშობდა, "ბოჩამ" გაილაღა საგოლე პასების დარიგებით, მისი პარტნიორები - მათი გაფუჭებით. გასახდელში დაიწუწუნა: *"ასეთი პასებით თავად დავიწყებ გოლების გატანას"*. მაგრამ ასე რომ მოქცეულიყო, ეს მისი მრწამსის ღალატი იქნებოდა.

ფეხბურთელების მასობრივი მიგრაციის პერიოდში სამშობლოში დარჩენა გადაწყვიტა, სადაც მისი ყველაზე კარგად ესმოდათ. როცა კლუბის შეცვლა ბიზნესად იქცა, მან არ ისურვა საყვარელი წითელი მაისურის გამოცვლა.

"ინდეპენდიენტეს" შემადგენლობაში 1972 წლის 25 ივნისს ითამაშა პირველი მატჩი. "წითელი ეშმაკები" (diablos rojos) უკვე შედიოდნენ ხუთ არგენტინულ გრანდს შორის. კლუბის მდიდარი ისტორია და ტრადიციები აიძულებდა პატივისცემით განმსჭვალულიყო კარგი ფეხბურთის მიმართ. რიკარდო ბოჩინის მომდევნო 19-მა წელმა და 637-მა მატჩმა "ინდეპენდიენტეს" ახალი ისტორია შეუქმნა, რომელიც გალამაზებული იყო ოთხი ეროვნული ტიტულით, ლიბერტადორესის ოთხი და საკონტინენტთაშორისო ორი თასით. როგორც შედეგიდან ვხედავთ, ტალანტი კონკრეტულია.

...თვითმფრინავი, რომელმაც არგენტინის ნაკრები 1986 წლის მექსიკურ ტრიუმფთან შესახვედრად წაიყვანა, მძიმედ დაეშვა ასაფრენ ბილიკზე და ყველა შეგვაშინა, მხოლოდ ბოჩინიმ არ დაკარგა იუმორის გრძნობა. მან სტიუარდესა გამოიძახა და ძალიან ზრდილობიანად ჰკითხა: *"სენიორიტა, თუ არ შეწუხდებით აგვიხსენით: ჩამოვფრინდით თუ ჩამოვვარდით?"* ასეთ სტილში დახარჯა მან თავისი კომენტარები მუნდიალის დღეებში - მოკლედ, დახვეწილად და ზოგჯერ ეკლიანად. ეს იყო მისი პირველი და ბოლო მსოფლიო თასი.

ერთხელ, მან ფეხით გაალო ჩემი ნომრის კარი და მითხრა - კარლოს ბილარდოს დაფის, ცარცისა და ვიდეოკასეტების განადგურებას ვაპირებო. პასუხს არც დალოდებია, კარი გამოიხურა და მისთვის დამახასიათებელი ნახევარღიმილით წავიდა. სულ ტყუილად - მე ამაში მას მხარს დავუჭერდი.

ბოჩინის არ სჯეროდა წვრილმანებით აწყობილი ფეხბურთის. მიუხედავად ამისა, იმის მიმართ, რასაც ბილარდო გვთავაზობდა, საჯაროდ პატივისცემას გამოხატავდა და ზედმეტი არაფერი უკადრებია. ის ისტორიულ დისიდენტად გრძნობდა თავს, კერპად, რომელიც დუბლიორის როლისთვის იყო განწირული, მაგრამ არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რაც ამ მშვიდობას დაარღვევდა. თავის თავში არ ჩაიკეტა, შეთქმულება არ წამოუწყია. არგენტინაში დაბრუნებულმა განაცხადა, რომ თავს ჩემპიონად ვერ გრძნობს. ბოჩინიმ მხოლოდ ბელგიასთან ნახევარფინალის ბოლო ექვსი წუთი ითამაშა, როცა შედეგი არავითარ ეჭვს არ იწვევდა (არგენტინა 2:0 იგებდა). როცა მინდვრიდან გადიოდა, მარადონა გადაეხვია და ორი სიტყვა უთხრა: *"მადლობა, მაესტრო"*. ეს არ ყოფილა უბრალო სიტყვები.



მაიკლ ოუენი



რიკარდო ბოჩინი

## ბრიტანული ელეგანტურობა

არასოდეს გიფიქრიათ: რა თვისებები უნდა გააჩნდეს კარგ ფეხბურთელს? ტყუილად ნუ იტეხთ თავს. თუ ერთმანეთის გვერდიგვერდ გერმანელ **ჰესლერსა** (168 სმ) და ჩეხ **კოლერს** (202 სმ) დავაყენებთ, დავრწმუნდებით, რომ ელიტაში მოხვედრას ფიზიკური ასპექტი არ განსაზღვრავს და არასტანდარტულობას ითვალისწინებს. **შოლის** მობილურობა, **ოუენის** მოხერხებულობა, **შმაიხელის** დამაჯერებლობა, **ბირჰოფის** თავურის მომენტში, **ზიდანის** თავი მოედნის ცენტრში, მთლიანად **ფიგუ**, **რაული** შეტევის ხაზზე, **ვან დერ სარის** გათვლები... ხანდახან, ფეხის ერთი ნაწილიც საკმარისია იმისთვის, რომ ორგანიზატორული ფუნქციების განაპირა ნახევარმცველი, **დევიდ ბექჰემი** ცაში აიყვანო. ის მარჯვენა ტერფის შიდა მხარით ბურთს უზუსტესი ტრაექტორიით უშვებს საჯარიმოში. თითქმის ყოველთვის, ბურთი პარტნიორს თავში ხვდება და მაშინ, როგორც წესი, გოლი გარდაუვალია. და სწორად იქცევა ის პარტნიორი, როცა მისალოცად ბექჰემისკენ გარბის.

არსებობს ორი ბექჰემი. ერთი მინდორზე და მეორე - მის გარეთ. მე მას სპორტულ ავტომობილში ვხედავ, ის ხშირად გაუგონარ და დაუფიქრებელ საქციელს სჩადის. იგივე ადამიანი - 90 წუთი აბსოლუტურად კონცენტრირებულია, სრულყოფამდე აქვს დაყვანილი პარტნიორებთან შეთამაშება და ამას ემატება მისი გადაცემები, რომლებსაც სადაც მოესურვება, იქ გზავნის.

## ოუენი: მკვლელი ანგელოზის სახით

სასიამოვნო სანახავია ახალი ვარსკვლავის დაბადება. საფრანგეთის მუნდიალზე ინგლისისა და არგენტინის ნაკრებთა მატჩში, მაიკლ ოუენმა საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა ჩემპიონატის "აღმოჩენის" ტიტულზე. თანაც ეს მოხდა აგრესიულ და სამკვდრო-სასიცოცხლო თამაშში. მოედანზე ყველანი გლადიატორებივით იყვნენ. ოუენი ბრძოლას არ გაურბოდა. მას ჰყოფნიდა სითამამე, ოპტიმიზმი, ტექნიკა, სისწრაფე, ეშმაკობა და უნარი იმისა, რომ ნებისმიერ შეტევაში ნალმი ჩაედო. ეს არის გოლეადორი მკვლელის აგრესიულობით, რომელსაც ანგელოზის სახე აქვს. მას შეუძლია ნებისმიერი შეიყვანოს შეცდომაში.

როგორც აღმოჩნდა, ყველა კარგი მოთამაშე ლარიბი კვარტლიდან არ არის გამოსული. მოხერხებული და აგრესიული იყო **ემილიო ბუტრაგენიო**, რომელსაც მძიმე ცხოვრება არ უნახავს, იგივე ითქმის ოუენზე. როცა მსოფლიო ჩემპიონატი ინგლისის გარეშე დარჩა, ყველა მიხვდა, თუ რა არის ფეხბურთი ოუენის გარეშე. როგორ დაგვაკლდა მისი ელვისებური გარღვევები, მეურვეების ფეხებ ზემოთ გადაფრენები, რასაც პრაქტიკულად, უმწეო მეკარის დაცხრილვა მოჰყვებოდა ხოლმე.

თუ გინდათ იცოდეთ სხვაობა არგენტინელ და ინგლისელ გენიალურ ფეხბურთელებს შორის, მაშინ რჩევას გაძლევთ: უყურეთ მექსიკის ჩემპიონატში ინგლისთან **მარადონას** დაუვიწყარ სლალომს და დარწმუნდით, რომ ფეხბურთში მუხრუჭი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც აჩქარება. შემდეგ დააკვირდით ოუენის პასუხს არგენტინასთან შეხვედრაში და დარწმუნდით, რომ მისი ფინტები ყოველთვის მყისიერი, გადაუდებელი და მტკიცეა. ინგლისელი ახალი სიოს გამოვლინებაა. უნაკლო სამუშაო დიდი სიჩქარის დროს - აი ორი კომპონენტი, რომელიც განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს ამ თეთრხელთათმანიან თაღლითს.

## ქაოსი და ჰარმონია

წარმოიდგინეთ **ბაჯოს**, **ოვერმარსის**, ზიდანის თავები, რომლებიც იდეებს ვულკანის ლავასავით აფრქვევენ, აკეთებენ სვლებს და ამასთან, მათ რეალურ ჩანაფიქრს ვერავინ ხვდება, ეს ყველაფერი კი, აზარტის, ვნებების, დაძაბულობის პიკზე ხდება. როგორ იტევს ამ ყველაფერს წამები? როგორ გარდაიქმნება ეს ქაოსი თამაშის ჰარმონიაში? მაგრამ სწორედ ასე ხდება, როცა ნიჭს თავისუფლებას მიანიჭებ. ამიტომაც ფსონს ყოველთვის ინტუიციაზე ჩავდივარ, როცა მეცნიერული კამათი მიმდინარეობს თავისუფლებასა და გათვლას შორის. ტალანტები წესებს არ ექვემდებარებიან, ისინი ინტუიციით მოქმედებენ, ეს კი, ინდივიდუალურია.

ეჭვი არ მეპარება, რომ ამ თამაშის საწყისში არსებობს მეცნიერული, დაგროვილი ცოდნა და ეს რაღაცნაირად დაკავშირებულია სწავლების ადგილთან. ბრაზილიელი ბავშვი თავისი სახელმძღვანელოთი სწავლობს, მისი ინგლისელი თანატოლი - საკუთარით. ეს აზრი მაშინ დამებადა, როცა ვაკვირდები, როგორ ცდილობდნენ დღეს ინგლისელები ცივილიზებული სახე მისცენ თავიანთ არქაულ, კეთილშობილ და დიდგვაროვნულ ფეხბურთს. სურთ მოკლედ ითამაშონ, მაგრამ შორს ყურებას არიან მიჩვეულნი, უნდა ბურთს რბილად შეეხონ, დაბლა ითამაშონ, მაგრამ უარს მაინც ვერ ამბობენ გრძელ, მაღალ გადაცემებზე, უნდათ პაუზა გამოიყენონ, მაგრამ სხეული ინტენსიურობას ითხოვს. და კარგია, რომ ჩნდებიან ისეთები, როგორებიც არიან ოუენი, **მაკმანამანი**, ბექჰემი, **სქოულზი**. წინააღმდეგ შემთხვევაში, გენებს ვერაფერს მოუხერხებ.

ამბობენ, რომ 60-იან წლებში, როცა ტელევიზია შავ-თეთრი იყო, "ლივერპულის" თაყვანისმცემლებს ასეთი ფრაზა ჰქონდათ: *"ტელემაყურებლებო, იცოდეთ, "ლივერპული" ის არის, ბურთი რომ აქვს"*. ახლა, ძველი სკოლა მდიდრდება ჯერ **კანტონას**, შემდეგ ოვერმარსის, ბექჰემის, **ძოლას** გამოჩენით... ახალი სტილის ძიება, რა თქმა უნდა, წარმატებულია. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ბურთი თავისებურია და ის რომ დაიმორჩილო, დრო და ტალანტებია საჭირო, რომელსაც ინგლისში თვლა არ აქვს. მაიკლ ოუენი ამის დამამტკიცებელი საბუთია.

(გაგრძელება იქნება)

კალათბურთი. კოტე მახარაძის სახელობის ტურნირი

# მაკაბი დღეს საქართველოა!



როგორც გუშინდელმა დღემ გვიჩვენა, კოტე მახარაძის სახელობის ტურნირის ნილისყრისას გუნდები სწორად დაწყვილდნენ: უკრაინულმა "ბუდიველნიკმა" იოლად დაამარცხა ისრაელის "ჰაპოელი", ხოლო თბილისის "მაკაბიმ" - აზერბაიჯანის "ნტდ დევონი".

მოდით, აქვე გეტყვით: დღეს 19 საათზე სპორტის სასახლეში ფინალში ერთმანეთს "მაკაბი" და "ბუდიველნიკი" დაუპირისპირდებიან. მესამე ადგილისთვის მატჩში კი "ნტდ დევონი" "ჰაპოელს" შეეჯიბრება.

ახლა უშუალოდ თბილისელ-ბაქოელთა ჭიდაობაზე. სპორტის ამ სახეობის ტერმინს თუ ვიხმართ, "მაკაბიმ" "ნტდ დევონი" სუფთაზე დაანარცხა. **ჯამლეტ ხუხაშვილმა** სასტარტო ხუთეულში **ირაკლი ბერიშვილი, კოტე ტულუში, დავით ბარბაქაძე, ვიქტორ სანიკიძე** და **გიორგი შერმადინი** დააყენა. ჭოგრიტი არ დაგჭირდებათ იმის დასანახავად, რომ თბილისელთა რიგებში სამი მეფარე თამაშობდა. ვიქტორმა, დათომ და გიორგიმ მეტოქე არც ერთ ფარს გააკარა და არც - მეორეს. სამნამიან ზონაში შევიწროებულმა აზერებმა პერიმეტრისკენ გადაინიეს და პირველ ტაიმში 21 სამქულიანი ტყორცნეს, საიდანაც ოდენ 2 გამოიყენეს. ამ სტატისტიკით ნათლად ჩანს, რომ სტუმარ ტანდაბლებს ქართველი უკანახაზელებიც კარგად უმკლავდებოდნენ - ტულუშსა და ბერიშვილს ფრთებიდან უნივერსალი სანიკიძე და ბარბაქაძე ეხმარებოდნენ.

თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მატჩის სნაიპერი "მაკაბის" ცენტრი გიორგი შერმადინი გახდა. მისი მეურვეობისას ერთმანეთის მიყოლებით ილებდნენ ფოლებს ტურკნასი, სარიევი და აბულაძე. ქართველმა მეფარემ მოედანი სულაც ხუთი ჯარიმის გამო დატოვა. საბოლოოდ შერმადინმა მოედანზე 40 წუთი გაატარა, 33 ქულა, 17 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

მატჩის საბოლოო ანგარიშს ოქმში ამოიკითხავდით, აქ კი სხვა სტატისტიკას გაგაცნობთ ქართველთა უპირატესობის დემონსტრირებისთვის: მოხსნებში 58:32 "მაკაბის" სასარგებლოდ, ჩვენებმა 30-დან 23 ჯარიმა ჩააგდეს, მეტოქემ 13-დან 4, "მაკაბიმ" 21-დან 6 სამქულიანი გამოიყენა, მოწინააღმდეგეს ამდენივეს ჩასაგდებად 39 შორეული ტყორცნა დასჭირდა. შეცდომებში კი ჩვენ "ვაჯობეთ": 26:16. "მაკაბის", კერძოდ საქართველოს არაოფიციალური ნაკრების რეალური სახე დღეს "ბუდიველნიკთან" შეხვედრაში გამოჩნდება. რაც შეეხება "ნტდ დევონს", ამ გუნდის კალათბურთელთა კვალობაზე ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: აზერბაიჯანი ჩვენზე უარეს ცეცხლზე იხარშება ერთ ქვაბში - **ნიფტალიევი, სარიევი, ბახშიევი** და **ფაშაევი** კარგი ბიჭები არიან, მაგრამ 2002 წლის შემდეგ პროგრესი არ ეტყობათ, 6 წლის წინათ "დინამოსთან" ჩელენჯ კაპის მატჩებისას პერსპექტიულობა ეტყობოდათ, მაგრამ დღესაც ისეთივენი არიან...

ვაჟა სიმონიშვილი



**18 მარტი. სპორტის სასახლე**

ნახევარფინალები

**მაკაბი–ნტდ დევონი (აზერ.) 89:56**

29:11, 12:6, 20:25, 28:14

მაკაბი: ი. ბერიშვილი (7 ქ. 6 პ), სორდია, გ. შერმადინი (33 ქ. 17 მ. 5 პ), ტულუში (2 ქ. 6 მ. 3 პ), სანიკიძე (20 ქ. 8 მ. 3 პ. 5 ჩ), ბარბაქაძე (17 ქ. 15 მ. 3 პ. 3 ჩ), ს. შერმადინი, ნიკოლაძე (10 ქ)

ნტდ დევონი: ტურკნასი (4 ქ. 8 პ), გაჯიევი, ფაშაევი (13 ქ. 12 მ. 6 პ. 3 ჩ), სარიევი (5 ქ), ნიფტალიევი (2 ქ. 4 პ), გამიზადე, აბულაძე (10 ქ. 8 მ), ხანზაევი (4 ქ), ბახშიევი (18 ქ. 4 ჩ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**ჰაპოელი (ისრ.)–ბუდივ. (უკრ) 62:82**

10:25, 23:20, 14:14, 15:23

ჰაპოელი: გ. ბარბაქაძე (5 ქ), ლევი (14 ქ. 7 მ), კობლანცი, ბიტონი (8 ქ. 4 პ), ლისიცკი (8 ქ), ჩლაიძე (7 ქ), ნეშაისი (14 ქ), იონა (6 ქ), აიდანი (5 მ)

ბუდიველნიკი: ბრიანცევი (8 ქ. 7 მ. 3 პ), ნერუში (3 ქ. 4 ჩ), სტეფანისი (4 ქ), გორბენკო (16 ქ. 4 დ), ბალაშოვი (18 ქ. 4 პ), ზაბარჩენკო (8 ქ), ოულმენი (2 ქ), ორლენკო (2 ქ), იაილო (5 ქ), კოვალენკო, კრავეცი (5 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ა. ბაგიშოვი

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# ატლანტა და ნიუ ჯერსი, როგორც დინამო და ვითა

გუშინდელ "ლელოში" "დინამოსა" და "ვითას" საპლეიოფო რბოლაზე გესაუბრეთ. მათ მსგავსად, პლეი ოფის მოახლოვებასთან ერთად დაფაცურდნენ "ატლანტა" და "ნიუ ჯერსი" - იანვარ-თებერვალში ორივე მათგანი თამაშს თამაშზე აგებდა, ახლა კი დაკარგულის ანაზღაურებას ცდილობს. აგერ ბატონო, **ზაზა ფაჩულიას** "ჰოქსმა" ჯორჯიაში "კლიპერსის" ძლევის შემდეგ "მედისონ სკვერ გარდენში" "ნიუ იორკ ნიქსიც" დაამარცხა - 109:98. გუშინ კი "ვაშინგტონი" - 105:96. თავის მხრივ "ატლანტას" უშუალო კონკურენტმა "ნიუ ჯერსიმ" "იუტას" - 117:115 აჯობა.

ახლა, "ნიუ იორკთან" ზაზა ფაჩულიას მონაგარზე მოგახსენებთ. მას მწვრთნელი მაიკ ვუდსონი კვლავ ვერ ენდო, მხოლოდ 10 წუთი ათამაშა. ქართველმა ცენტრმა 3 ქულა, 2 მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარება მოაგროვა.

7 მარტს ზაზა ფაჩულიამ "ვაშინგტონთან" 27 ქულა, 12 მოხსნა, 4 პასი, 3 დაფარება და 1 ჩაჭრა გაიფორმა და მატჩიც მოიგო. ...მაგრამ ეს იყო 2007 წლის 7 მარტი, ახლა 2008 წელია. მართალია, მისმა "ატლანტამ" ვაშინგტონში ისევ გაიმარჯვა (105:96), მაგრამ ქართველმა ცენტრმა მოედანზე მხოლოდ 13 წუთი გაატარა და მონაგარს ათეულების მანიშნებელი რიცხვები გამოაკლო: 7 ქულა და 2 მოხსნა.

"ჰოქსის" მხრიდან სხვებზე მეტი ქულა ახალწვეულმა მაიკ ბიბიმ მიითვალა - 23. 18 ქულას 10 შედეგიანი გადაცემა მიამატა ჯო ჯონსონმა, ხოლო ზაზას თანაამპლუელმა ელ ჰორფორდმა 38 წუთში 12 ქულა და 15 მოხსნა ჩაიწერა.

"ვაშინგტონის" დამარცხების წყალობით "ატლანტას" 29 მოგება დაუგროვდა (38 წაგების წილ) და ერთკვირიანი შესვენების შემდეგ აღმოსავლეთის კონფერენციაში პლეი ოფის ზონაში, რვაეულში დაბრუნდა. "ჰოქსის" უშუალო კონკურენტ "ნიუ ჯერსის" სადღეისოდ 28 მოგება და 38 წაგება უწერია.

დღეს გვიან ღამით "ატლანტას" შეუძლია ფლეი ოფისკენ ერთის ნაცვლად ორი ნაბიჯი გადადგას. ამისთვის საჭიროა სტუმრად იმავე "ნიუ ჯერსის" ძლევა.

მომდევნო ეტაპის საგზურზე მონოლოგის რეჟიმში მსჯელობს ზაზა ფაჩულია. მისი მოსაზრება გამოქვეყნდა საიტ www.zazapachulia.com-ზე:

*"პლეი ოფის გზაზე ჩვენთვის ყოველ მატჩს ოქროს ფასი აქვს. რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 15 შეხვედრაღა დაგვრჩა. ეს იგივეა, რაც ნებისმიერი მატჩის მეოთხე პერიოდი. საწყისი სამი მეოთხედიც მნიშვნელოვანია, მაგრამ, როგორც წესი, გამარჯვებულის ბედი სწორედ ბოლო რაუნდზე ჰკიდია.*

*შეიძლება ბევრი დეტალურად იხილავს სატურნირო მდგომარეობას და ხედავს, რამდენი გუნდი ტრიალებს ჩვენს გარშემო, მაგრამ ამას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, მთავარია, შევინარჩუნოთ აკრეფილი სიჩქარე და მოვახდინოთ კონცენტრაცია კონკრეტულ მატჩზე. თუ ჩვენ მოვიგებთ, სხვა გუნდის შედეგი აღარ დაგვაინტერესებს.*

*ვისაც ჩემი აზრი აინტერესებს, მოვახსენებ, რომ ჩემი შეხედულებით წელს "ატლანტამ" პლეი ოფში უნდა ითამაშოს. გუნდი ამას იმსახურებს - სეზონი სტაბილურად ჩაატარა და შემადგენლობაც ნორმალური ჰყავს..."*

ვახტანგ ტყეშელაშვილი




ზაზა ფაჩულია ვაშინგტონთან

ჩოგბურთი

# ქართველთა დუელი სუეცში



მაკა ჩახნაშვილი

კალიფორნიის ქალაქ რედინგში 25-ათასიან საჩოგბურთო ტურნირში საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** იასპარეზებს. პირველ წრეში ქართველის მეტოქე 20 წლის სლოვაკი **იარმილა გაიდიშოვაა** (160). წყვილთა თანრიგში მაკა უნგრელ **კირა ნადისთან** (134) ერთად ითამაშებს. მათი პირველი მეტოქეები "უაილდ ქარდით" მიწვეული კორეელი **ჰანი** და ამერიკელი **რადევა** იქნებიან.

ეგვიპტურ სუეცში 10-ათასიანი ტურნირის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში დაასრულა ასპარეზობა **თეონა ცერცვაძემ**, რომელმაც შვედ **დიანა ერიქსონთან** წააგო - 4:6, 1:6. ძირითადი ბადის კენჭისყრა გუშინ შედგა და ჩვენთვის საინტერესო წყვილიც "დაჯდა" - მე-6 ნომრად განთესილი **მანანა შაფაქიძეს ოქსანა კალაშნიკოვას** შეხვდება. წყვილთა თანრიგში მანანა შაფაქიძისა და რუსი **ციბიშევას** დუეტი მეორე ნომრად განთესეს, თუმცა ფავორიტებმა პირველივე წრეში წააგეს პოლონელებთან (**პიტერი, ზაგორსკა**) - 6:7, 5:7. ქაიროს ტურნირის გამარჯვებულმა ოქსანა კალაშნიკოვამ ამჯერად წყვილებში თამაშზე უარი განაცხადა.

სანკტ პეტერბურგში "ნევის თასზე" (25 ათასი დოლარი) მოგებით დაიწყო **სოფიო შაფათავამ**. ქართველმა პირველ წრეში რუს **დარია გავრილოვას** აჯობა - 4:6, 7:5, 6:0. მეორე წრეში სოფიოს რუსული ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ანასტასია პავლიუჩენკოვა** იქნება, 16 წლის პავლიუჩენკოვა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ 18-წლამდელებში მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, ახლა კი მხოლოდ დიდებში თამაში გადაწყვიტა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. U-20

# თურქია არ ჩამოსულა, მსხვილიძე დაგვაკლდა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**საქართველოს 20-წლამდელ ხელბურთელთა ნაკრები გუშინ, ესპანეთის ქალაქ ლუგოსკენ გაემგზავრა, სადაც 21-23 მარტს, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე იბურთავებს. ჩვენი 20-წლამდელები ქვეჯგუფში ითამაშებენ მასპინძლების, იტალიელებისა და სლოვაკების კამპანიაში. ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფის 2 საუკეთესო გუნდი გავა.**

საქართველოს ნაკრებმა მოსამზადებელი ეტაპი სტუ-ს სახელბურთო ბაზაზე გაიარა. ხელბურთის ფედერაციის ხელმოკლეობის გამო, გუნდს არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ უცხოელ თანატოლებთან საკონტროლო მატჩები ჩაეტარებინა. ამდენად, ნაკრები ესპანეთში ერთადერთი ამხანაგური მატჩის ამარა მიდის, რომელიც სტუ-"თელავთან" გამართა.

სამწუხაროდ, პრობლემა ამით არ ამოწურულა. გუნდს ვერ დაეხმარება ისლანდიურ "სტიარნანში" მოასპარეზე გამოკვეთილი ლიდერი **რატი მსხვილიძე,** რომელმაც კლუბში ტვინის შერყევა მიიღო და ამჟამად თამაში კი არა, ვარჯიშიც არ შეუძლია. მსუბუქად ტრავმირებული ან ახლად ტრავმამოშუშებულია კიდევ რამდენიმე საკვანძო ხელბურთელი, მაგრამ ისინი ლუგოში თამაშს შეძლებენ. ამდენი გასაჭირის "გვირგვინი" კი ნაკრების მთავარ მწვრთნელ **გარი თურქიას** ავადმყოფობაა, რომელიც სავარაუდოდ, საბერძნეთიდან პირდაპირ ესპანეთში ჩააკითხავს შეგირდებს. თურქიას არყოფნაში, მთელ მოსამზადებელ ეტაპზე, გუნდს მოძღვრავდა მისი ასისტენტი გიორგი ქობელაშვილი.

მოკლედ, 20-წლამდელებთან დაკავშირებული ერთადერთი სასიამოვნო სიახლე ის არის, რომ ახლახან თურქეთში გადაბარგდა გუნდის კაპიტანი - მეკარე **გაგა სამყურაშვილი,** რომელიც **ლევან ბერძენიშვილთან** ერთად, პირველლიგოსან "ჩაიკურში" ჩაირიცხა...

გუშინ, ნაკრების დასკვნით ვარჯიშს დავესწარით, რომლის დასრულების შემდეგ, **გიორგი ქობელაშვილს** გავესაუბრეთ.

- მოსამზადებელი ეტაპი ჩვეულებრივად, გეგმის მიხედვით გავიარეთ. სამწუხაროდ, რამდენიმე საკვანძო ხელბურთელი ტრავმირებული გვყავს. ყველაზე დიდი დანაკლისია რატი მსხვილიძე, რომელსაც ტვინის შერყევა აქვს და ესპანეთში ვერ ჩამოვა. რატი გუნდის გამოკვეთილი ლიდერია, ამ ორმეტრიან შუამარბს შეუძლია საკუთარ თავზე აილოს თამაში და მარტომ გადაწყვიტოს მატჩის ბედი. ამდენად, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მისი არყოფნა ჩვენთვის ტრაგედიაა...

10 დღის განმავლობაში ვერ ვარჯიშობდა ეროვნული ნაკრების წევრი ირაკლი ჩიქოვანი, რომელსაც კუნთი ჰქონდა დაზიანებული. იგი ესპანეთში კი წამოვა, მაგრამ ოპტიმალურ ფორმაში ვერ იქნება. ძირითად კუთხის მოთამაშე ვანო ქარდავას კი მუხლი აწუხებს. ძალიან დიდი პრობლემაა ისიც, რომ სათადარიგოთა სკამზე, ფაქტობრივად არ გვეყოლება ისეთი ხელბურთელი, რომელიც ძირითადი შემადგენლობის წევრს სრულფასოვნად შეცვლის. მაგალითად, ძალიან პერსპექტიული ბიჭია კონსტანტინე ჯანაშია, მაგრამ ასაკით გუნდში ყველაზე პატარაა, გამოუცდელი და დაღვინება აკლია...

**- შანსებს როგორ შეაფასებთ?**

- ჩვენს შანსზე ლაპარაკი ძალიან რთულია. ფაქტობრივად, ექსტრემალურ პირობებში გავიარეთ მოსამზადებელი ეტაპი. გაჭირვებას ისიც დაემატა, რომ მთავარი მწვრთნელი გარი თურქია ვერ ჩამოვიდა და ჩემს კისერზე გადაიარა მთელმა შეკრებამ. არადა, თავიდან შინაგანად იმისათვის ვემზადებოდი, რომ გარის უნდა დავხმარებოდი. ამას გარდა, მხოლოდ 1 საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ და ისიც ქართულ გუნდთან - სტუ-"თელავთან".

მოკლედ, ფაქტია, რომ ესპანეთში ყველა მეტოქე ჩვენზე გაცილებით კარგად იქნება მომზადებული. მიუხედავად ამისა, გუნდში საბრძოლო განწყობაა, ბიჭები ბოლომდე დაიხარჯებიან მოედანზე და ვნახოთ, რა გამოგვივა...

დასასრულ, გთავაზობთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობასა და მატჩების განრიგს.



გივი ქობელაშვილი და გაგა სამყურაშვილი

მეკარეები: გაგა სამყურაშვილი (ჩაიკური, თურქეთი), გიგა ტორონჯაძე (სტუ-თელავი); მოედნის მოთამაშეები: ნიკა ჯორბენაძე, გიორგი ჩიქოვანი, ირაკლი ჩიქოვანი, მიხეილ საჯაია, ლუკა ჩიხლაძე, ზურაბ მელქოშვილი, გიორგი ფერაძე, ნიკა სიმონიშვილი (ყველა სტუ-თელავი), ავთო ჟღენტი, ვანო ქარდავა (თბილისი), კონსტანტინე ჯანაშია (ქუთაისი).

**21 მარტი**

საქართველო-სლოვაკეთი

**22 მარტი**

საქართველო-ესპანეთი

**23 მარტი**

საქართველო-იტალია

**კობა ხატისაშვილი**

ბავშვთა სპორტი

# პროექტი ამუშავდა



ფოტო ავტორისა

ბავშვთა სპორტის პრობლემები სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა სახელისუფლო ინსტანციებში. ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ოპტიმიზაციის პროცესმა არ უნდა ავნოს ქართული სპორტის რეზერვის მომზადებას. მაგრამ ისიც დაუშვებელია, რომ ადრინდელ მავნე ტრადიციას, როცა დამკვიდრებული იყო პარალელიზმი და მიწერები, ფიქტიურად ფორმდებოდა ჯგუფები, წერტილი არ დაესვას. სწორედ ამან გამოიწვია რეფორმის გატარების აუცილებლობა და ახალი პროექტის შემუშავება. პრობლემის მოგვარება მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში, სპორტის სახეობების მიხედვით ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელების კონტინგენტის განხილვა დაიწყო თბილისის მერიის სპორტის შესაბამის სამსახურისა და ცალკეული სპორტის სახეობების ხელმძღვანელების მონაწილეობით. გუშინ, კალათბურთსა და ძიუდოში მწვრთნელთა დასაქმების საკითხი განიხილეს. პროცესი გრძელდება. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს ხსენებული დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავა**, თბილისის მერიას წარმოადგენს **ზაზა დოლიძე**.

სამუშაო ჯგუფის დასკვნა წარედგინება დეპარტამენტის თავმჯდომარეს **დავით ნამგალაურს,** რის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებას ერთობლივად მიიღებენ დეპარტამენტის და მერიის ხელმძღვანელები.

**თენგიზ თომაშვილი**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე ორგანიზაციის ყოფილ თანამშრომელს, სპორტის ვეტერან მუშაკს გივი ჯიშიაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ საერთაშორისო არბიტრს ჯუმბერ დავლიანიძეს დედის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი, ვაჟები

# მეორე დღე, ოთხი-ოთხზე



დავით არუთინიანი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ მერვედფინალური მატჩების პირველი ტური გაიმართა. წყვილები ასეთი იყო: ლევან ბრეგაძე-მიხეილ მჭედლიშვილი; დავით ბენიძე-ხვიჩა სუპატაშვილი; დავით არუთინიანი-მიხეილ კეკელიძე; გიორგი მარგველაშვილი-ლევან აროშიძე; ლევან ფანცულაია-ბეგლარ ჯობავა; დავით ჯოჯუა-ზურაბ სტურუა; დავით მალალაშვილი-თამაზ გელაშვილი; კონსტანტინე შანავა-ივერი ჭილლაძე.

აქედან ოთხი შეხვედრა ყაიმით დასრულდა, ოთხშიც გამარჯვებული გამოვლინდა. ყველა პარტია ძალიან დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა, ისინიც კი, სადაც ზავი დაიდო, თუმც ბენიძე-სუპატაშვილმა მალევე გაარკვიეს, რომ მოგებისთვის ბრძოლა არცერთი მხარისთვის არ ღირდა და ხელიც ჩამოართვეს ერთმანეთს. საკმაო ხანს იბრძოლეს ბრეგაძემ და მჭედლიშვილმა. ბრეგაძე თეთრებით იყო და უპირველეს ფავორიტს მაგრად შეუტია, თუმც პოზიციების დაცვით განთქმულმა მჭედლიშვილმა ამჯერადაც შეძლო სათანადო რედუტების აგება და ნახევარ ქულას დააჯერა მომხდური. მარგველაშვილი-აროშიძის შემთხვევაში თითქოს თეთრებმა უფრო იაქტიურეს, მაგრამ ხელშესახები ინიციატივისთვის არ მიუღწევიათ და ყაიმს მალევე დაყაბულდნენ. უფრო მძაფრი იყო მალალაშვილისა და გელაშვილის ორთაბრძოლა: თეთრებით მალალაშვილმა გამოცდილ მეტოქეს ბევრი პრობლემა ვერ შეუქმნა, შუა თამაშში პაიკითაც ჩამორჩა და მარცხის საშიშროების წინაშე დადგა, თუმცა შემდეგ ყურადღება გააათკეცა და მარცხისგან თავის არიდება შეძლო - ყაიმი.

საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში იქნა მოპოვებული გამარჯვებებიც. ლევან ფანცულაიამ თეთრებით ბეგლარ ჯობავას აჯობა და ნათლად გამოჩნდა, რომ უმაღლესი კლასის ოსტატია: მცირე უპირატესობა თანმიმდევრობით გადაზარდა დიდში და გაიმარჯვა.

ასეთივე ხერხით იმარჯვა შანავამ - შუა თამაშში მეტოქეს ხარისხი კი მოუგო, მაგრამ რეალიზაცია არცთუ იოლი იყო - ჭილლაძე თავს თავგამოდებით იცავდა და მცირე შეცდომაც რომ დაეშვა კონსტანტინეს, მოსაგებად საკმარისი ხარისხი ველარ გამოდგებოდა. შანავამ შეცდომა არ დაუშვა და მნიშვნელოვანი ქულა ჩაიწერა აქტივში.

თეთრებითვე გაიმარჯვა დავით არუთინიანმა. მას მეტოქედ დიდოსტატი მიხეილ კეკელიძე ჰყავდა. ღია პარტიაში, სადაც ორივე მხარეს ჰქონდა შანსები, უკეთ დავითი გაერკვა. კეკელიძემ თავდაცვის გზები კი ეძია, მაგრამ ვერ მოახერხა თავის გადარჩენა. თუმც ბოლოს ერთი შანსი კი გაუჩნდა: მისი მეფე მეტოქის კუსა და მხედრის წინააღმდეგ დარჩა. საჭადრაკო თეორიის თანახმად, კუთი და მხედრით შამათი კეთდება, მაგრამ ტექნიკურად რთული შესასრულებელია და 50 სვლაში უნდა მოახერხოს უპირატესმა მხარემ შამათის ჩასმა. ხშირად ხდება, რომ გამოცდილ მოჭადრაკეებსაც კი ავიწყდებათ წესი და 50 სვლაში ვერ ეტევიან. კეკელიძე ხავსს ეჭიდებოდა, მაგრამ არუთინიანმა ეს იმედიც გადაუწურა და გაიმარჯვა.

საკმაოდ ფიცხელი ბრძოლა გაუმართა ახალგზარდა დავით ჯოჯუამ დიდოსტატ ზურაბ სტურუას. თითქოს დებიუტში უკეთაც გამოიყურებოდა და D პაიკის გასვლის პერსპექტივა ჰქონდა. გამოუცდელობამ მაინც თავისი ქნა და ტაქტიკურ გათვლაში აჯობა ჯოჯუას.

მერვედფინალი, პირველი პარტია. **ლევან ბრეგაძე-მიხეილ მჭედლიშვილი - 0,5:0,5; დავით ბენიძე-ხვიჩა სუპატაშვილი - 0,5:0,5; დავით არუთინიანი-მიხეილ კეკელიძე - 1:0; გიორგი მარგველაშვილი-ლევან აროშიძე - 0,5:0,5; ლევან ფანცულაია-ბეგლარ ჯობავა - 1:0; დავით ჯოჯუა-ზურაბ სტურუა - 0:1; დავით მალალაშვილი-თამაზ გელაშვილი - 0,5:0,5; კონსტანტინე შანავა-ივერი ჭილლაძე - 1:0.**

**ზვიად შათირიშვილი**

სუმო. მარტის ბაშო

# თითო მოგება კაჩი-კოშიმდე

გუშინ, ოსაკას ბაშოზე **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა, ერთიც და ქართველი ფალავანი დადებით ბალანსს დაიბევებს, თუმცა კოკაი ისეთ იშტაზეა, შესაძლოა, მეტსაც მიაღწიოს. კოკაის მეტოქე ცუპარის დიდოსტატი **ჰოკუტორიკი** იყო, "შავმა ზღვამ" უსწრაფესი ნახტომით ხელთ იგდო მეტოქის მავაში, მაგრამ ჰოკუტორიკი ისე გაუძალიანდა, რომ ბაშოზე გამორჩეული ძალის პატრონ კოკაისაც მესამე ცდა დასჭირდა მეტოქის დოჰიოდან გასაყვანად. 7-3, ეს კოკაის დღევანდელი ბალანსია. კაჩი კოშის (დადებითი ბალანსი) დაბევება ჩვენებურს დღეს **ტოჩიოძანთან** შეუძლია. თუმცა უნდა ითქვას, რომ კოკაის ყოჩალი მეტოქე ჰყავს, ტოჩიოძანი სულ 21 წლისაა, თუმცა 9-1 ბალანსით იმპერატორის თასისთვის იბრძვის. ურთიერთშეხვედრებში 2:2-ია, თან კოკაიმ ბოლო ორი დაპირისპირება მოუგო ახალგაზრდა იაპონელ რიკიშის.

ოსაკას ბაშოს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს მონღოლი დიდი ჩემპიონის (იოკოძუნა), **ასაშორიუს** სახით. ოსაკაში ასაშორიუ ჯერ ვერავინ დაამარცხა. მას კვალში 9-9 მოგებით იოკოძუნა **ჰაკუჰო** და კოკაის დღევანდელი მეტოქე უდგანან.

**ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** იანვრის ბაშოზე ფურორი მოახდინა, მან სადებიუტო ტურნირშივე მოიგო ტიტული 12-3 ბალანსით. ოსაკას ბაშოზე ტოჩინოშინმა სამი მარცხი უკვე განიცადა, მოგებათა რიცხვი კი ჯერ შვიდს არ გაცდენია. მიუხედავად ამისა, ლევანს ელიტაში გადასვლის შესანიშნავი შანსი აქვს, ამისთვის მან 10 ორთაბრძოლის მოგება უნდა შეძლოს (შეიძლება, 9 მოგებაც ეყოს). გუშინ მან **კიტატაიკისთან** ნააგო. ქართველი ძურიოს ლიდერ **კიმურაიამას** უკვე ორი მოგებით ჩამორჩება, ასე რომ, ტიტულის დაცვა ტოჩინოშინს გაუჭირდება. დღეს ქართველი ფალავანი **კიოკუნანკაის** შეხვდება, რომელსაც 5-5 ბალანსი აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
9-23 მარტი, ოსაკა (იაპონია)

**მაკუუჩი**

X დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ჰოკუტორიკი 1:0 (იორიკირი), ასაშორიუ-კიოკუტენჰო 1:0, ჰაკუჰო-ვაკანოჰო 1:0, კოტომიცუკი-ამა 1:0, ჩიოტაიკაი-კაიო 1:0, კოტოშოგიკუ-კაკურიუ 1:0, ასასეკირიუ-ტაკეკაძე 1:0, კისენოსატო-ამინიშიკი 1:0, მიაბიამა-ტოკიტენკუ 1:0, ტოიონოშიმა-ვაკანოსატო 1:0, გოეიდო-დეჯიმა 1:0, კასუგაროჰო 1:0, ბარუტო-ტაკამისაკარი 1:0.

მდგომარეობა: 10-0: ასაშორიუ (იოკოძუნა), 9-1: ჰაკუჰო (ასაშორიუ), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 12), 8-2: ბარუტო (მ 7), ტაკამისაკარი (მ 11), ჰომაშო (მ 13), 7-3: ჩიოტაიკაი (ოძეკი), კაიო (ოძეკი), კიოკუტენჰო (მ 4), კოკაი (მ 5), ჰოკუტორიკი (მ 7), ფუტენო (მ 10).

XI დღე: კოკაი-ტოჩიოძანი, ჰაკუჰო-ამა, ასაშორიუ-ჩიოტაიკაი, კაიო-ტოკიტენკუ, კოტომიცუკი-ვაკანოჰო, კოტოშოგიკუ-ამინიშიკი, კისენოსატო-ასასეკირიუ, მიაბიამა-ტაკეკაძე, კაკურიუ-ვაკანოსატო, დეჯიმა-ტოიონოშიმა, ტაკამისაკარი-კიოკუტენჰო, როჰო-გოეიდო, ბარუტო-ჰომაშო, კასუგაო-ჰოკუტორიკი.



კოკაი

**ძურიო**

X დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-კიტატაიკი 0:1 (უტჩარი), ჰოშიჰიკარი-მოკონამი 1:0, ტოსანოუმი-ჩიოჰაკუჰო 1:0, კორიუ-ჰოჩიამა 1:0, ტამავაში-ჰაკუროძანი 1:0.

მდგომარეობა. 9-1: კიმურაიამა (ძურიო 14). 8-2: ტამანოშიმა (ძ 5), კიტატაიკი (ძ 10). 7-3: ტოსანოუმი (ძ 1), ტოჩინოშინი (ძ 4), საგაცუკასა (ძ 14).

XI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი-კიოკუნანკაი, ტოსანოუმი-მოკონამი, ჰაკუროძანი-ჩიოჰაკუჰო, ტამავაში-კორიუ, ტამანოშიმა-კიმურაიამა.

# სენსაციური მარცხი



ლელა ჯავახიშვილი-ქემრე ილდიზი

სავალალო შედეგით დასრულდა ქართველი მოჭადრაკისთვის სტამბოლში, ქალთა სუპერტურნირის მეშვიდე ტური: **ლელა ჯავახიშვილმა** შავებით წააგო თურქ მოჭადრაკე **ქემრე ილდიზთან**, რომლის რეიტინგია 2207. როგორც ხედავთ, რეიტინგით ილდიზი "საბავშვო" ნორმაშია, მაგრამ დიდოსტატის დამარცხება კი შეძლო. ამ მოგებით თურქმა ბევრი ვერაფერი შეიმატა, მაგრამ ჩვენებურს ძალზედ გაუფუჭა სატურნირო მდგომარეობა და სამეულში გასვლის თეორიული შანსიც გაუქრო - ლელა მესამეადგილოსანს ორი ქულით ჩამორჩება.

ამ ტურნირზე ლელამ მხოლოდ ერთხელ მოიგო პირველ ტურში, შემდეგ ერთი წააგო და გუშინდლამდე დანარჩენი ყაიმებით დაასრულა, მათ შორის ორჯერ უიმედო აუტსაიდერებთან გაიყო ქულა. **ანა უშენინა** და **ჭუ ჩენი** ძლიერი დიდოსტატები არიან და მათი ცუდი შედეგი შემთხვევითობა უფროა, ამიტომ ყაიმი ნორმალურ შედეგად ჩაეთვალა ჯავახიშვილს, მაგრამ ილიზთან მარცხი ნამდვილად სენსაციური გახლდათ...

მეშვიდე ტური: **უშენინა-ჭუ ჩენი - 0,5:0,5; ილდიზი-ჯავახიშვილი - 1:0; კრამლინგი-ათალიკი - 1:0; ჰოუ იფანი-კრუში - 1:0; ჭაო სიუ-ტრონავალი - 0,5:0,5.**

შვიდი ტურის შემდეგ: **1. პია კრამლინგი (2524) - 5,5; 2. ჰოუ იფანი (2527) - 5,5; 3. ეკატერინა ათალიკი (2408) - 5; 4. ჭაო სიუ (2517) - 3,5; 5. ჰარიკა დრონავალი (2455) - 3,5; 6. ირინა კრუში (2473) - 3; 7. ლელა ჯავახიშვილი (2470) - 3; 8. ქემრე ილდიზი (2207) - 2,5; 9. ჭუ ჩენი (2548) - 2; 10. ანა უშენინა (2484) - 1,5.**

მერვე ტურში: **ჭუ ჩენი-დრონავალი, კრუში-ჭაო სიუ, ათალიკი-ჰოუ იფანი, ჯავახიშვილი-კრამლინგი, უშენინა-ილდიზი.**

**ზვიად შათირიშვილი**

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი. NHL რეგულარული

**მინესოტა-კოლორადო 3:1**

1:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ბერნსი-14 (როლსტონი-24, შეპარდი-14), 1:1 საკიკი-11 (შჩასტნი-40, ლაილსი-25), 2:1 რადივოევიჩი-5 (ბერნსი-26, მ. კოივუ-24), 3:1 ვეილო-10.

**ვანკუვერი-ფინიქსი 3:1**

2:1, 1:0: 0:0

გოლები: 1:0 ჰ. სედინი-14 (დ. სედინი-40, სალო-15), 2:0 პიატი-14 (ბიეკსა-4, სალო-16), 2:1 კარჩილო-8 (რაინპრეხტი-29), 3:1 ჰ. სედინი-15 (დ. სედინი-41, ბიეკსა-5).

### კვირის სამი ვარსკვლავი

"კალგარი ფლეიმზის" მარჯვენა ფრთა **ჯერომ იგინლა** გასული კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა. მისი ამპლუის პიტსბურგელ **პეტრ სიკორას** მეორე ვარსკვლავის სტატუსი ერგო, ხოლო მესამეა "ფლორიდის" გოლკიპერი **ტომაშ ვოკოუნი**.

იგინლამ გასულ შვიდ დღეში 8 ქულა (5 გოლი+3 შედეგიანი პასი) დააგროვა. მან კარიერაში 365-ე გოლი გაიტანა და "ფლეიმზის" ისტორიაში საუკეთესო სნაიპერი გახდა. გარდა ამისა, ასეთი შედეგიანი თამაშის წყალობით, იგინლა რეგულარულის ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზე გადავიდა.

სიკორამ სამ მატჩში 6 ქულის (3+3) მოხვეჭა შეძლო. თანაც, მისმა ორმა გოლმა "პიტსბურგს" ორი შეხვედრა მოაგებინა.

"ფლორიდამ" გასულ კვირას სამივე შეხვედრა მოიგო და გამარჯვებათა სერია 7 მატჩამდე აიყვანა. ვოკოუნი საშუალოდ 1.67 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94.6 პროცენტს იგერიებდა. ჩეხი აგრეთვე ლიგის ლიდერია "სეივების" რაოდენობით - 1862.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუ ჯერსი* | 72 | 42 | 24 | 6 | 90 |
| 2. მონრეალი* | 73 | 40 | 24 | 9 | 89 |
| 3. კაროლინა* | 74 | 39 | 30 | 5 | 83 |
| 4. პიტსბურგი | 72 | 41 | 24 | 7 | 89 |
| 5. ოტავა | 73 | 40 | 26 | 7 | 87 |
| 6. რეინჯერსი | 72 | 37 | 26 | 9 | 83 |
| 7. ბოსტონი | 73 | 37 | 27 | 9 | 83 |
| 8. ფილადელფია | 73 | 35 | 28 | 10 | 80 |
| 9. ბაფალო | 73 | 34 | 28 | 11 | 79 |
| 10. ვაშინგტონი | 73 | 35 | 30 | 8 | 78 |
| 11. ფლორიდა | 74 | 35 | 31 | 8 | 78 |
| 12. ტორონტო | 73 | 32 | 31 | 10 | 74 |
| 13. აილენდერსი | 73 | 32 | 34 | 7 | 71 |
| 14. ატლანტა | 74 | 31 | 35 | 8 | 70 |
| 15. ტამპა ბეი | 72 | 29 | 35 | 8 | 66 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი | 73 | 47 | 20 | 6 | 100 |
| 2. სან ხოსე* | 72 | 42 | 21 | 9 | 93 |
| 3. მინესოტა* | 73 | 39 | 26 | 8 | 86 |
| 5. ანაჰაიმი | 74 | 41 | 25 | 8 | 90 |
| 5. დალასი | 74 | 42 | 27 | 5 | 89 |
| 6. კალგარი | 72 | 37 | 25 | 10 | 84 |
| 7. ვანკუვერი | 73 | 37 | 26 | 10 | 84 |
| 8. კოლორადო | 74 | 39 | 29 | 6 | 84 |
| 9. ნეშვილი | 73 | 36 | 29 | 8 | 80 |
| 10. ფინიქსი | 73 | 36 | 32 | 5 | 77 |
| 11. ედმონტონი | 73 | 36 | 32 | 5 | 77 |
| 12. კოლამბუსი | 72 | 32 | 29 | 11 | 75 |
| 13. ჩიკაგო | 73 | 34 | 32 | 7 | 75 |
| 14. სტ. ლუისი | 72 | 29 | 32 | 11 | 69 |
| 15. ლოს ანჯელესი | 73 | 28 | 39 | 6 | 62 |

y - დივიზიონის ჩემპიონი; * - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 99 (57+42) |
| მალკინი (პიტ) | 97 (41+56) |
| იგინლა (კალ) | 87 (45+42) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 85 (37+48) |
| დაციუკი (დეტ) | 85 (28+57) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 83 (19+64) |
| სპეცა (ოტა) | 83 (30+53) |
| კოვალჩუკი (ატლ) | 81 (49+32) |
| ალფრედსონი (ოტა) | 80 (37+43) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 79 (36+43) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 57 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 49 |
| იგინლა (კალ) | 45 |
| მალკინი (პიტ) | 41 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 37 |
| ალფრედსონი (ოტა) | 37 |
| ბოიესი (ს-ლუი) | 37 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 36 |
| ნეში (კოლამ) | 36 |
| ჰიტლი (ოტა) | 36 |
| გაბორიკი (მინ) | 36 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 64 |
| სავარი (ბოს) | 63 |
| დაციუკი (დეტ) | 57 |
| მალკინი (პიტ) | 56 |
| ლიდსტრომი (დეტ) | 55 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 54 |
| სპეცა (ოტა) | 53 |
| ჰ. სედინი (ვან) | 53 |
| გეტცლაფი (ანა) | 52 |
| გომესი (რეინ) | 51 |

## ავტოსპორტი. ფორმულა 1. ინტერვიუ კიმი რაიკონენთან

# პანიკის საფუძველი არ არსებობს

სეზონის პირველი რბოლის შესახებ ავსტრალიის გრან-პრის ტრიუმფატორ ლუის ჰემილტონის შთაბეჭდილებები გუშინდელ ნომერში გაგაცანით. ახლა ჯერი გრან-პრის მთავარ იმედგაცრუებად მონათლულ კიმი რაიკონენზეა. "ფერარის" პილოტმა რბოლა ნაადრევად დატოვა, თუმცა მოქმედმა ჩემპიონმა ერთი ქულა მაინც მიითვალა.


კიმის ავსტრალიაში არ გაუმართლა

**- საჩემპიონო ტიტულის მოპოვების შემდეგ, ეს თქვენი პირველი გრან-პრი იყო. სავარაუდოდ, არ ელოდით ასეთ მძიმე დასაწყისს...**

- რა თქმა უნდა, იმედგაცრუება დიდია იმის გამო, რომ რბოლის დასრულება ვერ მოვახერხე. მეორე მხრივ, თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ქულის აღება მაინც მოვახერხე. ხომ გახსოვთ, რა ბრძოლის ფასად მოვიპოვე შარშან ჩემპიონის ტიტული? ჩემსა და ჰემილტონს შორის სულ მცირედი სხვაობა იყო. მომავალში ეს ქულა აუცილებლად ვამომადგება.

**- იტალიაში გულშემატკივრებს გლოვა აქვთ გამოცხადებული. "ფერარის" ახალმა შეფმა სტეფანო დომენიკალიმ ფანებს მოუწოდა, ძალიან მტკივნეულად არ აღიქვან ეს ჩავარდნა, რადგან ფორმულის მარათონის უშეცდომოდ გავლა შეუძლებელია. თავის მხრივ, ფელიპე მასა გუნდის საშინელ სტარტზე საუბრობს და იხსენებს, რომ უკანასკნელად, "ფერარის" ორივე პილოტი რბოლას 2006 წელს გამოეთიშა. მაინც რა მოხდა მელბურნში?**

- მხოლოდ ის ვიცი, რომ სერიოზული პრობლემები შეექმნა ჩვენს ძრავას, რომელიც მაშინვე "ფერარის" შტაბბინაში გადაიტანეს, ასეთ შემთხვევებში საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად. "ფერარი" სერიოზული გუნდია და ჩვენ ვერ დავუშვებთ კიდევ ერთხელ მსგავს კრახს.

**- ბევრისთვის სეზონის მთავარ ფავორიტად მოიაზრებით. ავსტრალიის ფიასკოს შემდეგ, ამ მხრივ რამე შეიცვალა?**

- 2008 წლის ჩემპიონატი ჯერ ნესიერად არც დაწყებულა. პირადად ჩვენთვის, ის მეორე ეტაპიდან აიღებს სტარტს, სადაც ორ, თითქმის თანაბარი ძალის გუნდების მეტოქეობას ველით.

**- თქვენ და თქვენი თანაგუნდელი ფელიპე მასა ჰემილტონისა და კოვალაინენის წყვილზე გამოცდილები ხართ. შეიძლება ეს გარემოება "ფერარის" უპირატესობად მოვნათლოთ?**

- მჯერა, რომ "ფერარი" კარგი გუნდია, სადაც მომავალი გამარჯვებებისთვის შესაფერისი ატმოსფერო სუფევს. სწორედ ასე იყო გასულ სეზონშიც. გამოცდილების გამო, განსაკუთრებულ დივიდენდებს არ ველით.

**- ავსტრალიის გრან-პრის უამრავი პილოტი გამოეთიშა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ყველა ვერ შეეჩვია ელექტროობის გარეშე ბოლიდის მართვას. ამან თქვენს შედეგებზეც იმოქმედა?**

- ჯერ კიდევ პირველი ტესტების დროს, რომელიც შობამდე გაიმართა, განსხვავება შესამჩნევი იყო. პილოტებისთვის მართვა გაცილებით რთული გახდა. მაგრამ ყოველდღიურად ვაუმჯობესებდით შედეგებს და შესაბამისად, პირადად ჩემთვის, ელექტროობის არარსებობა თითქმის შეუმჩნეველია.

**- და რა შეიძლება მოხდეს, თუ მალაიზიაში გაწვიმდება? მაგალითად დევიდ ქულთარდი შეშფოთებულია: ტრასა ძალიან სახიფათო გახდება!**

- მაყურებლებისთვის ეს დამატებითი პლუსი იქნება, რადგან ცუდ ამინდში ისინი ჩვენი შესრულებით უფრო მეტ ტრიუკებს იხილავენ. რაც შეეხებათ პილოტებს, განსაკუთრებულ განსხვავებას ისინი, ალბათ, ვერ იგრძნობენ.

**- როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ფერნანდო ალონსოს "მაკლარენიდან" წასვლამ, ამ გუნდის შესაძლებლობებზე გავლენა იქონია?**

- ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად, მინიმუმ ორ რბოლას უნდა დაველოდოთ. ცხელ კვალზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ალონსო უფრო სწრაფი არ გამხდარა. შეიძლება ეს იმით არის გამოწვეული, რომ "რენოს" ბოლიდი იმაზე სუსტია, რაც შარშან "მაკლარენს" ჰყავდა.

**- "მაკლარენი" "ფერარის" მთავარ კონკურენტად რჩება?**

- დიახ, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. "მაკლარენი" რომ დიადი გუნდია, მან ეს უკვე ბევრჯერ დაამტკიცა. ის ერთ-ერთ საუკეთესო საჯინიბოდ რჩება. სწორედ მასა და "ფერარის" შორის გათამაშდება ჩემპიონატის მთავარი პრიზები.

**- თითქოს მელბურნში თქვენთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. სტარტზე მე-15 პოზიციიდან მერვეზე გადახვედით, შემდეგ ბარიკელოსაც გაუსწარით და მეექვსე ადგილზე აღმოჩნდით. როგორ მოახერხეთ ეს?**

- გასაკვირი არაფერია. თავიდან მანქანა უნაკლოდ მოქმედებდა, ამიტომაც საჭირო ტემპს ვინარჩუნებდი. მაგრამ შემდეგ, როცა გასწრება გადავწყვიტე, რამდენჯერმე მოვსრიალდი.

**- მოგვიანებით ტემპი დაეცა, ძრავა უცნაურ ხმებს გამოსცემდა და 54-ე წრეზე რბოლა მიატოვეთ...**

- სიმართლე გითხრათ, მაშინ უკვე ვიცოდი, რომ ერთი ქულა ჯიბეში მედო, რადგან ბარიკელოს დისკვალიფიკაცია მისცეს. რა თქმა უნდა, სეზონის პირველ რბოლაში მერვე ადგილი - საოცნებო შედეგი არ არის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს: ეს მხოლოდ დასაწყისია და საბედნიეროდ, ჩემპიონატი დიდხანს გრძელდება.

**- ე. ი. პანიკის საფუძველს ვერ ხედავთ?**

- ბუნებრივია. "ფერარიში" ყველას კარგად გვესმის, რომ შეგვიძლია უფრო რთულ სიტუაციებსაც გავუმკლავდეთ. უბრალოდ, თავი წესრიგში უნდა მოვიყვანოთ და ძველებურად კონკურენტუნარიანები უნდა გავხდეთ. იმედი გვაქვს, ეს უკვე მალაიზიაში მოხდება.

**კალათბურთი**

### ბრაუნი ატლანტაში ინიშნება?

"ატლანტა ჰოქსის" ერთ-ერთმა სპეციალურმა კონსულტანტმა **ჰერბ ბრაუნმა** სააგენტო "როიტერს" განუცხადა, რომ მისი ძმა **ლარი ბრაუნი** NBA-ის გუნდში აპირებს სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას. შესაძლოა, ეს კლუბი "ატლანტაც" იყოს, რომელიც, სავარაუდოდ, ამ სეზონის შემდეგ თავის ამჟამინდელ მწვრთნელს, **მაიკ ვუდსონს** გამოეთხოვება.

ამჟამად, ლარი ბრაუნი "ფილადელფია სიქსერზის" ალმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს იკავებს.

### ბუზერი ტრავმირებულია

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში, "იუტა ჯაზის" ლიდერმა **კარლოს ბუზერმა** "ტორონტოსთან" შეხვედრის დასრულება ვერ შეძლო. ფორვარდმა მეოთხე მეოთხედში ზურგის ტკივილი იგრძნო.

ამის გამო, ბუზერმა შესაძლოა ხვალ, "ლეიკერსთან" საშინაო შეხვედრაში ვერ ითამაშოს. ამ მატჩში "იუტას" შანსი აქვს საშინაო მოგებების საკლუბო რეკორდი დაამყაროს. "ჯაზმენებს" საკუთარ მოედანზე 29 დეკემბრის შემდეგ არ წაუგიათ და ეს სერია ზედიზედ 19 გამარჯვებას ითვლის.

### არენასი ხვალ ითამაშებს?

"ვაშინგტონ უიზარდსის" ლიდერი **გილბერტ არენასი** დღეს კიდევ ერთხელ გაივლის სამედიცინო შემოწმებას და თუ ყველაფერი წესრიგში იქნა, მცველი ამ კვირაშივე დაუბრუნდება მოედანს.

შეგახსენებთ, რომ არენასს მუხლის ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. ცოტა ხნის წინათ, გილბერტმა გამოაცხადა, რომ NBA-ის ნებისმიერ კლუბთან გააფორმებს კონტრაქტს, თუ მას 6-წლიან და 100-მილიონიან კონტრაქტს შესთავაზებენ.

*"ჩემი დაბრუნება 100-მილიონიანი ლატარიის ბილეთის მოგებასავითაა და მისი დაკარგვის ერთადერთი შანსი ისაა, თუ კვლავ ტრავმას მივიღებ. ვნახოთ, რას იტყვიან ექიმები"*, - ამბობს არენასი.

### ჰიუსტონმა დევისი მიიწვია

"ინდიანა პეისერსის" ყოფილი ცენტრი, ვეტერანი **დეილ დევისი** "ჰიუსტონის" ძირითად შემადგენლობასთან ივარჯიშებს. ამის შემდეგ, "როკეტსის" ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, ღირს თუ არა დევისთან სეზონის ბოლომდე კონტრაქტის გაფორმება. ცენტრს შეუძლია პლეიოფის მატჩებში მონაწილეობის მიღება, რადგან 1 იანვრამდე ჰქონდა თავისუფალი აგენტის სტატუსი.

როგორც იცით, **იაო მინისა** და **კარლ ლენდრის** ტრავმების გამო, "ჰიუსტონი" ერთადერთი ნომინალური ცენტრის, **დიკემბე მუტომბოს** ამარა დარჩა.

### ნიქსი გენერალურ მენეჯერს ეძებს

"ინდიანა პეისერსის" ალმასრულებელი დირექტორი **დონი უოლში**, უახლოეს მომავალში თანამდებობიდან გადადგომას აპირებს, რაც მისი პერსონის მიმართ NBA-ის სხვა კლუბების დაინტერესებას გამოიწვევს.

New York Daily News-ის ცნობით, "ნიუ იორკ ნიქსის" მფლობელი **ჯეიმს დოლანი** უკვე რამდენჯერმე იყო ჩასული ინდიანაპოლისში მომავალი კონტრაქტის დეტალების შესათანხმებლად. სწორედ უოლში იყო ის პიროვნება, რომელმაც 2000 წელს, მთავარი მწვრთნელის პოსტზე **აიზია ტომასი** მიიწვია, რომელიც ახლა "ნიქსს" ავარჯიშებს.

**ფორმულა 1**

### დენისი მალაიზიაში არ იქნება

"მაკლარენ-მერსედესის" შეფი **რონ დენისი** მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ეტაპს, მალაიზიის გრან-პრის არ დაესწრება. ინგლისელი სპეციალისტი, რომელსაც ცოტა ხნით თანამდებობის დაკარგვა ემუქრებოდა, გრან-პრის დროს ლონდონში, პირად საქმეების მოგვარებით იქნება დაკავებული. *"მართალია, მალაიზიაში ვერ მიხილავთ, მაგრამ ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გააკეთებთ. ჩემპიონატის დანარჩენ რბოლებს "მაკლარენის" ბოსის სტატუსით დავესწრები"*, - აცხადებს რონ დენისი.

**ჰოკეი**

### იაგრი ჩეხეთში დაასრულებს

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ცნობილი ჩეხი ფორვარდი **იარომირ იაგრი** აცხადებს, რომ კარიერის დასრულება სამშობლოში, კლუბ "კლადნოს" რიგებში აქვს განზრახული. *"ერთადერთი, რაც ახლა ვიცი, ის არის, რომ ჩემი კარიერა მშობლიურ ქალაქში დასრულდება. ჩეხეთის ლიგა ისეთი ძლიერი არ არის, როგორც NHL, ამიტომაც იქ უფრო დიდი ხანი შევძლებ თამაშს"*, - მოჰყავს სააგენტო AP-ს იაგრის სიტყვები.

### ტამპა ლეკავალიეს მოელაპარაკება

"ტამპა ბეი ლაითნინგის" გენერალური მენეჯერი **ჯეი ფისტერი** მოლაპარაკებებს იწყებს გუნდის ლიდერ **ვენსან ლეკავალიესთან**. ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი მომდევნო ზაფხულს თავისუფალი აგენტი ხდება და ბუნებრივია, კლუბისგან უფრო სარფიან კონტრაქტს მოითხოვს. სწორედ ეს იქნება მოლაპარაკებების მთავარი თემა.

თუ ჯეი ფისტერი ჩათვლის, რომ ლეკავალიეს მოთხოვნები გადამეტებულია, "ლაითნინგი" მას სხვა კლუბში გაუშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. 43-ე ტირენო ადრიატიკო

# კანჩელარამ იუბილე გამარჯვებით აღნიშნა



კანჩელარამ საიუბილეოდ დიდი რბოლა მოიგო

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, შვეიცარიელი **ფაბიან კანჩელარას** გამარჯვებით დასრულდა ტირენო ადრიატიკოს პრესტიჟული რბოლა. ამგვარად, 27 წლის ველომრბოლმა საკუთარ თავს საიუბილეოდ შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა. მან ბოლო ეტაპი, რომელიც იტალიელმა **ფრანჩესკო კიჩიმ** მოიგო, 28-ე ადგილზე დაასრულა და მაინც, საბოლოო კლასიფიკაციაში 16 წამით აჯობა მეორეზე გასულ იტალიელ **ენრიკო გასპაროტოს**.

*"ამ გამარჯვებას და ჩემს იუბილეს თანაგუნდელებთან ერთად აღვნიშნავ, რადგან მათ დიდი წვლილი გაიღეს ჩემს წარმატებაში. მთელი რბოლის განმავლობაში ვგრძნობდი მათს მხარდაჭერას. რბოლის დაწყებამდე საკუთარ თავს ფავორიტთა სიას არ ვაკუთვნებდი, მაგრამ ასპარეზობის დროს ვიგრძენი, რომ ეს შემეძლო. გამარჯვების შანსი დროზე ინდივიდუალური რბოლის მოგების შემდეგ გამიჩნდა. ამის შემდეგ, ლიდერობა მთაშიც შევინარჩუნე და ბოლო ეტაპის სტარტზევე დარწმუნებული ვიყავი, რომ ლიდერობას აღარ დავკარგავდი"*, - განაცხადა კანჩელარამ, ვისთვისაც ეს რვაწლიან კარიერაში 41-ე გამარჯვებაა, რომელთაგან, ტირენომდე ყველაზე მნიშვნელოვანი ორი წლის წინ, პარიზი-რუბეს და მსოფლიოს 2006 და 2007 წლების ჩემპიონატებზე, დროზე ინდივიდუალურ რბოლებში აქვს მოპოვებული.

კანჩელარა შაბათს პრესტიჟულ კლასიკურ რბოლაზე, მილანი-სან რემოზე იასპარეზებს, სადაც ფავორიტთა შორის იქნება, თუმცა თავად პროგნოზებისგან თავის შეკავებას ამჯობინებს.

*"რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდი მილანი-სან რემოზე კარგად გააზრებული ტაქტიკური მონახაზით გამოვა, მაგრამ ამის შესახებ საჯაროდ ლაპარაკს არ ვაპირებთ. ისე, გეტყვით, რომ ჩემ გარდა, გუნდში რამდენიმე კარგი ველომრბოლი გვყავს, რომლებსაც კლასიკურ რბოლებში თავის გამოჩენის უნარი აქვთ და არაა გამორიცხული, რომ გამარჯვებისთვის მათაც იბრძოლონ. რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში მოქცეული მე ვიქნები, მაგრამ ამის გამო სულაც არ ვნერვიულობ. მე ჩემი საქმე კარგად ვიცი და მას ნებისმიერ შემთხვევაში კარგად შევასრულებ"*, - ამბობს კანჩელარა, რომლის თანაგუნდელთაგან, მილანი-სან რემოზე მოგების ყველაზე კარგი შანსი ლუქსემბურგელ **ფრანკ შლეკსაც** ექნება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-7 ეტაპი. სან ბენედეტო დელ ტრონტოს გარშემო (176 კმ)

**1. ფრანჩესკო კიჩი (იტალია, ლიკიგაზი) 4:50.50 (36.309 კმ/სთ); 2. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, ლამპრე) იგივე დროში; 3. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, ჰაი როუდი); 4. რობი მაკიუენი (ავსტრალია, სილენს-ლოტო); 5. დანილო ჰონდო (იტალია, სერამენტი)...**

საბოლოო კლასიფიკაცია

**1. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია, CSC) 28:.08.21; 2. ენრიკო გასპაროტო (იტალია, ბარლოუორლდი) 0.16; 3. ტომას ლოვკვისტი (შვედეთი, ჰაი როუდი) 0.40; 4. მარკუს ფოთენი (გერმანია, გეროლშტაინერი) 0.53; 5. ნიკლას აქსელსონი (შვედეთი, სერამენტი) 1.32...**

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# დავენპორტს ოდნავ გაუჭირდა

კალიფორნიის ქალაქ ინდიან ველსის "ტენის გარდენის" კორტებზე გრძელდება მასტერსის სერიის პირველი ტურნირი, რომლის პარალელურად, იქვე ქალების პირველი კატეგორიის ტურნირიც იმართება. მეოთხე წრეში თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს ტურნირის ორგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა **ლინდსი დავენპორტმა** და სერბმა ფავორიტებმა, **ანა ივანოვიჩმა** და **ელენა იანკოვიჩმა**.

სერბებს არ გასჭირვებიათ თავიანთი მეტოქეების დამარცხება, ამერიკელს კი სამი სეტი დასჭირდა იმისათვის, რომ ტაივანელი ჩან იუნ-ჯანუარის წინააღმდეგობა დაეძლია. იანკოვიჩმა ორივე სეტში თითო გეიმი დაუთმო იაპონელ **აი სუგიამას** და შეხვედრას 58 წუთში დაუსვა წერტილი, ივანოვიჩმა კი იტალიელ **ტატიანა გარბინთან** მხოლოდ სამი გეიმი წააგო.

ძლიერი ქარის "დახმარებით", იანკოვიჩმა ექვსი ორმაგი შეცდომა დაუშვა, თუმცა ამის მიუხედავად, მეტოქისთვის თამაშის შემობრუნების მცირე შანსიც არ მიუცია. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში სერბი მეჩოგნე მეხუთე ტურნირზე გამოდის და აქამდე ყოველთვის ახერხებდა მეოთხედფინალში გასვლას. მისი მომდევნო მეტოქეა ესპანელი **ანაბელ მედინა გარიგესი**, ვინც ორ სეტში რუს **ევგენია როდინას** აჯობა.

იანკოვიჩისგან განსხვავებით, უცნობ მეტოქესთან ორსაათიანი ბრძოლა გადაიტანა დავენპორტმა, ვისაც ინდიან ველსის ტიტული 1997 და 2000 წლებში აქვს მოგებული. 31 წლის ამერიკელმა რვა ეისი მოაწოდა, მაგრამ ერთით მეტი ორმაგი შეცდომა დაუშვა. თამაში კი ორ სეტში, პირველ რიგში, თავისი ხშირი შეცდომების გამო ვერ მოიგო.

*"ძალიან გამიჭირდა. ვერ ვიტყვი, რომ ურიგოდ ვითამაშე. მაგრამ რატომღაც, გადამწყვეტ მომენტებში შეცდომები მომდიოდა. მეორე წრეში წინ ვიყავი და რამდენიმე რეალური შანსი ვერ გამოვიყენე, რაც, საბოლოოდ, ამ სეტის წაგებად დამიჯდა. ბოლო ოთხი გეიმი კი ისე ვითამაშე, როგორც ვისურვებდი. ვიმედოვნებ, შემდეგ შეხვედრაში სწორედ ასე გავაგრძელებ"*, - ამბობს დავენპორტი, ვისაც მომდევნო ეტაპზე მეტოქეობას ფრანგი **მარიონ ბარტოლი** გაუწევს.

ბარტოლიმ ორ სეტში აჯობა გერმანელ **ანჟელიკ კერბერს**, ვინც მეორე სეტის მიწურულს, რვა მატჩ პოინტის მოგერიება კი შეძლო, მაგრამ წაგებას მაინც ვერ გადაურჩა.

კაცების ბადეში, მესამე წრე იოლად განვლო მოქმედმა ჩემპიონმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, ვინც იოლად დაამარცხა ტურნირზე უაილდ ქარდით მიწვეული ამერიკელი **დონალდ იანგი**. ესპანელმა, ვინც შარშან ამ ტურნირის ფინალში სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაამარცხა, პირველ სეტში სამი ბრეიკის აღება შეძლო, მეორეში კი ერთიც იმყოფინა.

ნადალს, ვინც შარშან ატპ-ს ექვსი ტურნირი მოიგო, მათ შორის, საფრანგეთის ღიაც, მომდევნო წრეში თამაში ავსტრალიის ღიას ფრანგ ფინალისტ **ჟო-ვილფრედ ცონგასთან** მოუწევს, ვინც ტურნირს თავისი თანამემამულე **პოლ-ანრი მატიო** გამოთიშა.

მეოთხე წრეში გავიდა ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკიც**, რომელმაც ესპანელ **კარლოს მოიას** ორ სეტში მოუგო. მისი მორიგი მეტოქეა ფრანგი **რიშარ გასკე**, ვისაც არ გასჭირვებია არგენტინელი **ხუან იგნასიო ჩელას** დამარცხება. მოიამ პირველი სეტი ერთადერთი ბრეიკის სხვაობით წააგო, მეორეში კი გაბრძოლება სცადა. ერთხელ მიზანსაც მიაღწია - მეტოქეს საპასუხო ბრეიკი აართვა, მაგრამ მეცხრე გეიმში ბლეიკმა კიდევ ერთხელ შეძლო ესპანელის სერვის-გეიმის მოგება და ამით, პრაქტიკულად გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. აღსანიშნავია, რომ ბლეიკს მოია ინდიან ველსის ტურნირზე პირველად 2003 წელს დაუმარცხებია.



ანა ივანოვიჩი

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან ველსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 3 589 000 დოლარი**

**III წრე**

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-დონალდ იანგი (აშშ) 6:1, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 3)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 27) 6:3, 6:2; **ჰიუნ ტაიკ ლი** (კორ)-დავიდ ფერერი (ესპ, 5) 7:6, 6:7, 7:6; **რიშარ გასკე** (საფ, 8)-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 28) 6:2, 6:1; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ, 9)-კარლოს მოია (ესპ, 19) 6:3, 6:4; **ჟო-ვილფრედ ცონგა** (საფ, 17)-პოლ-ანრი მატიო (საფ, 14) 7:6 (7), 6:4; **გილერმო კანიასი** (არგ, 16)-ხუან მონაკო (არგ, 21) 6:3, 6:7 (1), 6:2; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიც)-მარკო ბაღდატისი (კვიპ, 18) 6:3, 6:7 (1), 6:0.

**WTA**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 2 100 000 დოლარი**

**III წრე**

**ანა ივანოვიჩი** (სერ, 1)-ტატიანა გარბინი (იტა, 31) 6:3, 6:0; **ელენა იანკოვიჩი** (3)-აი სუგიამა (იაპ, 27) 6:1, 6:1; **მარიონ ბარტოლი** (საფ, 6)-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:3, 7:6 (3); **ვერა ზვონარევა** (რუს, 12)-გალინა ვოსკობოევა (რუს) 6:0, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტა, 13)-ფლავია პენეტა (იტა, 19) 6:3, 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპ, 20)-ევგენია როდინა (რუს) 6:3, 7:5; **ლინდსი დავენპორტი** (აშშ, 24)-იუნ-იან ჩანი (ჩინ) 6:4, 5:7, 6:2; **კეისი დელაკუა** (ავსტრა)-ტამირა პაჩეკი (ავსტრია, 32) 6:1, 4:0 პაჩეკის უარი.

## TV სპორტი

**19 მარტი. ოთხშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
15:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:05 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:50 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
19:35 საფეხბურთო პროგრამა.
20:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:55 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
23:40 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. რასინგი-ხეტაფე (LIVE).
01:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:55 ზუსტი გათვლა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 სპორტდოსიე.
08:29 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
08:57 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 მინი-მოედანი.
10:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი.
12:57 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:50 ჩოგბურთი. მასტერსის სერია. III დღე. ინდიან უელსი. აშშ.
17:53 სპორტდოსიე.
18:21 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
18:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:42 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ატლანტა.
21:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
22:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:58 ფეხბურთი. Barca TV.
23:05 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
00:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა (LIVE).
02:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:25 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
02:53 ფეხბურთი. Barca TV.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ტამპა ბეი (LIVE).
05:40 სპორტდოსიე.
06:09 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:51 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 მოტოსპორტი. ტესტ-დრაივი.
12:30 საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია.
13:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
14:45 საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია.
15:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. წყვილები. მოკლე პროგრამა. გიოტებორგი. შვედეთი.
17:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია (LIVE).
23:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. წყვილები. თავისუფალი პროგრამა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
01:30 მულტისპორტი.
01:35 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
01:40 გოლფი. ევროპის ტური.
02:10 გოლფ-კლუბი.
02:15 მულტისპორტი.
02:20 აფროსნობა.
02:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:55 მულტისპორტი.
03:00 სპორტული მილწევები.
03:15 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. წყვილები. თავისუფალი პროგრამა. გიოტებორგი. შვედეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ბეშიქთაში (თურქეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი).
14:00 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კოლორადო.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ბეშიქთაში (თურქეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი).
19:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ტუროვი (პოლონეთი)-კიევი (უკრაინა).
20:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ვალენსია (ესპანეთი)-ზადარი (ხორვატია) (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
23:45 ახალი ამბები.
00:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი.
00:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი.
01:00 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ექსტრემალური სპორტი.
02:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი. ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კოლჩესტერი-ჰალი | 1:3 |
| ვულვზი-სკანთორპი | 2:1 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| როვერსი-სუონსი | 0:2 |
| ჰადერსფილდი-ბრაიტონი | 2:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ქროული-კემბრიჯი | 2:1 |
| ფორესტ გრინი-იორკი | 1:2 |
| ჰისტონი-ებსფლიტი | 3:2 |
| ნორთვიჩი-უეიმაუთი | 2:2 |

**იტალია. სერია B**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-აველინო | 3:3 |
| ასკოლი-მესინა | 1:1 |
| ბარი-ჩეზენა | 0:0 |
| ბრეშა-ლეჩე | 0:0 |
| ფროსინონე-ტრიესტინა | 0:1 |
| გროსეტო-მანტოვა | 1:0 |
| მოდენა-ვიჩენცა | 1:1 |
| პიაჩენცა-პიზა | 4:2 |
| რავენა-კიევო | 1:1 |
| რიმინი-სპეცია | 4:2 |
| ტრევიზო-ბოლონია | 0:2 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)**

| | |
|---|---|
| შტ. კიკერსი-პფულენდორფი | 2:0 |

**გერმანიის თასი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-კარლ ცაისი | 3:0 |

**საფრანგეთის თასი. 1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| პსჟ-ბასტია | 2:1 |
| დიჟონი-ტური | 3:1 |
| სედანი-ანჟერსი | 2:0 |
| ლიონი-სოშო | 2:1 |

**ჰოლანდიის თასი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ფეიენოორდი-ბრედა | 2:0 |

**ბელგიის თასი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| სტანდარდი-გენტი | 2:2 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კოუდენბითი-ქუინზ პარკი | 2:4 |
| როსი-ბრეჩინი | 0:0 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალბიონი-სტრანრარი | 1:1 |
| დამბარტონი-სტენჰაუზმუირი | 1:0 |

**შოტლანდიის თასი. 1/4 ფინალი. გადათამაშება**

| | |
|---|---|
| სელტიკი-აბერდინი | 0:1 |
| სტ. მირენი-სტ. ჯონსტონი | 1:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| რაპიდი-აუსტრია (ვ) | 2:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ლუცერნი-იანგ ბოიზი | 0:3 |
| სტ. გალენი-ქსამაქსი | 0:0 |

**თურქეთის თასი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| რიზე-ქაისერ | 0:3 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ნიუთაუნი-რილი | 0:2 |

**პოლონეთი. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| გროცლინი-გურნიკი | 3:0 |

**უნგრეთი. 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| კაზინცბარციკა-ჰონვედი | 2:2 |

### კალათბურთი

**ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| უნიქსი-ერტლანდი | 74:59 |
| ტუროვი-კიევი | 58:67 |
| დინამო-ლუკოილი | 103:77 |
| ბეშიქთაში-ცრვენა ზვეზდა | 81:69 |
| ხირონა-ჰემოფარმი | 76:62 |
| ხუვენტუდი-ხიმკი | 69:54 |
| გრან კანარია-გალათასარაი | 88:79 |

### ჰოკეი

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-ჰამბურგი | 2:4 |
| ფრანქფურტი-იზერლონი | 3:3 |
| კიოლნი-მანჰაიმი | 4:3 |
| ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 3:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-სკალიცა | 3:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰიფკ-კიეკო | 0:3 |
| ილვესი-კერპეტი | 3:0 |
| იუვიასკიულა-ტაპარა | 3:0 |
| პელიკანსი-იოკერიტი | 4:5 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბაზელი-ამბრი | 3:5 |
| ფრიბურგი-სერვეტი | 1:1 |
| ციურიხი-დავოსი | 3:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ფერიესტადი-ფრიოლუნდა | 3:2 |
| ჰვ71-აიკ | 6:0 |
| ლინჩოპინგი-იურგორდენი | 4:2 |
| მოდო-ტიმრა | 0:5 |

### ჩოგბურთი

**ATP. ინდიან ველსი**

| | |
|---|---|
| ნალბანდიანი-შტეპანეკი | 7:6, 0:6, 7:6 |
| ფედერერი-მაუ | 6:1, 6:1 |

**WTA. ინდიან ველსი**

| | |
|---|---|
| ა. რადვანსკა-პარკლროუდი | 4:6, 6:2, 6:4 |
| პანტუხოვა-მირზა | 6:1, 7:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA. რეგულარული

**ს. ანტონიო–ბოსტონი 91:93**

28:11, 25:32, 17:25, 21:25

**სან ანტონიო:** ჯინობილი (32 ქ. 4 მ. 2 პ), ტ. პარკერი (17 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ), დანკანი (10 ქ. 8 მ. 3 დ. 2 პ).

**ბოსტონი:** პირსი (22 ქ. 8 მ. 5 პ), გარნეტი (21 ქ. 8 მ. 2 ჩ), რონდო (20 ქ. 6 პ. 3 ჩ), კასელი (17 ქ. 5 მ).

**ვაშინგტონი–ატლანტა 96:105**

24:29, 29:25, 24:30, 19:21

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (25 ქ. 9 მ. 2 ჩ), ჰეივუდი (16 ქ. 9 მ. 3 დ), რ. მეისონი (14 ქ), სტივენსონი (13 ქ. 2 ჩ), კ. ბატლერი (12 ქ. 8 პ. 7 მ).

**ატლანტა:** ბიბი (23 ქ. 3 პ), ჯო ჯონსონი (18 ქ. 10 პ), ჯოშ სმიტი (17 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 დ), ჩილდრესი (16 ქ. 5 მ. 4 პ), ე. ჰორფორდი (12 ქ. 15 მ. 6 პ. 2 დ), ფაჩულია (7 ქ. 2 მ).

**ინდიანა–ნიუ იორკი 110:98**

38:32, 22:24, 21:23, 29:19

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (36 ქ. 6 მ. 4 პ. 2 დ), გრეინჯერი (26 ქ. 11 მ. 4 პ. 2 ჩ), რ. მიურეი (14 ქ. 4 პ), მერფი (13 ქ. 10 მ. 3 პ), ფოსტერი (7 ქ. 8 მ. 3 დ).

**ნიუ იორკი:** ზ. რენდოლფი (21 ქ. 14 მ. 2 ჩ), ჯ. კროუფორდი (16 ქ), უ. ჩენდლერი (15 ქ. 8 მ. 2 ჩ), ბალკმენი (11 ქ. 5 მ. 2 ჩ).

**ორლანდო–კლივლენდი 104:90**

20:23, 20:22, 33:27, 31:18

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (23 ქ. 13 მ. 2 დ), რ. ლიუისი (21 ქ. 6 მ), თურქოღლუ (18 ქ. 7 მ. 5 პ), მ. ევანსი (10 ქ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (30 ქ. 9 მ. 6 პ), დელონტე უესტი (16 ქ. 6 მ. 3 პ. 2 დ), პავლოვიჩი (14 ქ. 5 მ).

**მემფისი–შარლოტი 98:80**

21:24, 21:23, 30:17, 26:16

**მემფისი:** ნავარო (21 ქ. 2 ჩ), ურიკა (19 ქ. 6 მ), მ. მილერი (18 ქ. 13 მ. 2 პ), მილიჩიჩი (11 ქ. 10 მ).

**შარლოტი:** დ. ანდერსონი (17 ქ. 3 მ. 3 პ), დადლი (14 ქ), ჯ. უოლასი (10 ქ. 7 მ).

**მინესოტა–კლიპერსი 99:90**

23:23, 24:21, 21:22, 31:24

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (22 ქ. 14 მ. 4 დ), გომესი (19 ქ. 5 მ), მაკკენტსი (16 ქ. 6 პ), სნიდერი (14 ქ. 5 მ), კ. სმიტი (11 ქ), იარიჩი (6 ქ. 10 პ. 7 მ).

**კლიპერსი:** მაგეტი (34 ქ. 3 პ), ტიმ ტომასი (22 ქ. 6 მ. 3 პ. 3 დ), პაუელი (10 ქ. 12 მ. 2 დ), მობლი (10 ქ. 6 მ).

**ნ. ორლეანი–ჩიკაგო 108:97**

27:27, 24:23, 24:34, 33:13

**ნიუ ორლეანი:** პოლი (37 ქ. 13 პ. 4 მ. 3 ჩ), სტოიაკოვიჩი (21 ქ. 10 მ), უესტი (19 ქ. 4 მ), ჯ. რაიტი (14 ქ. 4 მ), ტ. ჩენდლერი (8 ქ. 11 მ).

**ჩიკაგო:** გორდონი (31 ქ. 4 პ), გუდენი (23 ქ. 12 მ), დენგი (16 ქ. 7 მ), ჰიუზი (16 ქ. 4 პ).

**იუტა–ტორონტო 96:79**

16:16, 31:22, 18:27, 21:14

**იუტა:** დ. უილიამსი (21 ქ. 4 პ), კორვერი (17 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), ბუზერი (13 ქ. 10 მ. 3 ჩ), რ. პრაისი (13 ქ. 5 პ).

**ტორონტო:** კალდერონი (16 ქ. 7 პ. 2 ჩ), ნესტეროვიჩი (13 ქ. 12 მ), ე. პარკერი (11 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ).

### კვირის მოთამაშეები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად **ანტუან ჯეიმისონი** ("ვაშინგტონი") და **ამარე სტაუდმაიერი** ("ფინიქსი") აირჩია.

"ვაშინგტონის" ფორვარდმა თავის გუნდს სამიდან სამ მატჩში გაამარჯვებინა. კალათბურთელი ამ შეხვედრებში 25.3 ქულას, 9.7 მოხსნას და 1.0 ჩაჭრას აგროვებდა. ორჯერ ჯეიმისონმა ორმაგი დუბლი შეასრულა, რითაც ის აღმოსავლეთ დივიზიონში დაბლ-დაბლების რაოდენობით მეორე ადგილზე გადავიდა (39). ამ მაჩვენებლით ლიდერი "ორლანდოს" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდია** (59).

გასულ კვირას "ფინიქსმაც" სამი მატჩი მოიგო. ამარე სტაუდმაიერმა თავის ანგარიშზე 32.0 ქულა, 11.3 მოხსნა, 2.7 შედეგიანი გადაცემა და 1.7 დაფარება მიითვალა.

| აღმოსავლეთი | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-ბოსტონი | 66 | 53 | 13 | 80.3 |
| 2. x-დეტროიტი | 66 | 48 | 18 | 72.7 |
| 3. x-ორლანდო | 69 | 45 | 24 | 65.2 |
| 4. კლივლენდი | 68 | 38 | 30 | 55.9 |
| 5. ტორონტო | 67 | 34 | 33 | 50.7 |
| 6. ვაშინგტონი | 66 | 33 | 33 | 50.0 |
| 7. ფილადელფია | 67 | 33 | 34 | 49.3 |
| 8. ატლანტა | 67 | 29 | 38 | 43.3 |
| 9. ნიუ ჯერსი | 66 | 28 | 38 | 42.4 |
| 10. ჩიკაგო | 66 | 26 | 40 | 39.4 |
| 11. ინდიანა | 67 | 26 | 41 | 38.8 |
| 12. შარლოტი | 67 | 24 | 43 | 35.8 |
| 13. მილუოკი | 66 | 23 | 43 | 34.8 |
| 14. ნიუ იორკი | 67 | 19 | 48 | 28.4 |
| 15. მაიამი | 65 | 11 | 54 | 16.9 |

| დასავლეთი | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ჰიუსტონი | 66 | 46 | 20 | 69.7 |
| 2. ნიუ ორლეანი | 66 | 45 | 21 | 68.2 |
| 3. ლეიკერსი | 66 | 45 | 21 | 68.2 |
| 4. იუტა | 69 | 45 | 24 | 65.2 |
| 5. ფინიქსი | 66 | 44 | 22 | 66.7 |
| 6. სან ანტონიო | 67 | 44 | 23 | 65.7 |
| 7. დალასი | 67 | 44 | 23 | 65.7 |
| 8. გ. სტეიტი | 65 | 41 | 24 | 63.1 |
| 9. დენვერი | 66 | 40 | 26 | 60.6 |
| 10. პორტლენდი | 67 | 35 | 32 | 52.2 |
| 11. საკრამენტო | 66 | 30 | 36 | 45.5 |
| 12. კლიპერსი | 66 | 21 | 45 | 31.8 |
| 13. მემფისი | 66 | 16 | 50 | 24.2 |
| 14. მინესოტა | 66 | 16 | 50 | 24.2 |
| 15. სიეტლი | 67 | 16 | 51 | 23.9 |

*x-გავიდა პლეიოფში; y-დივიზიონის ჩემპიონი*

### კალათბურთი. ერთი რეკორდის ისტორია

# კობის 81 თუ უილტის 100?

1962 წლის 2 მარტს, **უილტ ჩემბერლენმა** ჰერშიში, "ნიუ იორკ ნიქსის" წინააღმდეგ 100 ქულა დააგროვა. რეკორდი, რომელიც დღემდე ხელუხლებელია და შედეგი, რომელიც კალათბურთის დღევანდელი დაცვითი სქემების გათვალისწინებით, ალბათ, კიდევ დიდხანს შერჩება ისტორიას, როგორც რაღაც მიუწვდომელი, სათუთად გასაფრთხილებელი და უკვდავი.

2006 წლის 22 იანვარს **კობი ბრაიანტმა** "ტორონტო რეპტორზს" 81 ქულა ჩაუგდო და დიდი უილტის შემდეგ, ლიგის ისტორიაში ერთ მატჩში უხვქულიანობით მეორე ადგილზე დამკვიდრდა. კობიზე მეტი არც "მის უჰაერესობას" **მაიკლ ჯორდანს**, არც **ჯერი უესტს**, არც **ლარი ბერდს**, არც **ელჯინ ბეილორსა** და არც მის დიდი ხნის მეწყვილეს **შაკილ ონილს** მოუმკია.

დღეს, როდესაც სპეციალისტთა და მოთამაშეთა დიდი ნაწილიც ვერაფრით შეთანხმდა იმაზე, თუ ვინ არის ამ სეზონის უძვირფასესი - კობი თუ **ლებრონ ჯეიმსი**, პარალელი გავავლოთ ჩემბერლენისა და ბრაიანტის ფენომენალურ შედეგებს შორის.

ბოლო წლებში ბრაიანტს უმოწყალოდ აკრიტიკებენ. "სპეციალისტები" კობის ყველაფერს უწუნებენ: 1. ნაკლებად იყენებს თავის ათლეტურობას და თითქმის არ შედის სამწამიანში; 2. კობის გუნდური მოთამაშის იმიჯი მხოლოდ მირაჟია და როგორც კი პლეი ოფის პირველ წრეს გაივლის, შემდეგ არენაზე ისევ ძველი, "ძუნწი" ბრაიანტი გავა; 3. კობის დაცვაში თამაში იმაზე სუსტია, ვიდრე **ტაისონ ჩენდლერის** შეტევაში გარჯა; 4. ბრაიანტი ვერასოდეს გახდება შაკის კალიბრის დომინანტი და ონილისგან განსხვავებით, თავის გუნდს ჩემპიონობას ვერ მოაპოვებინებს.

ბრაიანტს დენვერში ვილაც ქალის გაუპატიურების შემდეგ, მტრები მოუმრავლდა, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ "ლეიკერსის" მეგავარსკვლავი ვერ გაუძლებდა ზეწოლას და იმ ინციდენტის მერე "ჩაიფუშებოდა".

კობის პასუხი? იმ გაუგებრობის მერე, ბრაიანტმა თითქოსდა ახალი, მანამდე არნახული მოტივაცია მიიღო და როდესაც კობის 81 ქულასა და ჩემბერლენის 100 ქულას ადარებენ, ბევრის პასუხი ასეთია: "ლეიკერსის" კაპიტნის მიღწევა უილტის ასქულიან ნიშნულზე დიდია.

■ ■ ■

არავინ დავობს, რომ უილტი ფენომენი იყო, მაგრამ მაშინდელ კალათბურთში დაცვა, პრაქტიკულად, არ არსებობდა. იმ პერიოდში დიდ მცველად მხოლოდ "ბოსტონის" ცენტრი **ბილ რასელი** მოაზრებოდა. ეს ის რასელია, რომლის წინააღმდეგ მატჩებშიც, ჩემბერლენი თავის პირველ ოთხ რეგულარულში მხოლოდ 23.5 ქულას აგროვებდა.

"ნიუ იორკთან" ისტორიულ შეხვედრაში ჩემბერლენმა 32 საჯარიმოდან 28 გამოიყენა, არადა, კარიერაში უილტს საჯარიმოების ოდენ 51 პროცენტი ჰქონდა ჩაგდებული. თამაშიდან ჩემბერლენმა 63-ჯერ სცადა ბედი და 36 სროლა ზუსტად შეასრულა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩემბერლენი იმ სეზონში საშუალოდ 50.4 ქულასა (!) და 25.7 მოხსნას უყრიდა თავს.

მაშინდელი კალათბურთი დღევანდელზე ბევრად სწრაფი და დინამიური იყო, გუნდებს კი გაცილებით მეტი შეტევის საშუალება ეძლეოდათ, ვიდრე - დღეს. თავად დაფიქრდით - ჩემბერლენის მაშინდელი გუნდი, სეზონში თამაშიდან სროლების მხოლოდ 43 პროცენტს ასრულებდა ზუსტად და ამასთან ერთად, გუნდის საშუალო შედეგიანობა 125.4 ქულა იყო. იმ დროის გუნდებში ყველაზე ნაკლებშედეგიანები, დღევანდელი ლიგის ყველაზე უხვქულიან "გოლდენ სტეიტს", "დენვერსა" და "ფინიქსს" გადაასწრებდნენ.

იმ მატჩში, რომელშიც ბრაიანტმა 81 ქულა დააგროვა, "ლეიკერსმა" "ტორონტოს" 99-ჯერ შეუტია. არ გაინტერესებთ, რამდენი შეტევა გაკეთდა 1962 წლის საღამოს? უილტმა და მისმა "ფილადელფიამ" 152 (!) იერიში განახორციელეს, ხოლო ჯამური მაჩვენებელი კი 282 გახლდათ.

კობის ისტორიული სეზონისას, გუნდებს საშუალოდ 85.2 შეტევა ჰქონდათ, ხოლო პირველ ადგილზე კი იმყოფებოდა "ფინიქსი" თავისი ზესწრაფი კალათბურთითა და 95.1 შეტევით. შედარებისთვის - მიმდინარე რეგულარულში ამ მხრივ პირველ ადგილზეა "დენვერი" (97.5).

■ ■ ■

ლეგენდარული ამერიკელი ჟურნალისტის **გარი ემ პომერანცი** უილტის მაშინდელ 100-ქულიან თამაშზე ასე წერს:

*"მთელი შეხვედრის განმავლობაში "ფილადელფია უორიორზი" სწრაფი ფოლის ხარჯზე ცდილობდა "ნიქსის" შეტევის შეჩერებას. მიზანი ერთადერთი იყო - ბურთი უილტამდე მაქსიმალურად სწრაფად უნდა მისულიყო და ჩემბერლენის ირგვლივ მისი არცერთი თანაგუნდელი არ იდგა. უილტს ერთი-ერთზე უნდა მოეპოვებინა უპირატესობა. უკანასკნელ ექვს წუთში უილტმა თამაშიდან 4 სროლა რომ გააფუჭა, "ნიუ იორკის" მწვრთნელებმა ცენტრი "დაასვენეს". როდესაც ჩემბერლენმა სამი სროლა გამოიყენა, "დასვენებული" ცენტრი მოედანზე დააბრუნეს და მან უილტზე ეგრევე სამი ჯარიმა აიკიდა".*

კობის 81 ნამდვილად არ არის 100, მაგრამ "ნიუ იორკისგან" განსხვავებით, "რეპტორზი" "ლეიკერსის" ვარსკვლავს მჭიდროდ იყვანდა, **ჯალენ როუზმა** კი ერთხელ სახეშიც კი ჩაარტყა იდაყვი ბრაიანტს. "ტორონტოს" მწვრთნელი **სემ მიტჩელი** კობის წინააღმდეგ თავიდან საკმაოდ ძლიერ ინდივიდუალურ დამცველს, **მაიკ ჯეიმსს** ათამაშებდა, ხოლო მესამე მეოთხედში კი ბრაიანტის მეურვე უკვე **მორის პიტერსონი** იყო.

გავიხსენოთ ისიც, რომ "ნიუ იორკისა" და "ფილადელფიის" შეხვედრის დაწყებამდე უეცრად ფეხი იტკინა "ნიქსის" ძირითადმა ცენტრმა **ფილ ჯორდანმა** და ჩემბერლენის წინააღმდეგ "ნიქსმა" თავიდანვე რატომღაც ახალბედა ფორვარდი **დარალ იმჰოფი** შეუშვა მოედანზე. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩააგდებდა უილტი იმჰოფს...

კვლავ **გარი ემ პომერანცს** მოვუსმინოთ: *"ორი დღის შემდეგ, "ნიუ იორკი" "ბოსტონს" ხვდებოდა და დარალ იმჰოფი დარბაზის ავტოსადგომზე ახალი "კადილაკით" მიგრიალდა. იმჰოფს ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონდა და რაც მთავარია, მან მანქანის ტარებაც კი არ იცოდა. დარალს კარები მძღოლმა გაუღო. სწორედ იმჰოფმა შეატარა უილტი სამწამიანში ჩემბერლენის უკანასკნელი ორი ზუსტი სროლისას, ხოლო როდესაც ჩემბერლენმა მეასე ქულა დააგროვა, დარბაზში ნაღდი ჯოჯოხეთი დაიწყო. და ამ არაულობაშიც კი ჩემმა მეგობარმა დააფიქსირა მომენტი, რომელზეც ჩემბერლენი იმჰოფს მომღიმარი სახით რაღაცას ეუბნება. იმჰოფი არ მისულა უილტთან წარმატების მისალოცად, არამედ ჩემბერლენი მივიდა მასთან. საინტერესოა, რა საერთო ჰქონდათ ლეგენდარულ მოთამაშესა და ყველასთვის უცნობ ტიპს, რომელიც არც მანამდე და არც იმ შეხვედრის შემდეგ, კალათბურთის სამყაროში არ დამკვიდრებულა".*

გავიხსენოთ ისიც, რომ სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, "ნიუ იორკისა" და "ფილადელფიის" შეხვედრას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია, ხოლო "ლეიკერსისა" და "რეპტორზისთვის" კი მატჩს საპლეიოფო თვალსაზრისით ინტრიგა ნამდვილად გააჩნდა.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ პირველი ნახევრის შემდეგ, "რეპტორზი" 14 ქულას იგებდა. მესამე მეოთხედში კანადელთა უპირატესობამ 18 ქულას მიაღწია, რის შემდეგაც დაიწყო "კობის ფესტივალი".

■ ■ ■

**ფილ ჯექსონი** დღესაც მიიჩნევს, რომ კობის 81 ქულა პროფესიული კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ღირშესანიშნავი მიღწევაა: *"ბევრ დიდ მოთამაშესთან მიმუშავია და მიმაჩნია, რომ კობის 81 ქულა NBA–ს ისტორიაში ყველაზე დიდი, მასშტაბური მაჩვენებელია. მაიკლ ჯორდანს უამრავი ზღაპრული შეხვედრა აქვს ჩატარებული, სკოტი პიპენის გარეშე "ბულზი" ამდენჯერ ჩემპიონი ვერ გახდებოდა და ჩემი მწვრთნელობისას ერთ მატჩში 60 ქულაზე მეტი შაკმაც დააგროვა. არ ვამბობ, რომ კობი ამ მოთამაშეებზე დიდია, უბრალოდ, ინდივიდუალური მიღწევის მხრივ, ეს მაჩვენებელი განსაკუთრებულია. კობიმ შეიძლება ვერასოდეს გააკეთოს ერთ თამაშში 100 ქულა, ვერასოდეს დაეწიოს ქარიმს კარიერაში ქულათა მონაგარით, ვერ გახდეს რასელივით 11-გზის ჩემპიონი და ჯორდანივით, ყველა ინდივიდუალური ჯილდოს მომგები, მაგრამ "ტორონტოსთან" შეხვედრაში ბრაიანტმა ისტორია გადაწერა. არა მგონია, უახლოესი 15-20 წლის განმავლობაში, რომელიმე მოთამაშე კობის იმ მიღწევას ახლოსაც რომ გაეკაროს."*



ბრაიანტის 81

ბრაიანტმა მეორე ნახევარში 55 (!) ქულა დააგროვა, "ლეიკერსმა" თამაშში გარდატეხა შეიტანა და ვინც კი ამ მატჩს უყურა, ეჭვს ვერავინ შეიტანდა იმაში, რომ კობის 81 ქულა დაგეგმილი იყო. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბრაიანტმა იმ შეხვედრაში 7 სამქულიანი გამოიყენა, 7 სამიანს კი ჩაგდება ნამდვილად უნდა.

*"როდესაც ხალხი ბოლო დეკადის უდიდეს მოთამაშეებზე საუბრობს, ყველაზე მეტად შაკს, დანკანს, გარნეტს ახსენებენ, მერე მოდის კობი. მას იმ სამი მოთამაშისგან განსხვავებით, ჯერაც არ მოუგია MVP–ს ჯილდო, მაგრამ არასწორია ბრაიანტის სხვის ჩრდილში მოქცევა. "ლეიკერსი" ზედიზედ სამჯერ რომ გაჩემპიონდა, ამაში შაკზე არანაკლებ დიდი როლი ბრაიანტმა ითამაშა. კობი მსოფლიო სპორტის უდიდესი შენაძენია და ამას მაშინ მივხვდებით, როდესაც ბრაიანტი კარიერას დაასრულებს"*, - მიაჩნია ლეგენდარულ **ლენი უილკენსს**, რომელსაც პროფესიული კალათბურთის ისტორიაში, მწვრთნელის რანგში ყველაზე მეტი გამარჯვება აქვს მოპოვებული.

ამერიკულ პროფესიულ კალათბურთში რატომღაც ხშირია შემთხვევები, როდესაც რეგულარულის ბოლო დღეს, ესა თუ ის მოთამაშე საუკეთესო მექულე ხდება.

1994-ში **დევიდ რობინსონმა** "კლიპერსთან" მატჩში 71 (!) ქულა დააგროვა და მცირედით აჯობა მაშინ ჯერ კიდევ "ორლანდოში" მყოფ ნორჩ **შაკილ ონილს**.

"სან ანტონიოს" კიდევ ერთ ლეგენდას, **ჯორჯ გერვინს** ბოლო შეხვედრაში საუკეთესო მექულეობისთვის 53 ქულა სჭირდებოდა და "აისმენმა" ზუსტადაც რომ ამდენი ქულით დაასრულა შეხვედრა.

კობის 81 ქულა ბოლო მატჩში არ გაუკეთებია და ეს მაშინ მოახერხა, როდესაც მის გუნდს არა მისი 81 ქულა, არამედ ყველაზე მეტად სწორედ გამარჯვება ესაჭიროებოდა.

ეს არ იყო ცირკი, არამედ მაგალითი იმისა, რომ ერთმა კაცმა ძალიან მოინდომა და თავის გუნდს მოაგებინა. უბრალოდ, ამისათვის მას 81 ქულის დაგროვება დასჭირდა.



ჩემბერლენის 100